ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“
+ დანიელ ჭონქაძე,
ლავრენტი არდაზიანი
ფასი: 2 ლარი
იკითხეთ მხოლოდ ჰესის
გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე



ხუთშაბათი, 28 აპრილი, 2011 | №99 (5480) | ფასი: 30 თეთრი

# აფხაზეთში არეულობა იწყება



გვ.2

## ხაჯიმბა ბაღაფშის შესაცვლელად რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს

## სახალხო კრება საქალაქო სასამართლოსთან აქციას გამართავს

გვ.2

## ოპოზიციამ სააკაშვილს ხალხის მოტყუების საშუალება არ უნდა მისცეს

21-ე საუკუნეში საქართველო ფეოდალური მეთოდებით იმართება



გვ.4

## „ცისფერი მთები“ ანუ რა საჭიროა ორი პარლამენტი?

გვ.3



## აფხაზეთი და სამაჩაბლო ამერიკელების წყალობით დავკარგეთ

გვ.7





## ბორის ბერეზოვსკი: მადლობა, რადგან ოფიციალურად აღიარებთ, რომ ეშმაკი ვარ!

გვ.10

## რუსეთსა და საქართველოს შორის ვითარება ისევ გამწვავდება

გვ.5





## ლავროვს აფხაზეთთან პრობლემების „ბუნებრივად“ გადაწყვეტა სურს

გვ.5



## ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებში ამერიკა უნდა დაგვეხმაროს

გვ.9

3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

11 დედა გაშვილებული ბავშვის დაბრუნებას ითხოვს

13 არიენ რობენი: კრუიფი ჰოლანდიის ლეგენდაა

8 ამერიკა საქართველოს ერთგული რჩება

13 ფაჩულია და „ატლანტა“ შანსს ატლანტაში ელიან

## გაქსუებული ჩინოვნიკის ოჯახის გამოკვებას საქართველო არ უნდა გადაყვეს



პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კახეთს ეწვია და მიწის საგაზაფხულო სამუშაოებით დაინტერესდა.

გლეხებთან შეხვედრისას პრეზიდენტმა სოფლის მეურნეობაში არსებულ ვითარებაზე ისაუბრა და რამდენიმე მსხვილი მიწათმფლობელი და მოიჯარე გააკრიტიკა.

მისი თქმით, საქართველოში გასაცდენი მიწა არ უნდა იყოს, რადგან მცირემიწიანობის მიუხედავად, ქართული ნიადაგი უაღრესად ნაყოფიერია.

როგორც სააკაშვილმა განაცხადა, ერთი ყოფილი გაქსუებული ჩინოვნიკის ოჯახის გამოკვებას საქართველო არ უნდა გადაყვეს და მათ გამო მიწები დაუმუშავებელი არ უნდა დარჩეს.

— 90-იან წლებში ერთმა გაქსუებულმა ჩინოვნიკმა 200 ჰექტარი მიწა აიღო. ბოლოსდაბოლოს, რევოლუცია მოხდა და ის ჩინოვნიკი გააგდეს. იმ 200 ჰექტარზე თავის ოჯახს არჩენდა, არაფერს აკეთებდა, მთავრობას ალბათ აგინებდა დღედაღამ, გაშვებული ჰყავდა 20 ძროხა და აცდენდა ამხელა ფართს. დანარჩენი საქართველო თურმე უნდა გადაყვეს ამ ერთი ყოფილი გაქსუებული ჩინოვნიკის ოჯახის გამოკვებას და გაუმაძღარ მუცელს. საუკეთესო მიწის 200 ჰექტარია გაცდენილი, მაშინ როცა ამ მიწით თავის გამოკვებას დაახლოებით 500 ან ათასი სხვა ოჯახი შეძლებდა, — განცხადა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ სამეურნეო მიწების 100% წარმოებაში უნდა იყოს ჩართული, რათა ადგილობრივი მოხმარებისა და ექსპორტისთვის საკმარისი სურსათი შეიქმნას.

**მედიანიუსი**

## სახალხო კრება საქალაქო სასამართლოსთან აქციას გამართავს

დღეს სახალხო წარმომადგენლობითი კრების ახალგაზრდული ფრთა, მოძრაობა „სამართალი მოდის" და მოძრაობა „არა!"-ს წევრები თბილისის საქალაქო სასამართლოსთან საპროტესტო აქციას გამართავენ.

როგორც „მედიანიუსს" „სახალხო კრების" პრესსამსახურიდან აცნობეს, აქციის მიზანი სასამართლო სისტემაში არსებული უკანონობის გაპროტესტებაა, რადგან „ამ უკანონობამ სასამართლო, ფაქტობრივად, უკვე პროკურატურის დანამატად აქცია".

აქციაზე აგრეთვე გააპროტესტებენ მოსამართლე ნანა დარასელიას გადაწყვეტილებას, რომელმაც რამდენიმე კვირის წინ პატიმრობა შეუფარდა და ფულადი ჯარიმები დააკისრა საპროტესტო აქციის უდანაშაულო მონაწილეებს, მათ შორის შეფიცულების„ ხელმძღვანელს, მსახიობ გია ბურჯანაძეს.

საპროტესტო აქცია საქალაქო სასამართლოსთან დღეს 14 საათზე დაიწყება.

**მედიანიუსი**

## ავღანეთში დაღუპულ ნატოს სამხედრო მოსამსახურეებს შორის ქართველები არ არიან

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დღეს ავღანელი პილოტის მიერ დახოცილ ნატოს რვა სამხედრო მოსამსახურესა და ერთ კონტრაქტორს შორის ქართველები არ არიან.

შეგახსენებთ, ავღანელმა მფრინავმა ნატოს რვა უცხოელი ჯარისკაცი და ერთი კონტრაქტორი დახოცა. ინციდენტი ავღანეთის დედაქალაქ ქაბულის საერთაშორისო აეროპორტთან, სამხედრო საწრთვნელ ცენტრში მოხდა.

ავღანელი მფრინავი ნატოს საპასუხო ცეცხლის შედეგად გაანადგურეს.

**მედიანიუსი**

# აფხაზეთში არეულობა იწყება

## ხაჯიმბა ბაღაფშის შესაცვლელად რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს

თეა მარხვაი ე

**აფხაზეთში მართლაც საინტერესო პროცესები დაიწყო. რუსეთის თავხედურმა პოლიტიკამ ერთ დროს კრემლის ფავორიტი რაულ ხაჯიმბაც კი აღაშფოთა. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ბაღაფშს აფხაზებმა მხარი სწორედ რუსეთის ჯინაზე დაუჭირეს.**

**იმ დროს მოსკოვი ღიად და დაუფარავად უჭერდა მხარს რაულ ხაჯიმბას. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მას ვლადიმერ პუტინმა პირადად დააბნია უშიშროების გენერლის „პაგონები".**

**ამ „პაგონებმა" მაშინ ხაჯიმბა ვერ გადაარჩინა. აფხაზებზე ვერც მუქარამ გაჭრა. პრეზიდენტის გამოსავლენად აფხაზეთში მაშინ მეორე ტურის ჩატარება გახდა საჭირო. მეორე ტურის წინ კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა თქვა — თუ ბაღაფში გაიმარჯვებს, მაშინ პენსიებს ვეღარ ეღირსებითო. ცნობისათვის, აფხაზები პენსიებს რუსეთიდან, კერძოდ კი, კრასნოდარის მხარიდან იღებენ.**

ბაღაფშს მაშინ მისი ოპონენტები პროქართულობაში ადანაშაულებდნენ. აფხაზებს ქართველები მაშინ სძულდათ, მაგრამ კრემლის ფავორიტს ვითომ პროქართული ბაღაფში არჩიეს.

თავისი ორიენტაცია ბაღაფშმა ძალიან მალე გამოავლინა. ის ისეთი პრორუსული გახდა, აფხაზებს სიზმარშიც რომ არ დაესიზმრებოდათ. მისმა პრორუსულობამ თვით რაულ ხაჯიმბაც კი აღაშფოთა.

თავიდან ბაღაფშმა მსუბუქად დაიწყო რუსეთის პოლიტიკის გატარება. ახლა კი ისე გაუბერა, თავისი დედაქალაქი მოსკოვი ჰგონია. ამის შესახებ მას განცხადება ღიად აქვს გაკეთებული.

მარტო ეს რომ ეთქვა და ექნა, არავინ არ გადაირეოდა. მაგრამ ისეთი რამეები ქნა, მთელი აფხაზეთი მისი არჩევის დღეს სწყევლის.

წყევლა-კრულვამ მას შემდეგ იმატა, რაც ცნობილი გახდა, რომ რუსეთი აფხაზებს ტერიტორიების ნაწილს ედავება. როგორც ამბობენ, რუსეთი აფხაზეთს 160 კვადრატულ კილომეტრს ედავება. ამბობენ, რომ ბაღაფში ამ ტერიტორიის დათმობას აპირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში თანამდებობის დათმობა მოუწევს.

აფხაზეთში შექმნილი ვითარების შესახებ ძალიან საინტერესო განცხადებები გააკეთა რაულ ხაჯიმბამ. ის აფხაზური ოპოზიციის ლიდერია. ხაჯიმბა სათავეში უდგას აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმს.

მან აფხაზთა ბედი გაზეთ „ნუჟნაიასთან" საუბარში გამოიტირა. მისი განცხადებით, აფხაზებს განვითარების საფუძვლებს ართმევენ. ის ბაღაფშის ხელისუფლებას ბრალს სდებს იმაში, რომ ის აფხაზეთის ეროვნულ ინტერესებს არ ითვალისწინებენ.

მისი განცხადებით, სასწრაფოდ უნდა მოხდეს ხელისუფლების შეცვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის აფხაზეთს თითქმის დაღუპვას უწინასწარმეტყველებს.

— ამ ხელისუფლებასთან ერთად, რომლებიც არ იცავენ ნაციონალურ ინტერესებს, ამჟამინდელი აფხაზეთი ვერ მიაღწევს მომავალ არჩევნებამდე. აფხაზები უნდა ისწრაფვოდნენ არსებული ვითარების შეცვლისაკენ, — ამბობს ხაჯიმბა.

ოპოზიციონერს მიაჩნია, რომ არსებულ ვითარებაზე მეტად აფხაზები ხელისუფლების შეცვლაზე უნდა ზრუნავდნენ.

— საკუთრების ეროვნული ინტერესების, ქვეყნის უსაფრთხოების გაყიდვა... ჩვენ განვითარების საფუძვლებს გვაცლის. ასე თუ გაგრძელდა, მაშინ ჩვენ ვრისკავთ, აღმოვჩნდეთ იმ მდგომარეობაში, რომელშიც ვიმყოფებოდით დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, — ამბობს აფხაზური ოპოზიციის ლიდერი.

მისი თქმით, აფხაზეთი მალე შეიძლება რუსეთის გუბერნია, ანდა ავტონომიური ოლქი გახდეს. ვითარების შესაცვლელად ის რეფერენდუმის ჩატარებას არ გამორიცხავს.

— უნდა მოხდეს ხელმოწერების შეგროვება, რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნით. რადგანაც აფხაზური ოპოზიცია ძალიან სუსტადაა წარმოდგენილი აფხაზურ პარლამენტში. საზოგადოებაში შეიქმნა ნეგატიური დამოკიდებულება ხელისუფლების მოქმედებებისადმი და დღეის მდგომარეობით ადამიანებს უკვე ესმით, რომ ასე ცხოვრების გაგრძელება



აღარ შეიძლება და რომ ქვეყნისაგან აღარაფერი არ დარჩება, — მიიჩნევს ბაღაფშის მთავარი კონკურენტი.

მისი ეს განცხადება დაემთხვა სოხუმში სერგეი ლავროვის ჩასვლას. ლავროვმა ნაალდგომევს ოკუპირებული ტერიტორიების მონახულება გადაწყვიტა. 25 აპრილს მან კოკოითი მოინახულა. 26 და 27 აპრილს კი ბაღაფში და შამბა დაკოცნა.

ლავროვის სოხუმში გასეირნების დროს ბევრი განცხადება გაკეთდა. ერთ-ერთმა მათგანმა კრემლის ყოფილი ფავორიტი შეაშფოთა.

როგორც „აპსნი პრესი" იუწყება, რუსეთი უახლოეს მომავალში აფხაზეთთან ორმაგი მოქალაქეობის შესახებ შეთანხმებას გააფორმებს. ამის შესახებ განცხადება სერგეი ლავროვთან შეხვედრისას მისმა აფხაზმა კოლეგამ მაქსიმ ღვინჯიამ გააკეთა.

— ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები, რომლებიც საბოლოოდ დოკუმენტის ხელმოწერამდე მიგვიყვანენ, — განაცხადა მაქსიმ ღვინჯიამ.

ჯერაც გაუფორმებელი ხელშეკრულება გააკრიტიკა აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის ლიდერმა რაულ ხაჯიმბამ.

— ღვინჯიას უწყებიდან პარლამენტში გაგზავნილი ამ დოკუმენტის თანმხლებ წერილში არის თხოვნა იმის შესახებ, რომ შესაძლო შენიშვნები და წინადადებები მათთვის გადაგზავნილ იქნეს რაც შეიძლება მოკლე ვადებში, — ამბობს ხაჯიმბა.

ის შეშფოთებულია იმის გამო, რომ პარლამენტს ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის გაფორმებას დაჩქარებულ რეჟიმში სთხოვენ.

— ეს შეთანხმება ჩინოვნიკებს უფლებას აძლევს, უცხოელებს მიანიჭონ აფხაზეთის მოქალაქეობა აფხაზური კანონმდებლობის გვერდის ავლით. ეს ხდება აფხაზეთში არსებული ძალიან სერიოზული დემოგრაფიული მდგომარეობის ფონზე. აფხაზეთში უნდა შეიქმნას იმის პირობები, რომ ყოველივე ამან არ გამოიწვიოს მიგრაციული პროცესების დისბალანსი, რაც არ უნდა კარგი ურთიერთობები არსებობდეს ჩინეთსა და რუსეთს შორის, ყველაზე ხელსაყრელ პირობებშიც კი რუსეთი ალბათ არ დათანხმდებოდა ჩინეთს ორმაგ მოქალაქეობაზე, — ამბობს ხაჯიმბა.

გამოცემასთან საუბარში ხაჯიმბამ ბევრ საკითხზე გაამახვილა ყურადღება. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ხაჯიმბა რუსეთის პოლიტიკით უკმაყოფილოა. ჯერჯერობით ის უკმაყოფილებას ბაღაფშის მიმართ გამოხატავს. ხვალ კი შეიძლება მოსკოვის ქმედებაც გააპროტესტოს.

როგორც ჩანს, აფხაზები ნელ-ნელა ხვდებიან, როგორი დამოუკიდებლობაც მოიპოვეს. ამ დამოუკიდებლობის საფასური მათ საკმაოდ ძვირი დაუჯდებათ.

წესით ეს ამბავი მათთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო. მოსკოვის პოზიცია აფხაზეთთან დაკავშირებით ძალიან ნათლად დააფიქსირა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ. მას მართალია კლოუნს ეძახიან, მაგრამ როგორც წესი, კრემლის თავის პოზიციას მას ახმოვანებინებს.

— აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დიახაც ვაღიარეთ. ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ ჩვენს ეს მიწები გვჭირდება. აფხაზებსა და ოსებს კი მხოლოდ როგორც მომსახურე პერსონალს, ისე განვიხილავთ, — განაცხადა ჟირინოვსკიმ.

საინტერესოა, რომ მან ეს განცხადება აღიარებიდან რამდენიმე დღეში გააკეთა. მაშინ აფხაზებს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მაშინ ისინი დამოუკიდებლობას ზეიმობდნენ.

ყველა ზეიმსა და ქეიფს, როგორც წესი, „პახმელია" მოსდევს. როგორც ჩანს, ახლა აფხაზებს „პახმელიის" ჟამი უდგათ.

## სილქნეტის შენობასთან აქცია გაიმართა



ტელეკომპანია „მაესტროს" მხარდამჭერებმა კომპანია „სილქნეტის" წინ „მაესტროს" ქსელში ჩართვის მოთხოვნით აქცია გამართეს. აქციაზე მყოფმა მხარდამჭერებმა და „მაესტროს" ჟურნალისტმა შალვა რამიშვილმა „სილქნეტისგან" განმარტება მოითხოვეს, — რატომ არ რთავს სამაუწყებლო პაკეტში ტელეკომპანია „მაესტროს".

რამიშვილმა კომპანიის ხელმძღვანელობას ათასი მხარდამჭერის ხელმოწერა გადასცა, რომელშიც მხარდამჭერები გამოხატავენ თავიანთ პოზიციას, რომ აქვთ სურვილი მათი საკაბელო ტელევიზიის აბონენტები გახდნენ, თუ პაკეტში იქნება ტელეარხი მაესტრო.

როგორც აქციაზე შალვა რამიშვილმა განაცხადა, „სილქნეტის" ხელმძღვანელობა უარს ამბობს ასეთ მიმზიდველ კომერციულ შეთავაზებაზე და არც იმის ახსნით იწუხებს თავს, რატომ აკეთებს ამას.

აქციის მიმდინარეობისას, ჟურნალისტი „სილქნეტის" ხელმძღვანელობას შეხვდა. თუმცა, მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. რამიშვილის თქმით, კომპანიის ოფისში მას უთხრეს, რომ „სილქნეტი" კერძო კომპანიაა და ზეწოლის ენაზე საუბარს ვერ აიტანს.

— ასეთი პასუხის პროტესტის გამოხატვას კვლავ გავაგრძელებთ და არ არის გამორიცხული, უფრო რადიკალური ფორმასაც მივმართოთ, — განაცხადა აქციაზე შალვა რამიშვილმა.

**მედიანიუსი**

## გრიგოლ ვაშაძე ერევანში თავის სომეხ კოლეგას შეხვდა

სომხეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სომეხ კოლეგას, ედვარდ ნალბანდიანს შეხვდა.

გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, საუბარი საქართველოსა და სომხეთს შორის სავაჭრო კავშირის განვითარებას, ორმხრივი სამართლებრივი ბაზის სრულყოფის აუცილებლობას შეეხო.

— განვიხილეთ, უპირველეს ყოვლისა, ორმხრივი თანამშრომლობის ჰუმანიტარული ასპექტები. ვილაპარაკეთ იმ ეკონომიკურ საკითხებზე, რომლებიც გადასაჭრელია იმისთვის, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის სასაქონლო ბრუნვა მაქსიმალურად გაიზარდოს და ურთიერთვაჭრობის მაჩვენებელმა მიაღწიოს იმ დონეს, რომელიც შეეფერება ორი ქვეყნის ურთიერთობას, — აღნიშნა გრიგოლ ვაშაძემ.

**მედიანიუსი**

## რუსთავში უბედურ შემთხვევას ორი ახალგაზრდა ემსხვერპლა

რუსთავში უბედური შემთხვევა მოხდა. 21-ე მიკრორაიონში 33 წლის მამაკაცი და 18 წლის ახალგაზრდა გოგონა, სავარაუდოდ, გაზის გაჟონვის შედეგად გარდაიცვალნენ.

გარდაცვლილები ახლობლებმა დილით მამაკაცის კუთვნილ ავტოფარეხშიმ ავტომანქანაში იპოვეს.

ფაქტს უბედური შემთხვევის კვალიფიკაცია მიეცა. გარდაცვლილები რუსთავის პროზექტურაში გადაასვენეს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## საქსტატი შაქრო კალაშოვის ყოფილ სახლში განთავსდება



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის თენგიზ ცეკვავას განცხადებით, საქსტატის ეროვნული სამსახური დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა №68ა-ში განთავსდება.

ამჟამად პეკინის ქ№4-ში არსებულ ფართს საქსტატი უახლოეს დღეებში, მაისის დასაწყისითვის დატოვებს, — აცნობა „მედიანიუსს" ცეკვავამ.

დაბა წყნეთში აღნიშნულ მისამართზე რეგისტრირებული სახლი ე.წ კანონიერი ქურდის შაქრო კალაშოვის საკუთრება იყო.

შეგახსენებთ, საქსტატის ამჟამინდელი შენობა 2011 წლის 12 იანვარს აუქციონზე 4 200 ათასს აშშ დოლარად შპს „4 პეკინმა" შეიძინა. აღნიშნული კომპანია საქსტატის ყოფილ შენობაში მრავალსართულიანი საოფისე ბიზნეს-ცენტრის მოწყობას გეგმავს.

**მედიანიუსი**

## ქმარ-შვილმა 63 წლის ქალი მეორე სართულიდან გადმოაგდო

ინციდენტი მოხდა გურჯაანის რაიონის ერთ-ერთ სოფელში. 63 წლის ცისმარ რ-შვილს მეუღლემ და შვილმა ჯერ სცემეს, შემდეგ კი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულიდან გადააგდეს. დაზარალებული მარცხენა ბარძაყის ძვლის მოტეხილობით გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოშია მოთავსებული და საოპერაციოდ ამზადებენ, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

დაზარალებულის მეზობლების განცხადებით, ინციდენტის დროს ცისმარ რ-შვილის მეუღლეც და შვილიც ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მათი თქმით, ეს ოჯახური ძალადობის პირველი შემთხვევა არ არის. ქალს თითქმის ყოველდღე სცემდნენ. შვილი ადრე გაასამართლეს კიდეც, მაგრამ არაფერი ეშველათ. რაც ხელში მოხვდებათ, ყველაფრით ურტყამდნენ. ეს საცოდავი ქალი სულ გზაზე იდგა და როგორც კი პატრულის მანქანას დაინახავდა, დახმარებას სთხოვდა. ბოლოს პატრული აღარც კი უჩერებდა. გურჯაანის პოლიციასაც მიმართა, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს. ორი დღის წინ კი მეორე სართულიდან გადმოაგდეს„, - აღნიშნეს მეზობლებმა.

თავად დაზარალებული ძალადობის ფაქტს უარყოფს. მისი თქმით, ღამით ეზოში წაიქცა და დაშავდა. მეზობლების განცხადებით, დაზარალებული დაშინებულია: ქმარიც და შვილიც დაემუქრნენ, პოლიციას ჩვენება არ მისცე, თორემ საავადმყოფოდან რომ გამოგწერენ, მოგკლავთო.

მომხდართან დაკავშირებით შს გურჯაანის სამმართველოში სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის.

**მედიანიუსი**

## 63 წლის მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო

63 წლის მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო. თვითმკვლელობა თბილისში, სამგორის რაიონში, ონაშვილის ქუჩაზე მოხდა. ნოდარ ბაქრაძემ თავი კუთვნილ ავტოფარეხში ჩამოიხრჩო, — იუწყება „პირველი არხი".

როგორც გარდაცვლილის მეზობლები ამბობენ, ბაქრაძე მთელი დღის განმავლობაში არ გამოჩენილა, რის შემდეგაც მათ ავტოფარეხის კარი შეამტვრიეს, თუმცა მამაკაცი უკვე გარდაცვლილი იყო.

შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია იმყოფებოდა. ცხედარს უკვე ჩაუტარდა ექსპერტიზა.

თვითმკვლელობის მიზეზად მამაკაცის ნერვული აშლილობა სახელდება.

**მედიანიუსი**

# „ცისფერი მთები" ანუ რა საჭიროა ორი პარლამენტი?

ნანა მიშელაშვილი

**რა შუაშია კინოფილმი „ცისფერი მთები ანუ ტიანშანი" და პარლამენტი? ორი სათაურის არ იყოს, რა საჭიროა ორი პარლამენტი? ქუთაისში პარლამენტის აშენების შემდეგ ქვეყანას ორი პარლამენტი ექნება. ქუთაისში პარლამენტის შენობის მშენებლობა ჯერ სრული მასშტაბით არ გაჩაღებულა, რომ ინფორმაცია გავრცელდა, საძირკველში გრუნტის წყლები ჩადგაო. ამ ინფორმაციას უმრავლესობის წევრები არ ადასტურებენ, სამაგიეროდ, ოპოზიცია ამბობს, რომ პარლამენტის ახალი შენობის ადგილი ჭაობიანია და ეს თავიდანვე უნდა გაეთვალისწინებინათ.**

**უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ მელიქიშვილი ამბობს, რომ ამ დღეებში ქუთაისში იმყოფებოდა, ქუთაისელებს შეხვდა, სადაც ოპოზიციის სხვადასხვა წარმომადგენლებიც იყვნენ და მათ არაფერი უთქვამთ პარლამენტის მშენებარე შენობაში გრუნტის წყლების შესახებ.**



ზურაბ მელიქიშვილი უარყოფს იმასაც, რომ პარლამენტის შენობის ასაშენებლად ალტერნატიული ფართობის მოძებნას შეუდგნენ. მისივე თქმით, მშენებლობა 2012 წლისთვის დასრულდება.

— პარლამენტის ქუთაისში გადატანა, ეს არ არის მხოლოდ შენობის გადატანა. ეს არის ახალი ნაბიჯი როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ და სოციალურ ნაწილში, არა მხოლოდ ქუთაისის და დასავლეთ საქართველოსთვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვის. ამას ამ ჭრილში უნდა შევხედოთ და არა იმ ჭრილში, შენობა როგორ შენდება. ჩვენ გადაწყვეტილება მივიღეთ და როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, ვთქვით, რომ მთელი რიგი ინსტიტუციები გადანაწილდებოდა რეგიონებში, — აღნიშნა ზურაბ მელიქიშვილმა. მან ამის მაგალითად დაასახელა საკონსტიტუციო სასამართლოს ბათუმში გადატანა და კონტროლის პალატის ქუთაისში გადასვლა.

ვრცელდება არაოფიციალური ინფორმაცია, რომ თბილისში პარლამენტის შენობა შეიძლება გაიყიდოს. რუსთაველის გამზირზე არსებული შენობა არაბმა, ბერძენმა და ჩინელმა ინვესტორებმა რამდენიმე დღის წინ უკვე მოინახულეს.

— ამის შესახებ არ ვიცი, ვერაფერს ვერ დაგიდასტურებთ, — ასეთია ზურაბ მელიქიშვილის პოზიცია.

უმრავლესობის წევრებისგან განსხვავებით, საკმაოდ ვრცელ კომენტარს აკეთებენ ოპოზიციის წარმომადგენლები. მათ ქუთაისში მშენებარე პარლამენტთან დაკავშირებითაც აქვთ საკუთარი შეხედულება და თბილისში არსებულ პარლამენტის შენობის მომავალთან დაკავშირებითაც.

ოპოზიციონერ დეპუტატს გიორგი ცაგარეიშვილს „ცისფერი მთები" და „სურამის ციხეც" გაახსენდა. რა შუაშია ეს ორი ფილმი საქართველოს პარლამენტთან? ერთიც და მეორეც ცაგარეიშვილს ქუთაისში პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებით გაახსენდა. დეპუტატმა ამ ეტაპზე ის არ იცის, ვის ჩააყოლებენ სურამის ციხის მსგავსად პარლამენტის მშენებარე შენობაში.

გიორგი ცაგარეიშვილი ამბობს, რომ ჟურნალისტებისა და დეპუტატებისგან იცის, რომ მშენებლობის დროს გარკვეული პრობლემები იყო, რომელმაც მშენებლობა შეაფერხა.

— თუ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ იციან, მე ვიცი, რომ ქუთაისს წყალი წყალტუბოდან მიეწოდება, იმ არტეზიული ჭებიდან, რომელიც წყალტუბოს რაიონში არის განლაგებული. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს მშენებლობა ახლოს არის ამ ზონასთან, არ გამოვრიცხავ, რომ მშენებლებმა ერთ-ერთ არტეზიულ დინებას მიაკვლიეს და ამიტომაც შეიქმნა პრობლემები. ამ ტერიტორიის დაჭაობების პრობლემა ყოველთვის იყო. ვინც მეტ-ნაკლებად იცის იმერეთის ეს კუთხე, ეს პრობლემა ყოველთვის იყო, მუდმივად წყალი დგებოდა, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ალასანიას პარტიის წევრი ამბობს, რომ ამ პრობლემატურ ადგილზე დაიწყო პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობა. გიორგი ცაგარეიშვილი ვარაუდობს, რომ ეტყობა სათანადო გეოლოგიური კვლევა-ძიება არ იყო ჩატარებული და სადაც ნახა წყალმა გასავალი, იქ ამოხეთქა.

— საერთოდ, ამ შენობის მშენებლობას ბედი არა აქვს. ჯერ იყო, ამ ადგილას დედა-შვილი დაიხოცა, შემდეგ წყალმა ამოხეთქა, კიდევ რა მოხდება, კაცმა არ იცის. არ მინდა ახლა მისნობაში გადავვარდე, მაგრამ ამ ქვეყანას წყალი შემდგარი აქვს, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

შეჩერდება თუ არა პარლამენტის მშენებლობა ქუთაისში? ამ კითხვაზე ცაგარეიშვილის პასუხი ასეთია: არ შეჩერდება. როგორც ბაიკალ-ამურის მშენებლობა არ შეაჩერა კომუნისტურმა პარტიამ, ტაიგაში ათასობით ადამიანი ჩააწვინა და მაინც ააშენა, ასევე არ შეჩერდება ეს მშენებლობა.

— იცით ეს მშენებლობა რას ჰგავს? სურამის ციხეს რომ აშენებდნენ და ინგრეოდა, ვიღაც უნდა ჩააყალო აუცილებლად. ვის შეწირავენ, ეს თავად გადაწყვიტონ, — იხუმრა ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, კოლხეთის დაბლობს ტენიანობის პრობლემა აქვს, სადაც არ უნდა დაარტყა ბარი, ყველგან წყალი ამოდის და ამხელა პარლამენტის მშენებლობას როდესაც იწყებდნენ, ეს უნდა გაეთვალისწინებინათ.

რაც შეეხება თბილისში არსებულ პარლამენტის შენობას, გაიყიდება თუ არა ეს შენობა? გიორგი ცაგარეიშვილს კონკრეტული ინფორმაცია არა აქვს, რომელი ქვეყნის ინვესტორებმა მოინახულეს საკანონმდებლო ორგანო.

— რუსთაველის გამზირზე არსებული პარლამენტის შენობა სასტუმროსთვის გამოუსადეგარია, რადგან ავარიულია. ეტყობა, ბატონ ბაქრაძეს, ისევე, როგორც ქალბატონ ბურჯანაძეს, ერთი მარკშეიდერი არ ჰყავდა. პარლამენტი ძალიან მაგონებს ფილმს „ცისფერი მთები", ვინ რას აკეთებს, კაცმა არ იცის. ისლა დაგვრჩენია, ამ ეზოში მოტობურთი ვითამაშოთ, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ამის შემდეგ დეპუტატი ხუმრობის ხასიათზე დადგა და პარლამენტის შენობაში ან მის ადგილას სამომავლოდ ბაზრობის გახსნაზეც იხალისა. ცაგარეიშვილი ხუმრობს, რომ ბაზრობის გახსნის შემთხვევაში, შესაძლოა, მის ოთახში საკანცელარიო ნივთები გაიყიდოს, პარლამენტის თავმჯდომარის ოთახში ფეხსაცმელი, ბრიფინგების ოთახში ლაბადები და ასე შემდეგ.

— მე არ ვიცი პარლამენტის შენობის მომავალი დანიშნულება, რას გააკეთებენ, რის გახსნას აპირებენ, ეს უნდა ჰკითხოთ ხელისუფლების წარმომადგენლებს. მაგრამ ერთი რამ უნდა ვთქვა, პარლამენტის შენობის ეზოში არის იუნკერთა საფლავები, ამიტომ, როდესაც გადაწყვეტენ რა უნდა გააკეთონ მომავალში, ერთი რამ იცოდნენ, რომ პარლამენტის შენობის ეზოში ის ადამიანები არიან დაკრძალული, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავი გაწირეს, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატებისგან განსხვავებით, ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ახალი მოწვევის პარლამენტი ბინას ახალ შენობაში დაიდებს. ამ ეტაპზე, ქუთაისში ახალი პარლამენტის მშენებლობა საძირკველს თითქმის ამოსცდა.

# საარჩევნო კოდექსი მზად შემოდგომაზე იქნება

ნანა მიშელაშვილი

**საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით მოლაპარაკების პროცესის ბედი კვლავ გაურკვეველია. როდის მიუჯდება ოპოზიციური რვიანი და ხელისუფლება მოლაპარაკების მაგიდას, თარიღი ჯერ უცნობია.**

საარჩევნო კოდექსი ერთ-ერთი საკითხი იყო, რაზეც ოპოზიცია ევროპისა და აზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს თინა ქეიდენაუს ესაუბრა.

საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, ბოლო პერიოდში უმრავლესობის წევრები კომენტარს არ აკეთებენ. ამ დღეებში მმართველი პარტიის თითქმის ყველა წარმომადგენელი კონკრეტული განცხადების გაკეთებისგან თავს იკავებდა.



არადა, ოპოზიცია კარგა ხანია საუბრობს, რომ ოპოზიციური რვიანი ხელისუფლების წინადადებებს ელოდება. ოპოზიციამ თავის წინადადებები მმართველ პარტიას კარგა ხნის წინ გააცნო.

„ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებების შედეგებს აშშ-ში მაისის ბოლომდე ელოდებიან.

საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით მოლაპარაკების დასრულებისთვის მაისის თვეს ასახელებდნენ „თავისუფალი დემოკრატები".

ოქტომბერში, როდესაც ოპოზიციური რვიანი და ხელისუფლება მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდა, მაშინ ითქვა, რომ ეს პროცესი მაისის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო. ოპოზიციამ მაისის თვე იმის გამო დაასახელა, რომ მაისში საგაზაფხულო სესია მთავრდება და პარლამენტს რიგგარეშე სესიაზე უნდა მოესწრო საარჩევნო კოდექსის მიღება.

ოპოზიციური რვიანის წარმომადგენლები საუბრობენ იმაზეც, რომ შემოდგომიდან საარჩევნო ადმინისტრაციების მომზადება უნდა დაიწყოს და ამისთვის საჭირო იყო გარკვეული დრო.

ის, რომ საარჩევნო კოდექსი მაისში მზად არ იქნება, ამაზე განცხადება უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა აკაკი მინაშვილმა უკვე გააკეთა. აქამდე მმართველი პარტიიდან არავის არ უთქვამს, რომ საარჩევნო კოდექსი შემოდგომისთვის გვექნება. აკაკი მინაშვილმა ოპოზიციის იმ წარმომადგენლებსაც უპასუხა, რომლებიც ამბობენ, რომ პარტნიორები ხელისუფლებას გარკვეულ ვადას უწესებენ.

— პარტნიორები ჩვენ ასეთ ვადებს არ გვიწესებენ. ამაზე პოლიტიკური პარტიები თანხმდებიან და ჩვენი გეგმით, ახალი საარჩევნო კოდექსი შემოდგომისთვის უნდა გვქონდეს, — აღნიშნა აკაკი მინაშვილმა.

ამდენად, თუ საარჩევნო კოდექსი შემოდგომაზე იქნება მზად, მასზე პარლამენტი მსჯელობას ალბათ შემოდგომაზევე დაიწყებს. სწორედ ახალი კოდექსით უნდა ჩატარდეს ქვეყანაში 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები.

## შსს-მ და ოთარ გვენეტაძემ მოქალაქისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იკისრეს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საადვოკატო დახმარებას უწევდა მოქალაქე ეკა მათიაშვილს, რომელსაც 2011 წლის 3 იანვარს, ვეტერანთა აქციის ძალის გამოყენებით დაშლის დროს, შსს-ს თანამშრომელმა — ოთარ გვენეტაძემ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. როგორც „მედიანიუსს" საია-დან აცნობეს, მათი დახმარებით, ეკა მათიაშვილმა სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. სარჩელი შეტანილი იყო როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე უშუალოდ ოთარ გვენეტაძის წინააღმდეგ. მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 10.000 ლარის გადახდას მოითხოვდა.

გუშინ გამართულ სასამართლო სხდომაზე, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ასევე ოთარ გვენეტაძემ დაადასტურეს ეკა მათიაშვილისადმი მორალური ზიანის მიყენების ფაქტი და მას დავის მორიგების გზით გადაწყვეტა შესთავაზეს. საბოლოოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ოთარ გვენეტაძემ იკისრეს ვალდებულება, ეკა მათიაშვილისადმი მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, თითოეულმა მათგანმა მათიაშვილს გადაუხადოს 4000-4000 (ოთხი ათასი) ლარი, სულ — 8.000 ლარი.

— მოხარულები ვართ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ისევე როგორც ოთარ გვენეტაძემ, აღიარეს მოქალაქისათვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი და გამოთქვეს აღნიშნული ზიანის ანაზღაურების სურვილი, თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ 2011 წლის 3 იანვარს ოთარ გვენეტაძისა და სხვა სამართალდამცველების ქმედებაში გამოიკვეთა სხვადასხვა სიმძიმის კანონდარღვევები. მოვუწოდებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადეკვატური პასუხისმგებლობა დააკისროს ყველა მონაწილე პირს, რომლებიც აღნიშნულ დარღვევაში მონაწილეობდნენ, — ნათქვამია საიას განცხადებაში..

**მედიანიუსი**

# ოპოზიციამ სააკაშვილს ხალხის მოტყუების საშუალება არ უნდა მისცეს

## 21-ე საუკუნეში საქართველო ფეოდალური მეთოდებით იმართება



ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ შალვა ხაჭაპურიძესთან

***— ბატონო შალვა, თქვენთვისაც ცნობილია სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით. როგორც ადვოკატი, რა შეფასებას მისცემდით ამ ყველაფერს?***

— სტრასბურმა მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც ანალოგიურ საქმეზე უნდა მიეღო. ანუ მიიღო კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება. რა თქვა სტრასბურის სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა გირგვლიანის მკვლელობის საქმეში და რაც მთავარია, თქვა ის, რომ საქმეზე უნდა ჩატარდეს თავიდან გამოძიება. მე ბურჯალიანს მოვუსმინე გუშინ და ცოტა სხვანაირად გადმოაქართულა ეს ყველაფერი. ბუნებრივია, ახლა რას იტყოდა ბურჯალიანი, მისგან სხვას არც არაფერს არ მოველოდი. დარჩიაშვილის განმარტებაც მოვისმინე გუშინ კავკასიაზე, მანაც, ბურჯალიანის მსგავსად, ანალოგიური გაიმეორა, ანუ ერთიანი პოზიცია ჩამოაყალიბეს, კი ბატონო, ეწეროს სტრასბურის სასამართლოში ეს, ჩვენ ვიტყვით იმას, რაც ჩვენ გვინდაო. ღვთის წყალობით სტრასბურის სასამართლო არ არის საქართველოს სასამართლოები, რომ ვერ იგებ, რა წერია და როგორ წერია, იქ დეტალურად, ცალსახად, უკვე საიტებზეც შეუძლიათ შევიდნენ და ნახონ, თუ რა და როგორ წერია. ეს ყველაფერი გამოქვეყნდება, გამოეგზავნება საქართველოს ხელისუფლებას, სადაც ყველაფერი დეტალურად არის განმარტებული. კონკრეტულად ის, რომ საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა მონაწილეობა მიიღეს ამ ადამიანის მკვლელობაში და უფრო მეტიც, საქართველოს ხელისუფლებამ ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება და ხელი დააფარეს იმ ადამიანებს, ვინც აქტიური მონაწილეები იყვნენ ამ საქმეში. დაისაჯნენ მეორეხარისხოვანი ადამიანები და შემდეგ ეს მეორეხარისხოვანი ადამიანებიც საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა. შეიწყალა ისეთი ადამიანები, ვინც არ უნდა შეეწყალებინა, არამართებული იყო მათი შეწყალება. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ რასაც ყველა ერთხმად გავიძახით, რომ ქვეყანაში სამართალი არ არის, რომ არის შერჩევითი მართლმსაჯულება, სააკაშვილის მომხრე თუ ხარ, რაც გინდა, ის ჩაიდინე, თუ მოწინააღმდეგე ხარ, ადამიანი ისჯება ნებისმიერ გადაცდომაზე. ეს არის კატასტროფა. მეტი რაღა უნდა ქნას ახლა სტრასბურის სასამართლომ?! თუმცა, დამერწმუნეთ, რომ მცდელობა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, თავიდან აიცილონ ეს პასუხისმგებლობა იმდენად წარმოუდგენელია, რომ სასაცილოც კია.

***— ოპოზიციური პარტიების მხრიდან გაკეთდა განცხადებები, რომ ამ ხელისუფლებას მორალური უფლება აღარ აქვს ქვეყნის მართვისო, თუმცა, ეს ჩვენს ხელისუფლებას დიდად არ ანაღვლებს...***

— მორალური უფლება რომ არა აქვს ხელისუფლებას, მართოს სახელმწიფო, ეს იმ პერიოდშიც გამოჩნდა, როცა გირგვლიანი მოკლეს და მთელი საქართველო ქუჩაში იყო გამოსული ამ ფაქტთან დაკავშირებით და ჯერ კიდევ მაშინ ნორმალური ხელისუფლება საერთოდ უნდა წასულიყო ხელისუფლებიდან, მაგრამ იცით, რომ ეს არ გააკეთეს. უფრო მეტიც, ჰააგის სასამართლოში როდესაც იქნა ჩემ მიერ გაგზავნილი სარჩელი, სადაც დეტალურად არის აღწერილი არა მარტო გვირგვლიანის საქმე, არამედ ყველა ის უბედურება, რაც ამ ხელისუფლებამ ჩაიდინა ამ 7 წლის განმავლობაში. მაგრამ მორალთან ესენი მწყრალად არიან და როდესაც მორალთან მწყრალად არიან, ველაპარაკოთ ჩვენ ამ ხალხს საარჩევნო გარემოზე, ველაპარაკოთ იმაზე, რომ დემოკრატიულები უნდა იყვნენ და დემოკრატიულად უნდა მართონ სახელმწიფო, ეს არის წარმოუდგენელი. როდესაც ადამიანს ელაპარაკები, იცი, რომ ადამიანია და გაგიგებს, მაგრამ როდესაც ელაპარაკები ადამიანის სახედაკარგულ რაღაც არსებებს, ამათთან საუბარი, ჩემი აზრით, ზედმეტია. ხალხი უნდა გამოვიდეს ქუჩაში და გაუშვას ეს ძალა პოლიტიკურ მოუსავლეთში. აი, ეს არის გამოსავალი. სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება დევს და იმას აყალბებენ და მეტი რაღა უნდა მოხდეს ამაზე უარესი?! ამიტომ თუ ერს უნდა, რომ ნორმალურ რეჟიმში იცხოვროს და თუ უნდა, რომ ნორმალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს, არ ვიყოთ იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც დღეს ვართ, დღეს ჩვენ არშემდგარ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, მაშინ ერმა უნდა გამოიღვიძოს. ამათზე არაფერი არ მოქმედებს, უამრავი კრიტიკის წერილი გამოქვეყნდა დასავლეთის მხრიდან, მაგრამ უშედეგოდ, რადგან არაფერი მოქმედებს, ასეთ ძალას უნდა დაუპირისპირო ხალხის პროტესტი. მეტი გამოსავალი არ არსებობს. თუ ვინმეს ჰქონდა შემორჩენილი იმედი, რომ ამათთან საუბრით რამე შეიცვლებოდა, აგერ ბოლო წვეთი იმედიც ამ ურწმუნო თომებისთვის სახეზეა.

***— დღეს აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ამ ხელისუფლების გასაშვებად აუცილებელია ოპოზიციის ერთიანობა, ამის შესახებ თქვენც არაერთხელ გაგიკეთებიათ განცხადება. როგორ ფიქრობთ, არის მზად ოპოზიციური სპექტრი იმისთვის, რომ ამ საკითხში გაერთიანდეს?***

— საქმე რაში გახლავთ, საერთოდ უნდა ჩამოყალიბდნენ ეს ადამიანები, ვინც ოპოზიციაში არიან და თქვან, რომ პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, არის ის, რომ ვემიჯნებით სააკაშვილის ხელისუფლებას, აი, ეს უნდა იყოს მთავარი მესიჯი. რას ნიშნავს ვემიჯნებით სააკაშვილის ხელისუფლებას? ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ამ რეჟიმთან, რომელიც არის დანაშაულებრივი და ეს დოკუმენტი სტრასბურის სასამართლომაც დადო, ამის მერე ამ ადამიანებმა დასკვნა უნდა გააკეთონ. თუ ფიქრობენ, რომ ამ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით მოლაპარაკებები რაიმე შედეგს მოიტანს, ღმერთმა ხელი მოუმართოთ. თუ ეს ადამიანები ასე ფიქრობენ, ვერავინ ვერაფერს ვერ დააძალებს. ის ადამიანები მაინც, ვინც სხვაგვარად ფიქრობს და ფიქრობენ, რომ ამ ადამიანებთან მოლაპარაკებით ვერაფერს ვერ მივაღწევთ, არავის არ ეგონოს, რომ ვინმეს სიამოვნებდეს ქუჩაში სიარული და ქუჩაში საპროტესტო მანიფესტაციების მოწყობა, ძალიან შემცდარა. ნორმალურად ცხოვრება ყველა ადამიანს უნდა. ეს მისი ბუნებითი მოთხოვნილებაა, მაგრამ შენ როცა გამყოფებენ არანორმალურ რეჟიმში და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ სამართალი არ არსებობდეს ქვეყნისთვის, სახელმწიფო უშიშროება არ იყოს დაცული, ტერიტორიები და დაკარგული იყოს და ამას შევეგუოთ ჩვენ და ილუზია შევიქმნათ, რომ ეს ხალხი თავისი ნებით ადგება და არჩევნების გზით წააგებს, იმიტომ, რომ არანაირი რეიტინგი მათ არ გააჩნიათ, ძალიან ცდებიან. ამ მოლაპარაკებების პერიოდში ვხედავთ ჩვენ, რომ გიგი უგულავა საპრეზიდენტო მარათონშია ჩართული ყოველდღიურად, თუ ამას რომელიმე პოლიტიკოსი ვერ ხედავს, მაშინ ის პოლიტიკიდან ცოტა შორს დგას, რბილად რომ ვთქვათ. დააკვირდით საქართველოს ბოლო 20 წლის ისტორიას, თქვენ გინახავთ როდესმე ქართული ოპოზიციური ძალები გაერთიანებულიყვნენ? მე არ მახსენდება ასეთი შემთხვევა. სულ იყო საუბარი ამ გაერთიანებაზე, მაგრამ პრაქტიკულად ამ შედეგებს რატომღაც ვერ ვაღწევდით. დღესაც ახალ საწაულს და ციურ მოვლენას არ უნდა ველოდოთ, რომელიც ამ ხალხს გააერთიანებს. უნდა გაერთიანდეს ის ძალები, ვინც საკითხს უყურებს ერთ ჭრილში.

***— ბატონო შალვა, ის პარტიები მაინც, ვინც რადიკალური მოთხოვნებით გამოდის და ვინც აქციებისთვის ემზადება, მათ მაინც ხომ უნდა შეძლონ ერთად დადგომა? დღეს ისინიც დაპირისპულები არიან ერთმანეთთან, ალბათ დამეთანხმებით...***

— ძირითადათ ორი მიმართულების ოპოზიციური პარტიები წამოვიდა, ორი შეხედულებაა, ერთი — ველაპარაკოთ ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, კი ბატონო, ლაპარაკობენ, მაგრამ შედეგი არ არის სამწუხაროდ და მეორე, რომელიც ამბობს, რომ უნდა მოხდეს რევოლუცია. თუმცა, პირველი გზა მიუღებელია იმიტომ, რომ ვხედავთ ამ თემაზე ასე ამოჭრილად საუბარი არანაირი შედეგის მომტანი არაა. მეორე ძალა იძახის — რევოლუციაო. თუმცა, ერთიც და მეორეც არის ერთი დიდი პროცესის შემადგენელი ნაწილები. აქ უფრო სხვა პროცესები უნდა წარიმართოს და სხვა სახელწოდება უნდა ერქვას ამ პროცესს. ეს პროცესი არის ტირანიასთან ბრძოლის გზები და საშუალებები. ასე ამოჭრილად და ცალ-ცალკე თავშივე წაგებული იდეებია. ამიტომ უნდა გამონახონ ამ ადამიანებმა თავინთ თავში ძალა, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და ამ პროცესებს უნდა დაარქვან თავიანთი სახელი. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ დემოკრატიისთვის, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ტირანიის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში ყველა ის ხერხი, რომელიც შედეგს მოგვიტანს და არის კონსტიტუციური და დამერწმუნეთ, რომ ამ კონსტიტიციურ გზაში არის იმდენი მექანიზმი და საშუალება, რომ ტირანიას არათუ უკან დაახევინო, არამედ აიძულო, რომ საერთოდ წავიდეს ხელისუფლებიდან. აი, ეს არის მთავარი. საუბარი იმაზე, რომ მე მარტო რევოლუციის მიმდევარი ვარ, ან მარტო საარჩევნო გარემოს მიმდევარი ვარ, ეს აბსოლუტურად წამგებიანია. ეს არის ორი პატარა სეგმენტი და კაცმა არ იცის, ეს ორი სეგმენტი როგორ დამთავრდება. ეს ორი სეგმენტი რომ უშედეგოდ დამთავრდეს, სად არის მესამე გზა, მეოთხე გზა? ამიტომ ეს უნდა იყოს კომპლექსურად. ვისაც გონება შესწევს, ამაში ჩაერთვება. ვიცი, რომ ბევრი პოლიტიკური ძალა აქტიურად იწყებს ამ თემებზე საუბარს, მოლაპარაკებებს და იმედი მაქვს, რომ ეს ყველაფერი შედეგიანად დამთავრდება და დაიწყება ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა. მთავარია ჩვენ მორალური უპირატესობა მოვიპოვოთ. მორალური უპირატესობაა იგივე გირგვლიანის საქმე, იგივე ჰააგის სარჩელი. პასუხს ვერ სცემს ხელისუფლება, იცის, რომ დამნაშავეა და საზოგადოების თვალწინ ის მორალურად გატეხილია, აი, ამ შემთხვევაში იყენებ უკვე სხვადასხვა გზებს ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ერთი კონკრეტული სეგმენტი, მე ვაწყობ რევოლუციას, მე ვაწყობ მოლაპარაკებას, სამწუხაროდ, ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად შედეგის მომტანი ვერ იქნება. ეს უნდა იყოს მთელი პროცესი და ამ პროცესში, დამერწმუნეთ, ხელისუფლებას მოვუგებთ.

***— სახალხო კრებას უკვე დაანონსებული აქვს, რომ ის მაისის დასაწყისიდან იწყებს ამ პროცესებს, როგორ ფიქრობთ, რამდენად ეფექტური იქნება ეს გამოსვლები და თუ ჩაერთვება საზოგადოება ამ ყველაფერში?***

— საზოგადოებაში მუხტი არსებობს და ძალიან დიდი მუხტი. ყველას მოგვიწია ახლა ამ დღეებში გასვლა რაიონებში და ხალხთან შეხვედრები, გინდა-არ გინდა ხომ და როდესაც გესაუბრებიან, ყველა ამ მუხტზე საუბრობს. ეს მუხტი ნამდვილად არსებობს და მას უნდა კარგად გამოყენება, გონივრულად გამოყენება. სახალხო კრება დღეს ვიწრო წრეში აპირებს, რომ გააკეთოს თავისი გეგმების გაჟღერება, ჩვენ მათ მოვუსმენთ თუ რა პოზიციები ექნებათ, როგორი გეგმები აქვთ, თუ საჭირო იქნება კორექტივებიც იქნება შეტანილი ამ სამოქმედო გეგმაში. მე როგორც ვხედავ, ქართული პარტიაც გარკვეულწილად ემზადება, ემზადება სხვა ძალებიც. უნდა მოხდეს ამ პატრიოტული ძალების კონსოლიდაცია და დამერწმუნეთ, შედეგი იქნება აუცილებლად. ხელისუფლება დღეს მორალურად გატეხილია. დამერწმუნეთ, მსოფლიო საზოგადოების შეფასებები ამ ხელისუფლების წინააღმდეგ საკმაოდ რადიკალურია და საკმაოდ მწვავეა. ის, რომ ქალბატონი ჰილარი კლინტონი ამბობს, რომ ამ ხელისუფლების ცვლა უნდა მოხდეს აუცილებლად და ეს თუ არჩევნების გზით მოხდება, გადასარევია, ჩვენც ამის მომხრე ვართ, მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ რა უნდა გააკეთო? ქვეყანაში გყავს ტირანი და ტირანს უნდა ებრძოლო, მეტი გამოსავალი აქ არ არის.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ საზოგადოება საბრძოლველად მზად არის?***

— მე ვფიქრობ, რომ საზოგადოება მზად არის. მთავარია პოლიტიკურმა ძალებმა გამოხატონ მზადყოფნა, პოლიტიკური ნება. თუ ახლა ვერ ხერხდება ვილაცების გაერთიანება ამ ეტაპზე, დამიჯერეთ, დადგება მომენტი, როცა სიტუაცია იქნება საკმაოდ გამწვავებული, მაშინ ყველა პოლიტიკური ძალა ჩაერთვება ამ პროცესებში.

***— ქართული პარტია თითქოს აცხადებს, რომ მზად არის, სახალხო კრებასთან სათანამშრომლოდ, თუმცა, ნინო ბურჯანაძის გარეშეო და ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს წარმოუდგენელია, რადგან სახალხო კრება და ნინო ბურჯანაძე დღეს ერთად მოიაზრება...***

— ეს მოლაპარაკების საგანია და თვითონ მიიღებენ ამ ყველაფერზე გადაწყვეტილებას. მე ამ პროცესებში ჩართული არა ვარ, მოვისმინე ეს განცხადებები, ქართული პარტიის წევრების შეხვედრა იყო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, იქაც იყო ამ საკითხზე საუბარი, თუმცა იქ არ უთქვამთ, ბურჯანაძის გარეშეო, მინდა გითხრათ. მათ გამოთქვეს მზადყოფნა, რომ კი ბატონო, მზადა ვართ ჩვენ ერთად დავდგეთ. მე არ ვიცი, ქალბატონი ნონო ბურჯანაძის ან კრების პოზიცია როგორია. კარგი იქნება, თუ პიროვნულ წყენებს დაივიწყებენ ადამიანები, თუ ეს მარტო პიროვნულ წყენებზეა და თუ პრინციპული სხვაობაა და პრინციპული აზრთა სხვადასხვაობაა, ასეთი ერთობა არც გინდოდეს ადამიანს, დამიჯერეთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყოველთვის ვამბობდი, ასი ხეიბარი რომ დააყენო ერთად, ერთი გლადიატორი არ გამოდის და ნუ აქვთ ადამიანებს ისეთი წარმოდგენა, რომ თუ ყველა გაერთიანდება, ამითი სიკეთე იქნება. გაერთიანება არის იმ ძალებზე, ვინც ქმედითუნარიანია, ვისაც შესწევს რესურსები ამ პროცესების წარმართვის და ვინც იჩემებს, რომ აქვს ასეთი რესურსები. ასეთ ძალებში მიდის გაერთიანება და ესეც შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობა ემთხვევა ერთმანეთს, მათი ძირეული შეხედულებები ემთხვევა ერთმანეთს. პიროვნული საკითხები ნაკლებად აინტერესებს საზოგადოებას. საზოგადოების შეკვეთა არის რა, ამ რეჟიმის დემონტაჟი. ამიტომ ეს შეკვეთა უნდა შესრულდეს. მე ვფიქრობ, რომ ეს წინააღმდეგობები უნდა დაიძლიოს.

***— ბატონო შალვა, თქვენ განაცხადეთ, რომ თბილისის მერი გიგი უგულავა საპრეზიდენტო კამპანიას აწარმოებს. ითქვა, რომ გიგა ბოკერია და მისი გუნდი წამოაყენებს უგულავას კანდიდატურასო. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს და რა შანსები აქვთ მათ?***

— პოლიტიკა ფინანსების გარეშე ვერ კეთდება ვერსად. მე ამით ახალს არაფერს ვამბობ. ფინანსები რომ ნაციონალური მოძრაობის ხელშია აკუმულირებული, ამაშიც კიდევ ორი აზრი არ არსებობს. შავი ფული და რა ვიცი, ათასი რჯულის თანხებია თავმოყრილი. ბუნებრივია, ხელისუფლებაში მყოფი ხალხი იმასაც ხვდება, იგივე ბოკერია, უგულავა და მათი დაჯგუფება, რომ სააკაშვილის რეიტინგი არის ნულს ქვემოთ. ამ ადამიანმა ქვეყანა დაქცევის პირას მიიყვანეს, თუმცა, თვითონ ჰგონია, რომ ბევრი კარგი რამ გააკეთა და ვერ ხვდება, რომ 21-ე საუკუნეში საქართველო ისევ ფეოდალური მეთოდებით არ უნდა იმართებოდეს და საზოგადოება არ უნდა იყოს ასე კატასტროფულად დაყოფილი სოციალურად. ხუთი პროცენტი მილიონერი გახდა ქვეყანაში და დანარჩენი 95% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არის. ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცის ნაციონალური მოძრაობის ამ დაჯგუფებამ, საკმაოდ სერიოზულად ფიგურირებს ბენდუქიძე და კიდევ სხვა მსხვილი ბიზნესმენები, ამიტომ ისინი შეეცდებიან ამ თანხებით მოახდინონ ხალხის მანიპულირება და იცით, ამას როგორ აკეთებენ, ათასნაირი მეთოდები აქვთ შემუშავებული. ვნახოთ, თუ მიეცი შესაძლებლობა და საშუალება, რა თქმა უნდა, გააკეთებენ და თუ არ მიეცი შესაძლებლობა, არაფერი გამოუვათ. მათი მიზანი არის, არ გაემიჯნონ სააკაშვილს და დადგება დრო, რომ გაემიჯნებიან და იტყვიან, რომ ჩვენ ცალკე გუნდი ვართ, დიდი სიკეთე გვინდოდა ქვეყნისთვის და ასე შემდეგ. მეტსაც გეტყვით, სააკაშვილი რომ ადგეს და დააპატიმროს ვანო მერაბიშვილი და ერთი-ორი მინისტრიც მიაყოლოს კიდევ, დღეს ისე ჰყავთ საქართველოში ამ ტელევიზიებით მოსახლეობა დაზომბირებული, რომ შეიძლება მას ძეგლიც დაუდგან საქართველოში. ამიტომ ეს საშიშროებები არსებობს, ხელისუფლებას აქვს იმის რესურსი, რომ ათასნაირი მანიპულირებით ხრიკები ჩაატაროს და კიდევ ერთხელ შეეცადონ გამოძვრენ, რბილად რომ ვთქვათ, ამ მეტად უხერხული მდგომარეობიდან. ჩვენი მიზანია, რომ საქართველოს მოსახლეობას დავანახვოთ, რეალურად რა ხდება და მთელი მართვის ბერკეტები ოპოზიციურმა სპექტრმა აიღოს ხელში. მე ასე ვუყურებ ამ ყველაფერს, თუ ამ დაჯგუფებამ გაიმარჯვა, იქნება იგივე რეჟიმი, ოღონდ სხვა სახელებით და საქართველოს დაგლეჯვა-დაქუცმაცება და გაუბედურება კვლავ გაგრძელდება.

***— ალბათ, არ უნდა მოტყუვდეს საზოგადოება...***

— არ უნდა მოტყუვდეს და ამაში დიდი როლი პოლიტიკოსებმა უნდა ითამაშონ, ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა, რომ დაანახვონ საზოგადოებას ამ რეჟიმის ნამდვილი სახე.

### რუსთაველსა და ჭავჭავაძეზე მარშრუტკები ივლიან

თბილისში, რუსთაველისა და ჭავჭავაძის გამზირებზე მიკროავტობუსების მოძრაობა შესაძლოა, უახლოეს პერიოდში აღდგეს.

როგორც „ინტერპრენიუსს“ თბილისის მერიაში განუცხადეს, საკითხი დამუშავების პროცესშია. მერიაში განმარტავენ, რომ თუ რუსთაველისა და ჭავჭავაძის გამზირებზე მიკროავტობუსების მოძრაობა აღდგება, ეს ტენდერში გამარჯვებული კომპანიების ტრანსპორტი იქნება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა რაიმე დეტალი უცნობია.

თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ სამარშრუტო ხაზების ტენდერში ოთხმა კომპანიამ გაიმარჯვა. რუსთაველისა და ჭავჭავაძის გამზირებზე მიკროავტობუსების მოძრაობა რამდენიმე წლის წინ აიკრძალა.

ინტერპრესნიუსი

# ლავროვს აფხაზეთთან პრობლემების „ბუნებრივად" გადაწყვეტა სურს

გერა მამულაშვილი



**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან ინტერვიუს უცხოური მედია აქვეყნებს. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**

*— სერგეი ვიქტოროვიჩ, თქვენი აზრით, როგორია რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობების დინამიკა?*

— მე ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების დინამიკას პოზიტიურად ვაფასებ. შექმნილია მყარი სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა, რომელიც ურთიერთობების სამოკავშირეო ხასიათს განსაზღვრავს. ჩვენ ერთობლივი ძალისხმევებით უზრუნველვყავით აფხაზეთის უსაფრთხოება, მისი საზღვრების დაცვა. იგივე სამართლებრივი ბაზა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, ინტენსიური და მჭიდრო ურთიერთთქმედების საშუალებას გვაძლევს.

ფორმირებულია და აქტიურად ხორციელდება 2010-2012 წლებში აფხაზეთის განვითარების ერთობლივი კომპლექსური გეგმა. ხორციელდება ინფრასტრუქტურის პროექტები საგზაო მშენებლობის სფეროში. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ჰუმანიტარულ საკითხებს. ეს ყველაფერი ჩვენი ურთიერთობების საფუძველს შეადგენს და ორი ქვეყნის მოქალაქეთა ინტერესებს პასუხობს.

ჩვენ, ასეთი შეთანხმებების და ხელშეკრულებების განტოტვილი სისტემა ცოტასთან თუ ჩამოგვიყალიბდა. მთლიანობაში 58 სახელმწიფოთაშორისი და მთავრობათაშორისი დოკუმენტები მოქმედებს. დღეს ამ ყოველივეს კიდევ ერთი დაემატა — საინფორმაციო-კულტურული ცენტრების შესახებ შეთანხმება. ეს ჩვენს ქვეყნებს და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ჰუმანიტარულ ურთიერთქმედებას გაამდიდრებს. მუშა პროცესში იმყოფება დაახლოებით 40 დამატებითი დოკუმენტი, რომელიც სხვადასხვა დარგებში კონკრეტული თანამშრომლობის ფორმებს განსაზღვრავს.

არსებითად, სახელმწიფოს და მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის ყველა სფერო მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებებით არის მოცული. საერთაშორისო მიზნების გათვალისწინებით ჩვენი მნიშვნელოვანი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რეგიონში უსაფრთხოება უზრუნველვყოთ, რათა ყველა ქვეყანა, განსაკუთრებით აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, თავს სრულიად უსაფრთხოდ გრძნობდნენ და გარე სამყაროსთან ნორმალური ურთიერთობის შესაძლებლობა ჰქონდეთ. ასეთი ურთიერთობა შეუქცევადად ფართოვდება.

ის ქვეყნებიც კი, რომლებიც სუბიექტური მიზეზებით დამოკიდებელ სახელმწიფოდ აფხაზეთის ოფიციალური აღიარებისთვის ჯერ კიდევ „ვერ მომწიფდნენ", ეკონომიკური, კულტურული და სხვა მიზნების განვითარებისთვის ინტერესს იჩენენ. ვთვლი, რომ ეს ძალზე სასარგებლო პროცესია, რომელსაც საბოლოო ჯამში ვერავინ ვერ შეაჩერებს. ეს ცხოვრებაა და მოვლენათა ბუნებრივი მდინარებაა.

***— როგორ დგას აფხაზეთში უძრავი ქონების საკითხების გადაწყვეტისას, რუსეთის მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფის საკითხი?***

— ჩვენ ამ საკითხებს სოხუმში მიმდინარე შეხვედრებისას განვიხილავდით. ვაფასებთ იმ პირად ყურადღებას, რომელსაც აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მოცემულ პრობლემას უთმობს. მან უკვე დაიწყო გადაწყვეტა და დღეს ჩვენ შევთანხმდით, რომ ის გადაწყდება. რა თქმა უნდა, ეს დროს და გარკვეულ სახსრებს მოითხოვს. მთავარია, რომ ჩვენს მეგობრებს ამ საკითხის დახურვის პოლიტიკური ნება აქვთ.

***— დაუჭერს თუ არა მხარს რუსეთი ლიბიასთან დაკავშირებულ ახალ რეზოლუციას, თუ მისი პროექტი გაეროს უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში იქნება შეტანილი?***

— ასეთი რეზოლუცია ჯერჯერობით არ არსებობს. ამიტომ ჩვენს პოზიციაზე საუბარი ნაადრევია. შემიძლია გითხრათ, რომ თუ რეზოლუცია ყოველგვარი ძალადობის და სისხლისღვრის, ძალის გამოყენების და საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის მოწოდებით გამოვა, თუ მხარეებს მოუწოდებს, რომ მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ და თავად მოილაპარაკონ ლიბიის მომავალზე, მაშინ მას მხარს დავუჭერთ. თუ რეზოლუცია ერთი ან მეორე ხერხებით სამოქალაქო ომის შემდგომი გაღრმავებისკენ მიგვიყვანს, საგარეო ჩარევის ჩათვლით, მაშინ მას მხარს არ დავუჭერთ.

***— დავუბრუნდეთ აფხაზეთში თქვენს ვიზიტს; თქვენი აზრით, ორმხრივ ურთიერთობებში რა ტიპის პრობლემები არსებობს?***

— მე პრობლემებს ვერ ვხედავ. ვხედავ საკითხებს, რომლებიც ბუნებრივად წამოიჭრება და გადაწყვეტას მოითხოვს, როდესაც რუკაზე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო იქმნება. ეს საკითხები შეეხება ქონებრივ ასპექტებსაც. საზღვრზე გადაადგილების, მისი დელიმიტაციის და შემდგომი დემარკაციის შეთანხმების მომზადებასაც.

ჩვენ დღემდე ყველა მეზობელთან ეს საკითხები გადაწყვეტილი არ გვაქვს. ამიტომ ის ფაქტი, რომ აფხაზურ მხარესთან ამ საკითხის გადაწყვეტით აქტიურად ვართ დაკავებული, ეს ჩვენი კანტაქტების ინტენსიურობაზე მეტყველებს, რაც აფხაზეთის, როგორც ჩვენი ახლო მეზობლის, მეგობრის და მოკავშირის სახელმწიფოებრიობის დროული და სრულფასოვანი აღდგენისკენ არის მიმართული.

კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ ეს აბსოლუტურად ბუნებრივი პროცესია და ამ გზაზე ორწლინახევრის მანძილზე შესრულებული სამუშაო მართლაც შთამბეჭდავია. ამის შემდეგაც ასეთივე ტემპებით ვიმოძრავებთ.

***— თქვენ იმაზე საუბრობდით, რომ თუ საქართველო რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან შეერთებას პოლიტიკური მოტივებით შეეწინააღმდეგება, ამ საკითხის მისი (თბილისის) მონაწილეობის გარეშე გადაწყვეტის ხერხები არსებობს. ვერ დააზუსტებდით, მაინც რაზე მიდის საუბარი?***

— არ მსურს ამ საკითხის დეტალებში ჩაძიება. ვადასტურებ, რომ ასეთი შესაძლებლობები არსებობს და ის დაფუძნებულია იმ პრინციპებზე, რომლებზეც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია მოქმედებს.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულება 1 ლარი

# რუსეთსა და საქართველოს შორის ვითარება ისევ გამწვავდება



**როგორ შეხვდა რუსეთის საზოგადოება პრეზიდენტ მედვედევის ბოლოდროინდელ განცხადებებს, საიდანაც დარჩა შთაბეჭდილება, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე პრემიერ-მინისტრი პუტინი იყრის კენჭს, ასევე, როგორ შეხვდებიან დასავლეთი და აშშ კრემლში პუტინის დაბრუნებას და როგორ აისახება პუტინის ხელმეორე გაპრეზიდენტება რუსეთის მეზობელ ქვეყნებზე, კერძოდ, საქართველოზე, „ინტერპრესნიუსი" რუს პოლიტოლოგს, რუსეთის პრეზიდენტის საზოგადოებრივი საბჭოს წევრს, დიმიტრი ორეშკინს ესაუბრა.**

*— ბატონო დიმიტრი, პრეზიდენტმა მედვედევმა ტელეკომპანია „დოჟდში" განაცხადა, რომ პრეზიდენტის ვადის დასრულების შემდეგ პედაგოგიური საქმიანობა სურს, არ გამორიცხავს რომელიმე ტელევიზიაში პოლიტიკურ კომენტატორიობასაც. ამ განცხადებებიდან ცხადი გახდა, თუ ვინ იყრის კენჭს რუსეთში 2012 წლისთვის დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში. შეიძლება ითქვას, რომ მედვედევის ამ განცხადებებმა მედვედევ-პუტინს შორის „დახუჭობანას" თამაშს წერტილი დაუსვა. როგორ შეხვდა რუსეთის ლიბერალური პუბლიკა მედვედევის გულწრფელ აღიარებებს, რომელსაც მედვედევის მოდერნიზაციის გეგმებთან დაკავშირებით ილუზიები ბოლომდე ჰქონდა?*

— არ ვიცი, რამდენად ლიბერალია ბატონი კასიანოვი, მაგრამ მედვედევის ამ განცხადებებთან დაკავშირებით მან გამოთქვა მოსაზრება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მედვედევი ნამდვილად არ მიიღებს მონაწილეობას. მისივე აზრით, თუ თავად პუტინმა არ იყარა კენჭი, მისი მემკვიდრე მედვედევი ნამდვილად აღარ იქნება, ვინაიდან მედვედევმა უკვე საკმაო გამოცდილება დააგროვა და მეორე ვადით პრეზიდენტად დარჩენის შემთხვევაში, პუტინისაგან გაცილებით დამოუკიდებელი იქნებოდა, რაც მოქმედი პრემიერ-მინიტრისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ჩემი აზრით, პუტინთან შედარებით მედვედევს გაცილებით ნაკლები შანსი აქვს. მედვედევს რომ სამართლიანი არჩევნები მოეგო, ცესკ-ოს თავმჯდომარედ ნეიტრალური პიროვნება უნდა ყოფილიყო, მაგრამ პუტინის მცდელობით საარჩევნო ადმინისტრაციას ისევ ჩუროვი უხელმძღვანელებს, რომელსაც ეკუთნის გამოთქმა — „პუტინი ყოველთვის მართალია". მედვედევმა ადმინისტრაციული რესურსისთვის პუტინთან ბრძოლა წააგო. ძალოვნები ისედაც პუტინის მხარდამჭერები იყვნენ. მარჩიელობა არ არის საჭირო, ვის გამოაცხადებს არჩევნებში გამარჯვებულად ჩუროვის თავმჯდომარეობით საარჩევნო კომისია, თუ არჩევნებში მონაწილეობას პუტინი მიიღებს.

*— ფაქტია, რომ მედვედევის განცხადებები მეტი თავისუფლების, ხელისუფლების არჩევითობისა და რუსეთის მოდერნიზაციის აუცილებლობის შესახებ სრული ილუზია აღმოჩნდა. აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ტანდემში ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებების საჯაროდ დაფიქსირება მხოლოდ დასავლეთისთვის გათამაშებული სცენარის ნაწილი იყო...*

— არა, მედვედევს მართლაც სურდა ქვეყნის მოდერნიზაცია, ამ მიმართულებით შესაძლოა, ნაკლებად შესამჩნევი, მაგრამ გარკვეული ნაბიჯები მაინც გადადგა. რუსეთი დიდი ქვეყანაა და მისი მოდერნიზაცია არც ისე მარტივი ამოცანაა. ქვეყანაში არსებობენ საკმაოდ დიდი და გავლენიანი ჯგუფები, რომელთა ინტერესების გაუთვლისწინებლობას შეიძლება, პრობლემები და ქვეყანაში ვითარების გართულება მოჰყოლოდა. მედვედევს მოუწია, ანგარიში გაეწია როგორც ძალოვნებისთვის, ისე ოლიგარქებისა და მაღალი რანგის ჩინოვნიკებისთვის. იგი შეეცადა ქვეყანაში ინტერნეტის ქსელის გაფართოებას. მესმის, რომ ეს არ არის დემოკრატიის განვითარების გარანტია, მაგრამ ინტერნეტი ქმნის დემოკრატიული პროცესების განვითარების პირობებს. მედვედევი შეეცადა ქვეყანაში სამართლებრივ ნიჰილიზმთან ბრძოლას. ამ თემებზე საუბრისას უნდა ითქვას, რომ მისი მოქმედების არეალი საკმაოდ შეზღუდული იყო და ბევრად იყო დამოკიდებული პრემიერ-მინისტრ პუტინზე. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ მედვედევი გადაწყვეტილების მიღებისას პუტინივით მტკიცე არ აღმოჩნდა და მერყეობდა. მედვედევი პრეზიდენტად სწორედ იმიტომ აირჩიეს, რომ ბუნებით მერყევი ადამიანია.

***— თქვენი აზრით, როგორ შეხვდება დასავლეთი და იგივე ვაშინგტონი კრემლში პუტინის სავარაუდო დაბრუნებას?***

— ცხადია, რომ დასავლეთისა და აშშ-ს ელიტჯგუფები პუტინით აღფრთოვანებული არ არიან, მაგრამ დასავლეთი, მიუხედავად იმისა, როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ რუსეთში ჩატარებულ არჩევნებზე, ნებისმიერ არჩევანს მიიღებს, რომელსაც რუსეთის მოსახლეობა გააკეთებს. დასავლეთს იმ პიროვნებასთან ექნება საქმე, ვინც ქვეყანაში ვითარებას რეალურად აკონტროლებს. ასე იქცევა დასავლეთი ჩინეთის, ჩრდილოეთ კორეის, ბელორუსის და იმავე ლიბიის მმართველის მამართაც.

***— სათათბიროში გამოსვლისას პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთის სტაბილური განვითარებისთვის ლიბერალური ექსპერიმენტები საჭირო არ არის. პუტინის ამ ტიპის განცხადებები ხომ არ ნიშნავს, რომ მისი პრეზიდენტობის შემდეგ 6 წელში ქვეყანას რაიმე სიახლე არ ელოდება?***

— დიახ, სწორედაც რომ ასეა. საქმე იმაშია, რომ პუტინს კარგი პოლიტიკური ალღო აქვს, კარგად ესმის, რომ მისი პოლიტიკური მხარდამჭერები არიან ადამიანები, რომლებსაც პირობითად, საბჭოთა უმრავლესობა შეიძლება ეწოდოს. ეს ადამიანები დღესაც საბჭოთა სისტემის ღირებულებების მიმდევრები არიან, სამართალზე საბჭოთა შეხედულებები აქვთ და ასევე საბჭოთა კატეგორიებით მსჯელობენ იმაზე, თუ ვინ არის რუსეთის მეგობარი ანაც მტერი. პუტინმა რუსეთში გაცნობიერებულად აღადგინა ღირებულებათა საბჭოთა სისტემა და ახლა ამით საკმაოდ კარგადაც სარგებლობს. იგი ამტკიცებს, რომ 90-იან წლებში განუკითხაობა იყო, მაგრამ განუკითხაობას წერტილი დაუსვა და წესრიგი დაამყარა. პუტინი საჯაროდ კი აცხადებს, რომ არავითარი ლიბერალიზმი საჭირო არ არის, მაგრამ გონიერი კაცია და ევროპაზე ორინეტირებულ ადამიანთა სხვა ჯგუფებს აგრძნობინებს, რომ ყველაფერთან ერთად მას საკმაოდ ლიბერალური შეხედულებები აქვს. იმავდროულად იგი აცხადებს, რომ ეკონომიკაში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს, მაგრამ, რეალურად, რუსეთში, როგორც ყველაფერში და ყოველთვის, სწორედაც რომ ოფიციალურად გაცხადებული პოზიციის საპირისპიროდ ხდება.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

Cisco მცირე ბიზნესისათვის ახალ შემოთავაზებას ამზადებს!



Cisco მსოფლიოში აღიარებული ლიდერი კომპანიაა ლოკალური და გლობალური საქსელო ტექნოლოგიების მიმართულებით. იგი მომხმარებელს სთავაზობს მომსახურების სრულ სპექტრს საქსელო-საკომუნიკაციო სისტემების სფეროში. Cisco-ს გადაწყვეტილებები მიესადაგება, როგორც საშუალო და მცირე ბიზნეს კომპანიებს, ისე მსხვილ ორგანიზაციებს.

ამჯერად, კომპანიამ გადაწყვიტა, მცირე ბიზნესისათვის ახალი პროდუქტი შეეთავაზებინა, რომელიც სულ მალე გამოჩნდება ქართულ ბაზარზეც. CiscoUC320-თანამედროვე გადაწყვეტის ციფრული სატელეფონო სისტემაა, რომელიც ძალზე მოსახერხებელია პატარა ოფისებისთვის. იგი აერთიანებს ზარების მიღებას, მათ გადამისამართებას, ხმოვან ფოსტას, სატელეფონო კონფერენციას და სხვა მრავალ თანამედროვე ფუნქციას. მას გააჩნია მხარდაჭერა 25 ტელეფონამდე (24 IP აპარატი, 1 ანალოგური) და აქვს დასაკავშირებელი პორტები ოთხი ურბანული ხაზისათვის. გარდა ამისა, მომხმარებელს საშუალება ეძლევა, დაამატოს კიდევ 8 ხაზი Cisco SP 8800-ის მეშვეობით. ეს არის მარტივი კავშირი, რომელსაც აქვს მზარდი სისტემა და იმართება საკმაოდ ადვილად. მასში ჩამონტაჟებული 4-პორტიანი Ethernet აქსეს პოინტი WiFi მხარდაჭერით 6-მდე სადენო მოწყობილობას აერთიანებს. ეს მოწყობილობა ძალიან პატარა ადგილს იკავებს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია პატარა ოფისისათვის. გარდა ამისა, მოწყობილობა უზრუნველყოფს SIP კავშირს, რაც საქალაქთაშორისო საუბარს უფრო იაფს და მოხერხებულს ხდის.

საქართველოში ეს პროდუქტი აგვისტოს თვეში გამოჩნდება.

კომპანია UNIT-ი ქართულ ბაზარზე დამკვიდრებული ლიდერი IT Outsourcing კომპანიაა, რომელიც, როგორც CISCO-ს პარტნიორი, ამ ტექნოლოგიის გაყიდვას და ინტეგრაციას განახორციელებს. დამატებითი ინფორმაცია CISCO-ს პროდუქციის შესახებ შეგიძლიათ მოითხოვოთ ნომერზე 20 74 22 ან info@unit.ge

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

# სს „საქართველოს ბანკის“ ფინანსური ანგარიშგება 31.03.2011 მდგომარეობით

[illegible]

თეა მარხვაი ე

# აფხაზეთი და სამაჩაბლო ამერიკელების წყალობით დავკარგეთ

## საქართველოს ბედი ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს

**ხელისუფლება ქუთაისში ახალი პარლამენტის შენობას გამალებით აშენებს. ახალი პარლამენტი მუშაობას უკვე ამ შენობაში შეუდგება. ოპოზიციის ნაწილისთვის ეს მიუღებელია. მათი მტკიცებით, პარლამენტის ქუთაისში გადატანა იმ მზაკვრული გეგმის ნაწილია, რომელიც საქართველოს გარეთ დაიწერა.**

**რა გეგმა დაიწერა საქართველოს წინააღმდეგ, ვისი კანდიდატურები განიხილება სააკაშვილის შემცვლელად, რატომ არის ირაკლი ალასანია ყველაზე სახიფათო, რას გამოიწვევს პარლამენტის ქუთაისში გადატანა ამის შესახებ აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

**ელიზბარ ჯაველიძე:**

— სააკაშვილმა ზარ-ზეიმით გვამცნო, რომ პარლამენტი ქუთაისში გადავა. ამ გადაწყვეტილებას ახსნაც მოუძებნა. ვითომ ქვეყნის დეცენტრალიზიციას ახდენს. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ასეთი რამეები არ ხდება. ყველგან დედაქალაქშია განთავსებული პოლიტიკური ორგანიზაციები. ამან კიდევ ყველაფერი აურია. ჯერ აილო და საკონსტიტუციო სასამართლო ბათუმში გადააგდო. ახლა პარლამენტს ქუთაისში უპირებს გადაგდებას. ეს ყველაფერი ხდება იმის გამო, რომ თბილისმა დაკარგოს დედაქალაქის ფუნქცია. მე წინააღმდეგი არ ვიქნები, თუ კულტურის ცენტრი გახდება ქუთაისი. პარლამენტის იქ გადატანა დაუშვებელია. ესენი კი გამალებული ტემპებით აშენებენ პარლამენტის შენობას. ასეთივე ტემპებით აშენებენ კორპუსებს პარლამენტარებისთვისაც. ქვეყანაზე ზრუნვით დაღლილებმა ხომ უნდა მოისვენონ. ეს ხელისუფლების მეტს საქართველოში არავის არ ახარებს.

***— როგორ არ ახარებთ, ქუთაისელებს უხარიათ.***

— ეს საქმეში ჩაუხედავ ქუთაისელებს უხარიათ. ამბობენ, პარლამენტი აქ რომ გადმოვა, დეპუტატებს ბინებს მივაქირავებთო. ნაქირავებ ბინებში ამათ ცხოვრება როგორ ეკადრებათ. სასტუმროს ტიპის კორპუსს უშენებენ.

***— ამ კორპუსში და პარლამენტში ხომ შეძლებენ ქუთაისელები დასაქმებას?***

— შეძლებენ. ოღონდ ის კი არ იციან, რომ იმ პარლამენტის შენობაში მხოლოდ დამლაგებლად თუ მოეწყობიან. ქუთაისელებს ეს ამბავი არ უნდა უხაროდეთ. მე ვიყავი ქუთაისში ამ დღეებში და ვნახე, იქ არსებული ვითარება. ეს არის საშინელება. განათლებული ადამიანები უმუშევრად არიან დარჩენილი. მათ საჭმლის ფულიც კი არა აქვთ. სამაგიეროდ ეს გაუნათლებელი ნაციონალები რესტორნებში ქეიფობენ. ამაში უამრავ ფულს ხარჯავენ. და ისედაც გაუბედურებულ ადამიანებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენენ. ქუთაისელები პარლამენტის მათ ქალაქში გადატანით ვერ იხეირებენ, ისევე, როგორც მთელი ქვეყანა. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა დეცენტრალიციაზე. ქვეყნის დეცენტრალიზაცია კარგია, ოღონდ თუ რეგიონებს ექნება თავისი ფინანსები და ეკონომიკა. ესენი კი ფინანსებს ხელიდან არ უშვებენ. ამ დროს ყური ცალკეა, ფეხი ცალკეა. ასე უნდათ შექმნან დომხალი. რასაც ესენი აკეთებენ, ამას სხვა შეფასება არა აქვს. ამ დომხალით ხდება ქვეყნის დანგრევა და დაშლა. სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია იშლება. ხალხი ძალიან შავ დღეში ჩავარდება. მე თუ დამჭირდა სასამართლოში ჩივილი, უნდა გავიქცე ბათუმში. პარლამენტის მიმართვა თუ დამჭირდა, ქუთაისში მომიწევს წასვლა. ამ გაჭირვებულ ხალხს პურის ფული არა აქვს და აქეთ-იქით როგორ ირბენს. ეს ყველაფერი კეთდება შეგნებულად. როგორც ჩანს, უნდათ, რომ პარლამენტი არ შევაწუხოთ.

***— არშეწუხებაში რას გულისხმობთ?***

— თბილისში მიტინგები რომ იმართებოდა, ამის გამო 2 თვის განმავლობაში პარლამენტში ვერ შედიოდნენ. ასევე უნდათ, რომ სასამართლოს რაც შეილება ნაკლებმა ადამიანმა მიმართოს. ეს არ უშველით. ხალხი არის, როგორც მდინარე. უკმაყოფილება თუ იქნება, ქუთაისი ვერ გადაარჩენთ. იქაც მიადგებიან პარლამენტს. მე მაინც მგონია, რომ პარლამენტის თბილისიდან გადატანის გადაწყვეტილების მთავარი მიზანი სხვა რამეა.

***— სხვა რა მიზეზია?***

— უნდათ, რომ ქვეყანა ნელნელა დაიშალოს. უნდათ, რომ საქართველოს მოეშალოს თავი. თავი თუ დაიშალა, კიდურებიც ვერ იმუშავებს.

***— არის ვერსია, რომ ამ გადაწყვეტილებით სააკაშვილმა თბილისზე შური იძია. რადგანაც მას საპრეზიდენტო არჩევნებში ხმა არ მისცეს.***

— მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. მას თბილისი რომ არ უყვარს, ყველამ იცის. თბილისი არ ჩერდება და არ ეგუება მის გამოხტომებს. როგორც უკვე გითხარით, სხვა რამეა მიზეზი. ამას ის სხვისი კარნახით აკეთებს.

***— ვისი კარნახით?***

— იმათი, ვისაც უნდა, რომ საქართველო 7 ნაწილად დაიყოს. ეს არის ძალიან სერიოზული გეგმა. მე ამის შესახებ უკვე წლებია ვიცი.

***— ვინ მოგაწოდათ ამის შესახებ ინფორმაცია?***

— ასლან აბაშიძემ. იმ დროს ის ჯერ კიდევ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური იყო. ეს არის ძალიან სერიოზული გეგმა. როცა საქართველო შვიდ ნაწილად გაიყოფა, თბილისს პრეტენზია აღარ უნდა ჰქონდეს, რომ ის არის ამიერკავკასიის ცენტრი. საქართველოს ცენტრობაზეც კი არ უნდა იოცნებოს. სააკაშვილი და მისი მფარველები საქართველოს ძალიან ცუდ საქმეს უკეთებენ.

***— ოპოზიციის ნაწილი ამბობს, რომ სააკაშვილს ევროპასა და ამერიკაში თავისი მფარველები შემოსწყრნენო. თქვენ ამაზე რას ფიქრობთ, მართლა შემოსწყრნენ?***

— მართალი რომ გითხრათ, არ მაინტერესებს, რას ფიქრობს ოპოზიციის ეს ნაწილი. მათ თავისი მომავალი გეგმები დაკავშირებული აქვთ იმ ძალებთან, რომლებიც მათ პარლამენტში მოიყვანენ. ამ ძალების მორჩილია დღეს სააკაშვილი. ამიტომაც არის, რომ სააკაშვილი და ეს ოპოზიცია ერთ დუდუკზე უკრავენ, თანაც შეხმატკბილებულად. ისე კი მას მფავრველები მართლა შემოსწყრნენ. ისიც ცხადია, რომ მან თავის მოღვაწეობა დაასრულა.

***— თუ დაასრულა და მფარველებიც შემოსწყრნენ, როგორღა რჩება პრეზიდენტად?***

— ის ძალები მას არ გაუშვებენ მანამ, ვიდრე ბოლომდე არ გამოიყენებენ. როცა ბოლომდე გამოიყენებენ, მერე მოისვრიან. ახლა მას არ შეელევიან. იმიტომ, რომ მის შემცვლელს ეძებენ. უკვე შერჩეული ჰყავთ რამდენიმე კანდიდატურა. ჩვენი უბედურება ისაა, რომ მთავარი პრობლემა სააკაშვილი არ არის. მთავარი პრობლემა არის სისტემა. ეს სისტემა ანგრევს და ხერხემალში ამტვრევს ქართულ სახელმწიფოს. ეს სისტემა უნდა მოვიშოროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში სააკაშვილის შეცვლას აზრი არ ექნება.

***— თქვენ თქვით, რომ სააკაშვილის შესაცვლელად კანდიდატურები შერჩეული ჰყავთო. ვისი კანდიდატურები განიხილება?***

— ამ ეტაპზე სამი ადამიანი იკვეთება. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ გიგა ბოკერია, რომელიც ქართველი ერის თავზე მოვლენილი საშინელებაა. მეორე გახლავთ თარგამაძე. საუბარია გიორგი თარგამაძეზე. ის არის გამოკვეთილი კარიერისტი და მოღალატე. ის არის მოღალატის ტიპი. მას ერთი ნაბიჯითაც არ უნდა ენდო.

***— რატომ გგონიათ, რომ მისი ნდობა არ შეიძლება?***

— კი არ მგონია, ეს ასეა. მან თავის აღმზრდელებს უღალატა. ის ფარისეველია. ეს მისი ღიმილიდანაც კარგად ჩანს. ქართველი ხალხი მას საერთოდ არ ადარდებს.

***— თუმცა, ის და მისი პარტია სხვებზე მეტად აკრიტიკებენ ხელისუფლებას.***

— ეს არის მოჩვენებითი. ის და მისი მომხრეები შეთანხმებულად აკრიტიკებენ ხელისუფლებას. როცა საქმე საქმეზე მიდგება, ისინი ხელისუფლების მხარს იჭერენ. მესამე კანდიდატი არის ირაკლი ალასანია, რომელიც გონიერი ადამიანია. მისი დიდი ნაკლი ის არის, რომ ამერიკის პროექტია. ის მოდის სხვისი მითითებების აღმსრულებლად. ამიტომაც ის ყველაზე საშიშია. სააკაშვილი ნახევრად შიშველი კი აღარ არის, მთლიანად გაშიშვლდა. ხტუნაობს ზღვაში... ზამთარი და ზაფხული არ იცის. ალასანია ამას არასდროს არ გააკეთებს. ის ჭკვიანი ადამიანია და უფრო ჭკვიანურად აღასრულებს მიზანს, რომელსაც საქართველოს განადგურება ჰქვია. მე მჯერა, რომ ეს არასდროს არ მოხდება. ქართველი კაცი ამას არასდროს არ დაუშვებს. ყველამ იცოდეს, რომ ვიდრე ესენი ქვეყნის სათავეში იქნებიან საქართველო დაინგრევა. ქვეყანას აუბედურებენ და ამაში კიდევ ფულს იხდიან. გამუდმებით იძახიან — დემოკრატია ყვავის საქართველოშიო. გუშინ ამასთან დაკავშირებით წვერებიანმა კაცმა დიდი ღონისძიება მოაწყო.

***— რომელ წვერებიან კაცზე საუბრობთ?***

— მინისიტრი რომ იყო და ახლა ელჩია... გამახსენდა თემურ იაკობაშვილი. მან მოიწვია ვიღაცა ამერიკელები და ალაპარაკა. ამაშიც ძალიან დიდი ფული გადაიხადეს. მავანი და მავანი ამბობენ, რომ საქართველოში დემოკრატია ყვავის. რუსეთი თურმე მტერია. საქართველო კი



რეფორმებს მიჰყავს ჭეშმარიტებისკენ. ამ რეფორმებმა დაღუპეს საქართველო. განათლება მიწაში ჩადეს, თავისუფლება მოსპეს. საშინელი მოსასმენი იყო ნაციონალების კომენტარები გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით. ევროსასამართლომ ამ საქმეზე განაჩენი გამოიტანა. ესენი ამბობენ, რომ ეს თურმე არაფერი ყოფილა. იქ ასეთი შეფასებებია „გამაოგნებელი“, „განსაცვიფრებელი“. ამაზე მეტი და უარესი რაღა უნდა ეთქვა ევროსასამართლოს. ესენი უტიფარი ბავშვებივით იქცევიან. ვითომ არ ესმით.

***— იქნებ არ ესმით?***

— ძალიან კარგად ესმით, მაგრამ ნაციონალური არხების მეშვეობით წამლავენ მთელ ქვეყანას. უნდათ ჩაუნერგონ ხალხს რა კარგია ჩვენი ქვეყანა. ამით აზრუებენ ქვეყანას. ეს ჯდება ძალიან დიდი ფული. უკეთესი იქნება, თუ ამ თანხას დამშეული ხალხის დასაპურებლად გამოიყენებენ. ადამიანები, რომლებიც ვერ მორჯულდნენ და გადაკეთდნენ, უნდა მოკვდნენ.

***— ეს ვინ დაადგინა?***

— იმათ, ვისაც საქართველოს 7 ნაწილად დაყოფა სურთ. მათი გეგმის თანახმად600 თასამდე უნდა დავიდეს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა. ისინიც მომსახურე პერსონალი უნდა იყვნენ. ვინც არ იცის ინგლისური დამლაგებლის სამსახურსაც კი ვერ იშოვის. ამათგან რაღა უნდა გაგვიკვირდეს, როცა ორ დღეში წაგებული ომი გვაზეიმეს. დღემდე ამტკიცებენ, რომ ომი მოვიგეთ. ახლაც იმეორებენ ამ სისულელეს. ამბობენ, ამ ომით მთელ მსოფლიოს გავაგებინეთ, რომ რუსეთი კონფლიქტის მეორე მხარეაო. ამას ამათი ფულით მოსყიდული ამერიკელები ამბობენ. რა ომის დაწყება უნდოდა ამას. რუსეთი რომ მეორე მხარე იყო, ეს ყველამ ვიცოდით და თანაც კარგა ხანია. ამერიკელების წყალობით დავკარგეთ სამაჩაბლო და აფხაზეთი. იმათ აინტერესებთ დაშლილი საქართველო. მთლიანი საქართველო არავის არ აწყობს.

***— ზემოთ თქვენ გააკრიტიკეთ ოპოზიცია. მათთან დაკავშირებით ბევრი პრეტენზია გამოხატეთ. ასეთივე პრეტენზიები ისმის სახალხო კრების მიმართ. თქვენ მოსახლეობას გაუჩინეთ მოლოდინი, რომ 2 მაისს რაღაც მოხდება.***

— 2 მაისს არაფერი არ მოხდება. ჩვენ როცა თარიღი დავასახელეთ, ნათლად ვთქვით, რომ სამოქმედო გეგმას 2 მაისს გამოვაცხადებთ. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად შეიცვალოს ეს ხელისუფლება. ჩვენ გვაბრალებენ, თითქოს რევოლუციის მოწყობა გვინდა.

***— ხომ მართლაც გინდათ რევოლუციის მოწყობა?***

— არა, ჩვენ არ გვინდა რევოლუცია. ამას ჩვენ ხელისუფლება გვაბრალებს. ცუდი ისაა, რომ ასეთი ბრალდებებით ოპოზიციაც გამოდის. მათ გასაგონად ვამბობ, რომ ჩვენი მიზანი არ არის რევოლუციის მოხდენა. ჩვენ გვინდა, რომ ეს ხელისუფლება წავიდეს, რათა შესაძლებელ იქნეს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ჩვენ გვინდა, რომ ახალი ხელისუფლება არჩევნების გზით მოვიდეს. ქართველმა კაცმა უნდა აირჩიოს ის ხელისუფლება, რომელიც მას წაადგება. არც ამერიკა და არც რუსეთი არ უნდა ეროდეს საქართველოს ბედის გადაწყვეტაში. დადგა დრო, როცა საქართველოს ბედი უნდა გადაწყდეს.

***— წინასწარ თუ შეგვიძლიათ გვითხრათ, რას მოიმოქმედებთ?***

— ყველაფერს გაგაგებინებთ 2 მაისს. ჩვენი მოქმედებები იქნება კონსტიტუციურ ჩარჩოებში. ამასთან, ჩვენი ბრძოლა იქნება დაუღალავი და უღალატო. ჩვენ ხელისუფლებასთან არ შევალთ გარიგებაში. ჩვენი მოქმედებები არ იქნება დროში გაწერილი. ჩვენ გვინდა არჩევნები, ოღონდ ამ ხელისუფლების გაშვების შემდეგ. სააკაშვილი სანამ ქვეყნის სათავეში იქნება, აქ ნორმალური არჩევნები არ ჩატარდება. ამიტომაც მოვუწოდებთ ყველას, დავდგეთ ერთმანეთის გვერდით და შევცვალოთ ხელისუფლება.

***— ვთქვათ, ხელისუფლება შეცვალეთ. ვინ უნდა ჩაატაროს არჩევნები?***

— იმათ, ვისაც ხალხი ენდობა. ეს მისია შესაძლოა საპატრიარქომაც იკისროს.

## ბოლო 7 წელიწადში საქართველოს მოქალაქეობა 25 314 პირს მიენიჭა

2004-2011 წლებში საქართველოს მოქალაქეობა 25 314 პირს მიენიჭა.

როგორც პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გაბრიელაშვილმა განაცხადა, მოქალაქეობის მინიჭება 2004 წლიდან დაიწყო და ეს მხოლოდ პრეზიდენტის პრეროგატივაა.

2004 წელს საქართველოს მოქალაქეობა მხოლოდ 4 პირს მიენიჭა. 2005 წლიდან მათი რაოდენობის მატება დაიწყო და 2007 წლისათვის ეს მაჩვენებელი 5 786-ს გაუტოლდა. 2008 წლის აგვისტოს ომის გამო მათი რიცხოვნობა შემცირდა, თუმცა 2010 წლიდან კვლავ ზრდის ტენდენცია შეინიშნება.

გასულ წელს საქართველოს მოქალაქეობა 5 735 პირს მიენიჭა. მიმდინარე წლის იანვარ-აპრილის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 2 078-ს შეადგენს, თუმცა მათ შორის ის პირებიც არიან, რომელთა განცხადებები ჯერ კიდევ 2010 წელს იყო წარდგენილი. გიორგი გაბრიელაშვილმა დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტს მიმდინარე მიგრაციულ ტენდენციებზე გააცნო ინფორმაცია.

**მედიანიუსი**

## პროკურატურამ სახელმწიფო კრედიტის მიმთვისებლები დააკავა

მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციულმა დეპარტამენტმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კრედიტების უკანონოდ განკარგვის ფაქტი გამოავლინა.

როგორც „მედიანიუსს“ პროკურატურიდან აცნობეს, დასრულდა მრავალეპიზოდიანი საქმის გამოძიება, რომელიც შეეხება სოფლის მეურნეობისათვის, კერძოდ, მეთესლეობის პროგრამის განვითარებისათვის საქართველოს მთავრობის მიერ 2006 წელს ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი 6 500 000 ლარის ხარჯვას. შედეგად მხილებულია 19 პირისაგან შემდგარი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი.

გამოძიებით დადგენილია, რომ კასპის სპირტის ქარხნის (სს „საქართველოს ნატურალური პროდუქტების კომპანია„) დირექტორმა ვალტერ აბაშიძემ, გურჯაანის სპირტის ქარხნის (შპს „ტრიადა ჯგუფი“) დირექტორებმა მერაბ ჯიბუტმა და კარლო ჩაკვეტაძემ, დაფუძნებლებმა — ამირან გოგიძემ და დავით ფანჯაკიძემ, შპს „აგროგრუპის“ დირექტორმა ლევან ვადაქარიამ და დანაშაულში მონაწილე სხვა პირებმა მეთესლეობის პროგრამის განვითარებისათვის გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში მიღებული თანხები, სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ნაცვლად, მთლიანად დააბანდეს სპირტის არალეგალურ, შავ ბიზნესში და ბოლო წლების მანძილზე უკანონოდ აწარმოეს და გაყიდეს 2 500 ტონა სპირტი. ამ საქმიანობის შედეგად დანაშაულებრივმა ჯგუფმა მიიღო 9 500 000 ლარის ოდენობის უკანონო შემოსავალი.

ვალტერ აბაშიძე, მერაბ ჯიბუტი, კარლო ჩაკვეტაძე, ამირან გოგიძე, დავით ფანჯაკიძე და ლევან ვადაქარია პატიმრობაში იმყოფებიან. მათ ბრალად ედებათ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, აგრეთვე — საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენება. დანაშაული გათვალისწინებულია სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა და გ ქვეპუნქტებითა და 210-ე მუხლით.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს 8-იდან 12 წლამდე პატიმრობა ელით.

**მედიანიუსი**

# ამერიკა საქართველოს ერთგული რჩება

**ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის თინა ქეიდინაუს საქართევლოში ვიზიტი დასრულდა. ამერიკის საელჩოში ქეიდინაუ „რვიანის“ წარმომადგენლებს შეხვდა. შემდეგი შეხვედრა კი ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართა.**

**თინა ქეიდინაუსთან ერთად თბილისში ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკის შეეთრებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილეც.**

**ქეიდინაუ დემოკრატიის საკითხებზე სამუშაო ჯგუფის წევრებს შეხვდა. კანცელარიაში გამართული ხუთსაათიანი შეხვედრის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგი კაპანაძემ და თინა ქეიდინაუმ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.**



ნათია ხურცილავა

ქეიდინაუსთვის რამდენად ცნობილი იყო ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო ლოზუნგი უცნობია, თუმცა, პირდაპირ გვითხრა, გასაკეთებელი კიდევ ბევრიაო.

სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში ოთხი სამუშაო ჯგუფი არსებობს.

სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში უკვე ორი შეხვედრა გაიმართა. პირველი შეხვედრა ხალხთაშორის თანამშრომლობის საკითხს ეხებოდა. გუშინ გამართული შეხვედრა კი დემოკრატიის სამუშაო ჯგუფთან შედგა. მორიგი შეხვედრა ამერიკაში გაიმართება და ის ეკონომიკურ საკითხებს მიეძღვნება. უსაფრთხოების საკითხებზე კი ბოლო შეხვედრა თბილისში გაიმართება.

— ძალიან მნიშვნელოვანია ეს ფორმატი. ეს შეხვედრები გვაძლევს საშუალებას, რომ მოვუსმინოთ ჩვენს ქართველ კოლეგებს და ასევე გავუზიაროთ ჩვენი წუხილი. ამ შეხვედრამდე გვქონდა შეხვედრა ქართველი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ე.წ. ოპოზიციური რვიანის წარმომადგენლებთან და განვიხილეთ სხვადასხვა საკითხები, — განაცხადა ქეიდინაუმ.

თინა ქეიდინაუს განცხადებით, საქართველო დგას რეფორმების გზაზე, მაგრამ ამბობს, რომ ბევრი რამ კვლავ გასაკეთებელია.

— საქართველო დგას რეფორმების, დემოკრატიისკენ წინსვლის გზაზე, მაგრამ კვლავ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი, მათ შორის არის საარჩევნო გარემოზე მუშაობა, ასევე სასამართლო რეფორმა, კანონის უზენაესობის განმტკიცება. ჩვენ საქართველოში ვიმყოფებით თქვენი ქვეყნის მხარდასაჭერად. შეერთებული შტატები ერთგული რჩება საქართველოსადმი მსგავსი დამოკიდებულების, — აღნიშნა ქეიდინაუმ.

თინა ქეიდინაუს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის აფხაზეთში ვიზიტის შეფასება სთხოვეს ჟურნალისტებმა, ასევე იმ განცხადების, რომელიც ლავროვმა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით გააკეთა, რომ საქართველოს თანხმობის გარეშე გაწევრიანდება რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

— შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს საქართევლოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას. ამ განცხადებას არაერთხელ ვაკეთებთ, ბოლოს ეს გააჟღერა სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა ბერლინში, ნატოს მინისტერიალზე. რუსეთმა უნდა შეასრულოს მის მიერ აღებული ვალდებულებები, რაც არის გათვალისწინებული 2008 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებით, რაც გულისხმობს კონფლიქტამდე პოზიციებზე დაბრუნებას. ჩვენ ამ მხარდაჭერას გავაგრძელებთ ნებისმიერი შესაძლებლობის დროს. რაც შეეხება რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას, ჩვენ გვაქვს იმედი, რომ იქნება ის პირობები მოძებნილი, რომელიც ხელს შეუწყობს რუსეთს, რომ ორგანიზაციაში გაწევრიანდეს. — განაცხადა კეიდინაუმ.

ქეიდინაუ აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას. თუმცა, ის საუბრობს იმ წუხილებზე, რომელიც საქართველოს აქვს და რომელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

აღნიშნულ საკითხზე კომენტარი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემაც გააკეთა. კაპანაძის განცხადებით, ლავროვის მიერ გაკეთებული განცხადება ხელს არ შეუწყობს მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებას. მეტიც, ის ამბობს, რომ საფრთხის წინაშეც აყენებს ამ მოლაპარაკებებს და ეს არის პროვოკაციული ტიპის განცხადება მოლაპარაკების წინ.

პრესკონფერენციაზე დაისვა კითხვა, თუ რამდენად დამაკმაყოფილებლად აფასებს შეერთებული შტატები იმ რეფორმებს, რომელიც ტარდება ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების, სასამართლო დამოუკიდებლობის, მედიაგამჭვირვალობის მიმართულებით.

— ამ წლების განმავლობაში საქართველომ რეფორმების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გზა განვლო. ვინაიდან საქართველო საარჩევნო სეზონში შედის საარჩევნო გარემოს რეფორმირება, განსაკუთრებით საარჩევნო კოდექსის რეფორმირება უნდა განხორციელდეს წელს, რადგან არ დაემთხვეს კონკრეტულად საარჩევნო პერიოდს. იმედის მომცემია ის, რომ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას სახელისუფლო პარტიის წარმომადგენლებთან და მსჯელობენ ისეთ თემებზე, რომელიც მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო პერიოდის დროს. შტატები არ აპირებს ადვოკატირება გაუწიოს რომელიმე რეფორმას, ჩვენ მომხრე ვართ მხარეებს შორის დიალოგის და საუბრის. ყველაფერი იმისთვის უნდა გაკეთდეს, რომ არჩევნებამდე უნდა იყოს დასრულებული მიღწევები, — აღნიშნა თინა ქეიდინაუმ.

ამერიკის სახელმწიფო მდივნის წარმომადგენლის განცხადებით, დიდი სამუშაო შესრულებულია, მაგრამ მეტის გაკეთება შეიძლება.

— ასევე შეხვედრაზე გამოვთქვით ჩვენი დადებითი დამოკიდებულება პარლამენტის მიერ მედია გამჭვირვალობის შესახებ მიღებულ კანონთან დაკავშირებით. დიდი სამუშაო შესრულებულია, მაგრამ მეტის გაკეთება შეიძლება. ჩვენ მზად ვართ, რომ მხარი დავუჭიროთ საქართველოს და დახმარება შევთავაზოთ იმ საკითხებში, რაც ჩვენ შეგვიძლია, — განაცხადა კეიდინაუმ.

შეხვედრაზე ასევე განხილული იყო საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საკითხები. როგორც ცნობილია, ციფრულ მატარებლებზე გადასვლა 2015 წლისთვის არის დაგეგმილი. სერგი კაპანაძის განცხადებით, ეს ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება ხელისუფლებისთვის. თუმცა, მანამდე ქეიდინაუ მნიშვნელოვანი პროცესების წარმართვაზე საუბრობს.

# რუსეთსა და საქართველოს შორის ვითარება ისევ გამწვავდება

დასაწყისი მე-5 გვერდზე

***— ამას წინათ, რადიოსადგურ „ეხო მასკვის“ ეთერში იტქვა, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრი პუტინი აშშ-ში ვიზიტით მიიწვია. როგორც ჩანს, რუსეთში ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებსა და იმაზე, თუ ვინ იქნება კრემლის მომავალი მმართველი, დასკვნები ვაშინგტონშიც გააკეთეს . . .***

— ვაშინგტონში კარგად ესმით, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მედვედევს პუტინთან შედარებით ნაკლები შანსები აქვს. ვითარება ასეთია — 10 შესაძლებლობიდან მედვედევს პუტინთან გამარჯვების მხოლოდ ერთი შანსი აქვს. როგორც ეტყობა, მედვედევი თავად შეეგუა აზრს, რომ 2012 წლის შემდეგ პრეზიდენტი არ იქნება. უდავოა, რომ მომავალი პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში პუტინი წინ გაიჭრა და სულ უფრო მეტს პასუხიმგებლობას იღებს თავის თავზე, ვიდრე - მოქმედი პრეზიდენტი.

***— თქვენი შეფასებით, რა პერსპექტივები აქვთ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში კასიანოვ-ნემცოვ-რიჟკოვის პოლიტიკურ ჯგუფს?***

— თუ ვითარებას რეალურად შევაფასებთ, მათი შანსი მინიმალურია. მათ პარტიას რეგისტრაციაში იმიტომ არ გაატარებენ, რომ კასიონოვ-ნემცოვ-რიჟკოვის გაერთიანება საკმაოდ კარგი გუნდია და ხელისუფლებისათვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ მათ ხელისუფლება არჩევნებამდეც კი არ დაუშვებს და რეგისტრაციაში არ გაატარებს. პუტინის ვერტიკალმა საკმაოდ კარგად იცის, როგორ უნდა ებრძოლოს პოლიტიკურ ოპონენტებს.

***— რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ცხინვალსა და სოხუმში იმყოფებოდა. ეს ვიზიტი რისი მაჩვენებელი უფრო იყო - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხში მოსკოვი პრინციპულია თუ კრემლი ამ რეგიონებში არავის დაშვებას არ შეეგუება? ალბათ მიაქცევდით ყურადღებას, რომ აფხაზეთს ებრაელი ბიზნესმენების გარდა გერმანელი საქმიანი წრეების წარმომადგენლებიც სტუმრობდნენ . . .***

— აფხაზეთში ლავროვის ვიზიტი რუსეთსა და აფხაზეთს შორის საზღვრის დემარკაციის პრობლემებს უკავშირდება. მოგეხსენებათ, მხარეებმა ერთი მაღალმთიანი სოფელი ვერ გაიყვეს. გარდა ამისა, მოსკოვს არ სურს, ამ რეგიონებში მის გარდა ვინმეს ჰქონდეს საქმე. ეს კი ნიშნავს, რომ ბაღაფშის თურქეთში ვიზიტის შემდეგ მასაც და სხვაც შეახსენებენ რუსეთზე დამოკიდებულების აუცილებლობას. ამ რეგიონებთან დაკავშირებით კრემლი ასეთი ლოგიკით ხელმძღვანელობას — უკან დახევა არ შეიძლება. დღის წესრიგიდან არ უნდა მოიხსნას ომის მოგების რიტორიკა და ის, რომ რუსული მხარე სწორად მოიქცა, როცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ლავროვის ვიზიტი სოხუმსა და ცხინვალში სწორედ ამ პოლიტიკის დემონსტრირებას ისახავდა მიზნად.

***— რას შეიძლება ელოდნენ რუსეთის მეზობელი ქვეყნები და კერძოდ საქართველო კრემლში პუტინის დაბრუნების შემთხვევაში?***

— რუსეთ-საქართველოს შორის ვითარების გამწვავებას სწორედ პუტინის ხელმეორედ გაპრეზიდენტებამდე არ გამოვრიცხავ. საქმე იმაშია, რომ პუტინის მმართველი პარტია „ედინაია რასია“ და თავად პუტინი რეიტინგსა და პოპულარობას საგრძნობლად კარგავენ. ასეთ ვითარებაში პუტინის მხრიდან არ არის გამორიცხული ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც საბჭოთა ღირებულებების მატარებელ ადამიანებს აღაფრთოვანებს. ძნელია იმის თქმა, რა ნაბიჯებს გადადგამს კრემლი საქართველოსთან მიმართებაში, მაგრამ ამ თვალსაზრისით პუტინის პირველად გაპრეზიდენტების წინაპერიოდი საკმაოდ ყურადსაღებია. 1999 წელს პუტინმა ბერეზოვსკის დახმარებით დაღესტანში გამარჯვებით დასრულებული პატარა ომი გაითამაშა. ბერეზოვსკიმ უზრუნველყო შამილ ბასაევის ჩეჩნური დაჯგუფების დაღესტანში შეჭრა, სადაც მათ მოსკოვიდან წინასწარ გადასროლილი სპეცდანიშნულების რაზმი ელოდებოდა. 2008 წელს ეკონომიკური კრიზისი ძალას იკრეფდა, აუცილებელი გახდა რუსეთის მოსახლეობის სხვა პრობლემებზე ყურადღების გადატანა და რუსეთი 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ომის ინიციატორი გახდა. პუტინის პარტიისა და პირადად მისი რეიტინგი იმდენად დაცემულია, ძალიან ვშიშობ, პოპულარობის ასამაღლებლად სწორედ არჩევნების წინ არ გათამაშდეს კრემლისთვის სასურველი, გამარჯვებით დასრულებული პატარა ომის სისხლიანი სცენარი. ცხადია, კრემლი რეიტინგის გაზრდას ეკონომიკური პრობლემების გადაჭრით ვერ შეძლებს, ამიტომ შესაძლოა, მისთვის პატარა ომი ანაც ტერაქტების სერია სავსებით მისაღები რამ აღმოჩნდეს. შესაძლოა, ეს არჩევნებამდე მომგებიანი იყოს. არჩევნების შემდეგ დღის წესრიგში არა საგარეო, არამედ საშინაო პრობლემების გადაჭრის დრო დადგება. იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არჩევნებში, უბრალოდ, არ მიიღებს მონაწილეობას, ქვეყანაში კაპიტალისა და ინვესტიციების უკმარისობის დრო დადგება, ხოლო უკმაყოფილება ყოველ დღე იმატებს, ასეთ ვითარებაშიც არ არის გამორიცხული, კრემლმა საშინაო პრობლემებიდან ყურადღების გადატანა ისევ საგარეო პრობლემებით სცადოს.

**ინტერპრესნიუსი**

# ათონის მთიდან დღეს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ასლს ჩამოაბრძანებენ



აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამია ხვალ, ათონის მთიდან ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ასლს ჩამოაბრძანებს.

საქართველოს საპატრიარქოს ინფორმაციით, ათონელი მამების მიერ დაწერილ სიწმინდეს თბილისში დღეს, 15.45 საათზე ჩამოაბრძანებენ. მორწმუნეები ხატს თბილისის აეროპორტში და სამების საკათედრო ტაძარში დახვდებიან.

ათონის მთიდან ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის (პორტაიტისას) ხატის ჩამობრძანებასთან დაკავშირებით, ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში ხვალვე, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II ღვთისმშობლისადმი პარაკლისს აღავლენს.

საპატრიარქოს ცნობით, ათონის მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის (პორტაიტისას) ხატის, როგორც ქართველთა და აფხაზთა შორის მშვიდობისა და ერთობის შემწის, დაწერის იდეა გასულ წელს გაჩნდა. ეს სურვილი უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აკურთხა. ხატის შექმნისთვის თანხები როგორც ქართულმა, ისე აფხაზურმა მხარემ გაიღო.

**ინტერპრესნიუსი**

# სამართალდამცავებმა გურჯაანის სპირტის ქარხნის ხელმძღვანელები დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა გურჯაანის სპირტის ქარხნის ხელმძღვანელები დააკავეს, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

დაკავებულია 3 ადამიანი. მათ ბრალად საწარმოში აღურიცხავი ნედლეულის შეტანა და ნაწარმის კანონდარღვევით გამოშვება ედებათ.

ამ საკითხზე შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ.

**მედიანიუსი**

# საქართველოს მოქალაქეობიდან 2.479 ადამიანი გავიდა

2009-2011 წლებში საქართველოს მოქალაქეობიდან 2 479 ადამიანი გავიდა. როგორც პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გაბრიელაშვილმა განაცხადა, 2009 წელს საქართველოს მოქალაქეობიდან 1 134, ხოლო 2010 წელს 1 259 ადამიანი გავიდა. მიმდინარე წლის იანვარ-მარტის მონაცემებით კი ეს მაჩვენებელი ჯერჯერობით 86-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2009-2011 წლებში საქართველოს მოქალაქეობიდან გამსვლელ პირთა რაოდენობა საქართველოს მოქალაქეობამიღებულებზე დაახლოებით ხუთჯერ ნაკლებია.

მისი განცხადებით, მალე 2004-2008 წლების მონაცემებიც დამუშავდება და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდება. მონაცემების დასამუშავებლად საჭირო სათანადო ელექტრონული სისტემა 2008 წელს დაინერგა. მანამდე კი სისტემა მოუწესრიგებელი იყო და „ქაღალდების დონეზე“ მოქმედებდა.

გიორგი გაბრიელაშვილის ინფორმაციით, 2009-2011 წლებში საქართველოში მუდმივი ბინადრობა 4 512-მა, დროებითი კი 9 107-მა პირმა მიიღო.

შეგახსენებთ, რომ გიორგი გაბრიელშვილმა დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტს მიმდინარე მიგრაციულ პროცესებზე ინფორმაცია გააცნო. შეხვედრას იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძეც ესწრებოდა.

**მედიანიუსი**

# ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარე თანამდებობიდან გადადგა

ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარე ელგუჯა შაფათავა თანამდებობიდან გადადგა. შაფათავამ გადადგომის შესახებ განცხადება ყოველწლიურ სხდომაზე გააკეთა და ამის მიზეზად საზოგადოების წევრთა მხრიდან მის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები დაასახელა. 1999 წელს დაარსებულ ორგანიზაციას იგი 2000 წლიდან ხელმძღვანელობდა. „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, ელგუჯა შაფათავას გადადგომის შემდეგ, ამ თანამდებობაზე კანდიდატურის წარდგენას “საქპატენტის“ თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე აპირებდა, თუმცა ახალი ხელმძღვანელის ასარჩევად დღეს სხდომას საზოგადოების წევრთა საკმარისი რაოდენობა არ ესწრებოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ღვალაძის კანდიდატი იურისტი გიგა კობალაძეა. კენჭისყრა 15 მაისისთვის გადაიდო. არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ კანდიდატს, რომელიც სათანადო პროგრამას წარადგენს.

**მედიანიუსი**

# ევროსასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლებოდა უფრო მკაცრიც ყოფილიყო

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას სამართლიანად მიიჩნევს. პარტიაში აცხადებენ, რომ გადაწყვეტილება შეიძლებოდა უფრო მკაცრიც ყოფილიყო.

„ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ საქმის გარდაცვლილის ოჯახის სასარგებლოდ გადაწყვეტა მნიშვნელოვანი ნაბიჯია სამართლიანობისთვის ბრძოლის გზაზე და მისი ასეთი ფინალი ნათლად მიგვითითებს იმაზე, რომ სააკაშვილის ნაქები მართმსაჯულება არ არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ობიექტური. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვან და ყურადსაღებ მითითებებს შეიცავს როგორც საგამოძიებო ორგანოების, ასევე სასამართლო სისტემის მიმართ. ევროპის სასამართლომ ამ საქმეში დარღვეულად სცნო ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-2 და 38-ე მუხლი. ევროპის სასამართლო აღაშფოთა არამარტო იმ ფაქტმა, რომ გამოძიება არ იყო სრულყოფილი და ობიექტური და „ვითომ“ დამნაშავეების მიმართ საქართველოს სასჯელი არ შეესაბამებოდა დანაშაულის სიმძიმეს არამედ, იმანაც რომ დამნაშავეებს პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე სასჯელი გაუნახევრდათ და 2009 წელს პატიმრობიდან ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, — ნათქვამია მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ გამოხმაურებაში..

მოძრაობას „სამართლიანი საქართველოსთვის“ მიაჩნია, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილება საფუძველი უნდა გახდეს იმისა, რომ საქმე დაბრუნდეს ძიებაში და ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და დასაჯოს ნამდვილი დამნაშავეები, ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში დამთავრდეს კანონის შერჩევით გამოყენების პრაქტიკა

**მედიანიუსი**

# საქართველოს და აშშ-ს შორის ღრმა და მეგობრული ურთიერთობები არსებობს



აზერბაიჯანში აშშ-ს ელჩ მეთიუ ბრაიზას განცხადებით, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე თინა ქეიდენაუს საქართველოში ვიზიტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს და აშშ-ს შორის ღრმა და მეგობრული ურთიერთობები არსებობს.

როგორც თბილისში ერთდღიანი არაოფიციალური ვიზიტით მყოფმა ბრაიზამ ჟურნალისტებს განუცხადა, პირადად მას საქართველოში ჩამოსვლა ყოველთვის უხარია, რადგან აქ თავის მეგობრებს ნახულობს. ბრაიზამ ასევე, მნიშვნელოვანი უწოდა აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის ფარგლებში დემოკრატიის სამუშაო ჯგუფის შეხვედრას, რომელიც მთავრობის კანცელარიაში მიმდინარეობს.

საქართველოში ამერიკის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე მეთიუ ბრაიზა თბილისში შეხვედრებს დიპლომატიური კორპუსისა და ხელისუფლების წარმომდგენლებთან მართავს. იგი დღეს ასევე მონაწილეობას მიიღებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აშშ-ს ელჩების შეხვედრაშიც, რომელიც თბილისში გაიმართება.

**მედიანიუსი**

# უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის დოკუმენტის შემოღება იგეგმება

საქართველოში, შესაძლოა, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის დოკუმენტი ამოქმედდეს. როგორც პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გაბრიელაშვილმა განაცხადა, მუშაობა სწორედ მის მომზადებაზე მიმდინარეობს. მისი თქმით, ეს სრულიად ახალი ტიპის დოკუმენტი იქნება.

გაბრიელაშვილს მასთან დაკავშირებული დეტალები არ დაუკონკრეტებია.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, ამ საკითხზე მთავრობის უახლოეს სხდომაზე იმსჯელებენ.

შეგახსენებთ, რომ გიორგი გაბრიელაშვილმა აღნიშნულ კომიტეტს ინფორმაცია მიგრაციულ პროცესებზე გააცნო. შეხვედრას იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძეც დაესწრო.

**მედიანიუსი**




# ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებში ამერიკა უნდა დაგვეხმაროს

ნათია ხურცილავა

## რა მისწერეს არასამთავრობოებმა ქეიდინაუს

**არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს, თინა ქეიდინაუს პეტიცია გადასცეს. პეტიციაში ქართული სამოქალაქო სექტორი სახელმწიფო დეპარტამენტს წინასაარჩევნო პროცესთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებზე ყურადღების უფრო გამახვილებას და ერთგვარ ზეწოლასაც ითხოვენ.**



კანცელარიასთან „ქართული აკადემიის“ და სხვა არასმთავრობო ორგანიზაციის წევრებმა აქცია გამართეს.

თინა ქეიდინაუს ქართველი არასამთავრობო ორგანიზაციების პეტიცია ამერიკის საელჩოში გადასცეს.

**თემურ ნანეიშვილი, „ქართული აკადემიის“ წარმომადგენელი:**

— ჩვენი პეტიციით ამერიკის შეერთებულ შტატებს ვთხოვთ, რომ ხელი შეუწყონ მოლაპარაკების პროცესს, რომელიც უკვე მერამდენე თვეა მიმდინარეობს, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ეს პროცესი უნდა დაჩქარდეს. თუ მაისი ისე გავიდა, რომ ხელისუფლებამ არაფერი არ ილონა და შედეგი არ მივიღეთ, მაშინ არ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები. ხელისუფლება ისე გადავიდა ზღვარს, რომ ამერიკის ადმინისტრაციის ანგარიში შეაფასა, როგორც არასამთავრობოების მოსაზრება, ეს ხომ ნონსენსია. როდესაც ასე არასერიოზულად უდგებიან, ამას სჭირდება არა მხოლოდ ოპოზიციის, არამედ სამოქალაქო სექტორის საზოგადოების ყურადღების გამახვილება. რვა ოპოზიციური პარტია „ქართული აკადემიის“ თხოვნით დასხდა ხელისუფლებასთან მოლაპარაკების მაგიდასთან, ახლა შედეგი რა იქნება, ეს გვაინტერესებს. საზოგადოების დაკვეთას ასრულებს რვიანი — ეს უნდა გაიგოს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა. ამერიკამ ზეწოლა უნდა გააძლიეროს. მე ვგულისხმობ პრაქტიკულ ზეწოლას, რომელიც უნდა იყოს ამერიკისგან, დღეს ჩვენ ამას მოვითხოვთ სწორედ მათგან. ამ ხელისუფლებას უნდა გააგებინონ, რომ ასე აგდებულად ამ პროცესისადმი მიდგომა არ შეიძლება.

**ნუკრი ქანთარია, „ქართული აკადემიის“ წარმომადგენელი:**

— საზოგადოების გარკვეული ნაწილი გამოვეხმაურეთ საარჩენო პროცესისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებებს, რომელიც შეჩერებულია. ამით ჩვენ ამერიკას ვეუბნებით, რომ ეს არ არის მხოლოდ რვა პარტიის საქმე, არამედ ეს არის საზოგადოების საქმე. არჩევნების თავისუფლება არის გადამწყვეტი ნიშანი იმის, თუ რას აპირებს ხელისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიწყოს თუ არა სხვა პროცესები, რომელიც რაში გადაიზრდება, არავინ იცის. ახლა არის ის მიჯნა, როდესაც შეიძლება მშვიდობიან კალაპოტში ჩადგეს ყველაფერი. ამ ბრძოლაში საარჩევნო გარემო ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ამ პროცესში საზოგადოება აქტიურად უნდა იყოს ჩართული. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისგან ვითხოვთ, რომ რაც შეიძლება მეტი ზეწოლა მოახდინონ ამ პროცესზე. მოხარულები ვართ, რომ საგარეო ფაქტორი ამუშავდა. ნაციონალებს სხვა ენა არ ესმით, გარდა ქვის და მუშტის ენისა, რაზეც ჯერ თავს ვიკავებთ. ამიტომ გვინდა, რომ მაქსიმალურად ყველას ყურადღება მივიპყროთ და პროცესი მშვიდობიანად მივიყვანოთ. მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს და სერიოზულ დათმობებზე უნდა წამოვიდეს.

**ეკა ბესელია, არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი:**

— საქართველოს ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება, რომ თავისუფალ და დამოუკიდებელ არჩევნებს ჩაატარებდა, ამდენად, ეს ვალდებულება მას აქვს. თავისუფალი მედია, თავისუფალი სასამართლო და პოლიციური რეჟიმისგან განთავისუფლება — ეს არის ის ძირითადი პრობლემები, რაც ჩვენს ხალხს აწუხებს. პეტიციაში სწორედ ამაზეა საუბარი. არ გვაქვს ის რეალობა, რომლის ვალდებულება აიღო საქართველოს ხელისუფლებამ ქარტიის ფორმატში. ჩვენი მოსახლეობა ითხოვს, თავისუფალი და დამოუკიდებელი საარჩევნო გარემოს პირობებში ჩატარდეს არჩენები. ამ პროცესს განსაკუთრებით სჭირდება საერთაშორისიო საზოგადოების მხარდაჭერა. ეს არის ის მოთხონები, რომელსაც საზოგადოება ითხოვს. სხვათა შორის, თავის დროზე ჰილარი კლინტონსაც ვუთხარი, როდესაც ის ჩამოსული იყო საქართველოში. ქარტიით გათვალისწინებული არც ერთი პირობა ქართულ მხარეს არ შეუსრულებია. კერძოდ, ქვეყანაში პოლიტპატიმრების არსებობა, ძალადობა, რომელიც რეალობაა, რეპრესიები... სასამართლო არ არის დამოუკიდებელი, არჩევნები რომ არ ტარდება თავისუფალ პირობებში, ეს არის ის პრობლემები, რომელიც ჩვენ გვაწუხებს. ჩვენი პეტიციაც სწორედ ამ წუხილს გამოხატავს. საერთაშორისო საზოგადოებამ ღია ტექსტით და მკაფიოდ თქვას, რომ ძალადობრივ რეჟიმს არ უნდა ჰქონდეს არანაირი მხარდაჭერა.

**ნანა კაკაბაძე, არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი:**

— ის უსამართლობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არის დამკვიდრებული, უნდა შეიცვალოს. ამ ხელისუფლებაზე ერთადერით ზეწოლა შეუძლია დიდ სახელმწიფოებს, რომლებსაც ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტები აქვთ. ამერიკის შეერთებულ შტატებს გვინდა მივაწოდოთ ის ინფორმაცია, თინა კიდინაუს მეშვეობით, რომელიც არის ქვეყანაში. ფაქტიურად არ არსებობს მოლოდინი, რომ ხელისუფლება კონსტიტუციური გზით წავიდეს და თავისუფალი არჩევნები ჩატარდეს. ჩვენს პეტიციაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ვასაბუთებთ, რომ ამ ქვეყანაში არ არის თავისუფალი მედია, არ არის თავისუფალი სასამართლო, საარჩევნო კოდექსი, რომელიც დღეს არის მოქმედი, ვერ უზრუნველყოფს თავისუფალ არჩევნებს. რაც მთავარია, არ არის ხელისუფლების ნება, რომ ეს ყველაფერი რეალურად იყოს. არა მხოლოდ ოპოზიციური პარტიების სურვილია, რომ შეიცვალოს ხელისუფლება და ისინი მოვიდნენ ხელისუფლებაში, არამედ სამოქალაქო საზოგადოების უპირველესი სურვილია, რომ არჩევნების გზით მოხდეს ხელისუფლების ცვლილება, მაგრამ არ არის ამის შესაძლებლობა, სწორედ ხელისუფლებიდან გამომდინარე და ამიტომ ვთხოვთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ ამ საქმეში დაგვეხმაროს. უფრო აქტიურად ჩაერთოს, მეტი ზეწოლა განახორიცელოს ხელისუფლებაზე. აშკარაა, რომ ის განცხადებები, რაც კეთდება, აღარ არის უკვე სააკაშვილის მხარდამჭერი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. არსებობს პოლიტიკური, ეკონომიკური ბერკეტები და სწორედ ეს უნდა იქნეს გამოყენებული. ჩვენ მოვითხოვთ, ხელისუფლებაზე მოახდინოს ზეწოლა ამერიკამ, რომ ქვეყანაში შეიქმნეს დემოკრატიული სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება ხელისუფლების ცვლილება არჩევნების გზით, კონსტიტუციური მეთოდებით.

# ვაშინგტონში საქართველოს სახელმწიფოებრიობის 20-წლიან ისტორიას კონფერენცია მიეძღვნა

საქართველო: თანამედროვე სახელმწიფოებრიობის 20 წლიანი ისტორია - ამ სახელწოდებით ვაშინგტონში მდებარე ამერიკის უნივერსიტეტში კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციის ორგანიზატორები ამერიკის უნივერსიტეტის შავი და კასპიის ზღვის კვლევითი ცენტრი და ლევან მიქელაძის ფონდი იყო.

„ამერიკის ხმის“ ცნობით, შეხვედრას ამერიკელი და ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები და არა-სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თემურ იაკობაშვილმა საქართველო-ამერიკისა და საქართველო რუსეთის ურთიერთობებზე ისაუბრა. მისი თქმით, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებისთვის ადვილი არ იყო რუსეთისთვის დიალოგის შეთავაზება. თუმცა, თბილისმა ეს გააკეთა სახელმწიფოს კეთილდღეობისა და კონსტრუქციული განვითარებისთვის ხელის შეწყობის მიზნით.

ამერიკის ყოფილმა ელჩმა საქართველოში, ჯონ კოტნიმ განაცხადა, რომ ამერიკისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარება პრიორიტეტული თემა არ არის. გარდა ამისა, იმის გამო, რომ რუსეთის აგრესიის შემდეგ მოსკოვის წინააღმდეგ დასავლეთმა ქმედითი ღონისძიები არ ჩაატარა, მსხვილ ინვესტორებს საქართველოში დესტაბილიზაციის კვლავ ეშინიათ და ქვეყანაში შემოსვლისგან თავს იკავებენ.

კონფერენციის ერთი ნაწილი საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებას და ამ სფეროში არსებულ გამოწვევებს შეეხო. გამომსვლელთა შორის იყვნენ ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი ვიცე რეზიდენტი დეიმონ ვილსონი და ამერიკის ომის კოლეჯის მკვლევარი პოლკოვნიკი ჯონ ჩიკი.

**მედიანიუსი**

# სამუშაო ადგილებზე დაღუპულთა და დაშავებულთა საერთაშორისო დღე აღინიშნება

28 აპრილს სამუშაო ადგილებზე დაღუპულთა და დაშავებულთა საერთაშორისო დღე აღინიშნება.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება კონფერენციას - „შრომის დაცვის მდგომარეობა საქართველოში“, გამართავს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პროფესიული კავშირების გაერთიანებიდან აცნობეს, კონფერენციაზე გაკეთდება მოხსენება შრომის დაცვის მდგომარეობა საქართველოში„, რომელიც გასული, 2010 წლის განმავლობაში სამუშაო ადგილებზე მომხდარი უბედური შემთხვევების ანალიზს მოიცავს. გამოიფინება სამუშო ადგილებზე დაღუპულთა ფოტოებიც.

ამასთან, კონფერენცია საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოებისადმი მიმართვის ტექსტს მიიღებს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების წარმომადგენლები; ტექნიკური და სამშენებლო ინსპქციის ხელმძღვანელი პირები; ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პასუხისმგებელი მუშაკები. ასევ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის, არასამთავრობო ორგანზიაცია

მწვანე ალტერნატივას„, ექიმთა კავშირის წარმომადგენლები.

კონფერენციის დასრულების შემდეგ, სამედიცინო უნივერსიტეტთან მდებარე ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება სამუშაო ადგილებზე გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებლად პარაკლისს გადაიხდის.

**ინტერპრესნიუსი**

# ბორის ბერეზოვსკი: მადლობა, რადგან ოფიციალურად აღიარებთ, რომ ეშმაკი ვარ!

გერა მამულაშვილი



რუსეთიდან პოლიტიკური მოტივებით დევნილ ბორის ბერეზოვსკისთან ინტერვიუს უცხოური მედია აქვეყნებს. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

***— გაოგნებული ვარ იმით, რომ თქვენ გორბაჩოვის ლონდონურ იუბილეზე ვერ გნახეთ. ეს იმ ადამიანის მიმართ დემონსტრაციაა, ვისაც ქვეყნის ნგრევაში დამნაშავედ თვლიან?***

— „ქვეყანა დაანგრიეს“, — ეს კომუნისტური ტერმინოლოგიაა. მე სხვა ბანაკიდან ვარ — თუ მაღალფარდოვნად ვისაუბრებთ, კომუნისტური რეჟიმის მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან. პირველ რიგში, არასოდეს მივდივარ იქ, სადაც არ მეპატიჟებიან. მეორე, რაც პრინციპულია: საქმე ისაა, რომ მიხეილ სერგეევიჩს არ ვუყვარვარ. მიზეზი არ ვიცი — შესაძლოა იმის გამო, რომ მე ასეთი სიყვარულით ვეპყრობოდი ბორის ელცინს, მათ შორის კი, ხშირად პირადულ დონეზე კონფლიქტი იყო. მაგრამ ვთვლი, რომ დემოკრატიული რუსეთის და გორბაჩოვის ისტორია ერთმანეთისგან განუყოფელია. მოხარული ვარ, რომ ის თავის 80 წლისთავს ლონდონში აღნიშნავს.

***— მაგრამ თქვენ გარეშე...***

— ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

***— თქვენი ოფისი გაუდაბნოებულია. ხოლო გასულ ჯერზე, რუსეთიდან თქვენთან უწყვეტი ნაკადი შეინიშნებოდა. ნაცნობი სახეები გაიელვებდნენ ხოლმე. ახლა რა ხდება — დინება შეწყდა? რჩევებს უკვე აღარავის აძლევთ?***

— უბრალოდ, უფრო ორგანიზებული გავხდი. ცხოვრებამ მასწავლა. გასულ ჯერზე ინტერვიუზე სამი საათით დავაგვიანე. ხოლო ამჯერად — მხოლოდ ხუთი წუთით.

***— მემუარების წერა თუ დაასრულეთ?***

— არა. ისინი ბოლომდე არასოდეს იქნება დაწერილი. ხოლო გამოქვეყნებული იქნება მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ. იმ დასრულებული სახით, რა სახითაც იმ მომენტისთვის იქნება.

***— მაგრამ თქვენში რაღაც ეშმაკეულს ვეღარ ვამჩნევ, რომელიც ადრე გქონდათ. ისეთი შეგრძნებაა, რომ ცხოვრებამ მაგრად გცემათ თუ უბრალოდ დაბერდით?***

— მადლობელი ვარ, ოფიციალურად აღიარებთ, რომ მე ეშმაკი ვარ... ჩემთვის ამის მოსმენა ძალიან სასიამოვნოა. აი, იური მიხაილიჩ ლუჟკოვი მე ყოველთვის გრძნეულს მეძახდა. ამიტომ გთხოვთ, ეს ფრაზა აუცილებლად დააფიქსიროთ. დავბერდი — არ დავბერდი...

ამასწინათ 65 წელი შემისრულდა. საქმე ძალიან ბევრია. სამწუხაროდ, ლონდონში რამდენიმე ძალიან სერიოზულ სასამართლო პროცესში ვმონაწილეობ. ეს სამოქალაქო საქმეებია, რომლებიც დაკავშირებულია ჩემი საკუთრების უკანონო ექსპროპრიაციასთან აბრამოვიჩის, ვასილი ანისიმოვის და კიდევ ზოგიერთი ადამიანის მიერ, რომლებთანაც ერთად საინვესტიციო ფონდს ვაყალიბებდი.

ეს რამდენად უცნაურადაც არ უნდა გამოიყურებოდეს, ამასთანავე საინტერესო პროცესიცაა. ინგლისური მართლმსაჯულება გაცილებით სრულყოფილია. ჩემთვის, როგორც მეცნიერისთვის, საინტერესოა პრეცენდენტული სამართლებრივი სისტემა, რომელზეც ის ბაზირებულია. მაღლა დგას არა კანონი, არამედ სამართლიანობა. პრეცედენტული სამართლის უპირატესობა სიტყვა „სამართლიანობაშია“. ამიტომ ეს სისტემა დროის მიმართ უფრო მოქნილია.

***— როდესაც გამოვაცხადე, ვისთან ვაპირებდი შეხვედრას, კოლეგები მეკითხებოდნენ: არ გეშინია? ამბობენ, რომ თქვენთან შეხვედრას უარყოფითი შედეგები მოჰყვება. რატომღაც თქვენ ირგვლივ სიკვდილთა უზარმაზარი რაოდენობა არის კონცენტრირებული. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ თქვენ ადამიანებს შავ ენერგეტიკულ ველში ითრევთ...***

— როდესაც ადამიანები საკუთარ თავში დარწმუნებულნი არ არიან, სხვადასხვა ცრუ წინასწარმეტყველებები და ცრუ თეორიები წარმოიქმნება. უფრო მეტიც, ამასწინათ რუსეთის მოსახლეობის აღწერის შედეგებს გადავხედე — ის დიდი ტემპით მცირდება. ძირითადად არა იმ სიკვდილების ხარჯზე, რომლებიც დიდ ბრიტანეთში ხდება, არამედ მათ ხარჯზე, რომლებსაც თავად რუსეთში აქვს ადგილი.

რაც შეეხება ადამიანებს, რომლებიც ჩემ გვერდით იყვნენ და წავიდნენ — ალბათ საუბარი მათზეა, ვისი სახელებიც ფართოდ იყო ცნობილი და ვისმა სიკვდილმაც საზოგადოების ყურადღება გამოიწვია. ეს არის საშა ლიტვინენკო, რომელიც ლონდონში პოლონიუმით მოწამლეს. ეს არის ბადრი პატარკაციშვილი, ჩემი უახლოესი მეგობარი 20 წლის მანძილზე — ის სრულიად მოულოდნელად დაიღუპა, მით უმეტეს, ჩემთვის საკვირველია, რომ ის ჩემზე მთელი 10 წლით უმცროსი იყო. დღემდე მისი სიკვდილის მიზეზები გახსნილი არ არის.

***— ეჭვობთ, რომ ეს ასე უბრალოდ არ მომხდარა?***

— ძალიან ბევრი საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ მისი სიკვდილი ბუნებრივი არ ყოფილა.

***— მაგრამ თქვენ მას ხვდებოდით რამდენიმე საათით ადრე იქამდე, სანამ ეს მოხდებოდა?***

— ის ჩემთან იყო. სწორედ ამ ოფისში. თავს ცუდად გრძნობდა, ამას საკუთარი თვალით ვხედავდი. თქვა, რომ სახლში ადრე წავიდოდა. წავიდა. საღამოს დამირეკეს და მითხრეს, რომ ის მოკვდა. არ ვიცი, ოჯახი რატომ არ მოითხოვს, რომ ეს საქმე ბოლომდე იყოს შესწავლილი და დამუშავებული. ალბათ, ამისთვის მიზეზები არსებობს. ჩემთვის ამაში ჩარევა არაკორექტული იქნება. რა თქმა უნდა, ეს ისტორია დასრულებული არ არის.

***— როგორ მიუდექით იმას, რომ თქვენს ოჯახში პოლიტემიგრანტების მატებაა? მხედველობაში მყავს ლუჟკოვი და ბატურინა.***

— და ვინ გითხრათ, რომ ისინი პოლიტემიგრანტები არიან? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ლუჟკოვს აქ პოლიტიკური თავშესაფარი არ მოუთხოვია. ბატურინასაც ასევე, მაგრამ სრულიად არ შემიძლია გამორიცხვა, რომ ეს მოხდება. არასოდეს არ ვმალავდი უპატივცემულობას ლუჟკოვის მიმართ. ვთვლი, რომ ის ბუმერანგის პრინციპით იღებს იმას, რაც თვითონ გააკეთა.

არის მოსკოვის ერთი ისტორია, რომელიც არასოდეს თავს არ დამანებებს — ეს არის მანეჟის მოედნის ისტორია. როგორ შეცვალეს ის ამ პირუტყვებმა! ძირძველი მოსკოველის თვალსაზრისით, მან უბრალოდ დაანგრია ჩემი ქალაქი. განსაცვიფრებელი ისტორიაა: ორი აბსოლუტურად გაუნათლებელი ადამიანი, მხედველობაში მყავს იური მიხალიჩი და ელენა ნიკოლაევნა, მოსკოვის არქიტექტურულ მშენებლობას ტონს აძლევდა....ახალი შენობები კატასტროფაა! ადამიანები წიგნებს არ კითხულობდნენ და ვერაფერს ხედავდნენ. რომში ალბათ მხოლოდ საყიდლებზე ჩადიოდნენ.

მე სამაგიეროს გადამხდელი ადამიანი არ ვარ, მაგრამ ძალიან მეცოდება იური მიხაილოვიჩი, რომელიც დაიკარგა, ისევე, როგორც სამწუხაროდ ეს გორბაჩოვს მოუვიდა... მახსოვს 80-იანების შუაგულში გორბაჩოვი ჩვენთვის როგორი იმედი იყო. მატარებელი სვლაგეზს აგრძელებს, ხოლო ის დარჩა და დღემდე დგას პერონზე თავისი „სოციალიზმით“, „ადამიანური სახით“. აი ასევეა იური მიხალოვიჩიც: გაქრა და ის აღარ არის.

***— და მაინც, თქვენც შეიცვალეთ, ბორის აბრამოვიჩ. ადრე დუღდით, იწვოდით...***

— შესაძლოა ეს იმასთან იყოს დაკავშირებული, რომ დალევას თავი დავანებე? ბოლო რამდენიმე თვეა აღარ ვსვამ. მომწყინდა. სიტყვები დამიმთავარდა. ვცდილობ ვიმოქმედო; როდესაც შემდეგში მოხვალთ, ჩვენ შევძლებთ საუბარს ახალ პროექტზე, რომლის რეალიზებასაც ვაპირებ. ვფიქრობ, მოგეწონებათ.

## თავისუფლებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის პრეზენტაცია გაიმართება

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ დღეს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის პრეზენტაციას გამართავს.

პრეზენტაციის სახელწოდებაა „ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები“ და ის 2008-2010 წლების საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკის კვლევის შედეგებს მოიცავს.

აღნიშნული კვლევა წარმოადგენს მეოთხე გამოცემას, რომელიც მომზადებულია ფონდ „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ მიერ დაფინანსებული პროექტის „ანგარიშვალებულება და გამჭვირვალობის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში.

მომზადებული კვლევა მოიცავს 2008-2010 წლების საქართველოს ყველა სასამართლო გადაწყვეტილებას. მასში ასახულია ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. გაანალიზებულია არსებული ტენდენციები და ხარვეზები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, ინფორმაციის დამუშავების ვალდებულება, პერსონალური მონაცემების დაცვა, კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოება.

პრეზენტაციაზე მიწვეული არიან, სახელმწიფო დაწესებულებების, პარლამენტის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები და მოსამართლეები.

ინტერპრესნიუსი

## თბილისში აშშ-ს ელჩების ტრადიციული შეხვედრა გაიმართება

თბილისში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (საქართველო, (აზერბაიჯანი, სომხეთი) აშშ-ს ელჩების ტრადიციული შეხვედრა გაიმართება. ამის შესახებ ჟურნალისტებს აზერბაიჯანში აშშ-ს ელჩმა მეთიუ ბრაიზამ განუცხადა. ბრაიზა საქართველოს დედაქალაქს გუშინ ეწვია.

მისი თქმით, შეხვედრაზე აშშ-ს ელჩები რეგიონის უსაფრთხოების და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობებზე ისაუბრებენ.

მედიანიუსი

## იუსტიციის სამინისტროს დღეს სომხეთის დელეგაცია ეწვევა

იუსტიციის სამინისტროს დღეს სომხეთის დელეგაცია ეწვევა.

სომხეთის იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების, აგრეთვე პროკურატურის წარმომადგენლებს უწყებაში განხორციელებული რეფორმების პრეზენტაციას საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძე წარუდგენს.

სომხური დელეგაციის ვიზიტის მიზანი საქართველოში სისხლის სამართლის სფეროში გატარებული რეფორმების შესწავლა და ქართული გამოცდილების გაზიარებაა.

ინტერპრესნიუსი

## საქართველო-ყაზახეთს შორის ერთ თვეში რეგულარული ავიარეისები დაიწყება

საქართველო ყაზახეთს შორის ერთ თვეში რეგულარული ავიარესიები დაიწყება. ამის შესახებ ყაზახურ გამოცემა „ლიტერს“ საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ვერა ქობალიამ განუცხადა.

ქობალიას ინფორმაციით, ავიარეისები თბილისსა და ალმა-ათას, ასევე თბილისსა და აქტაუს შორის კვირაში სამჯერ შესრულდება.

— ასეთი განრიგი იმიტომ განისაზღვრა, რომ ვხედავთ ყაზახეთის მოსახლეობის მხრიდან საქართველოზე მოთხოვნას, — განაცხადა მინისტრმა.

პრაიმ-ნიუსი

## ახალი მემარჯვენეები საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას ითხოვენ

ახალი მემარჯვენეები საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას ითხოვენ. პარტიის წევრის, დავით საგანელიძის განცხადებით, კანონმდებლობით უნდა აიკრძალოს საგადასახადო დავალიანების გადახდის უზრუნველსაყოფად მოქალაეთა პენსიის გამოყენება.

მემარჯვენეები აღნიშნავენ, რომ საქართველოს რამდენიმე რეგიონში დაფიქსირდა პრეცედენტები, როდესაც მოქალაქეს სახელმწიფო დავალიანების არ გადახდის გამო კუთვნილი პენსია ჩამოაჭრეს.

დავით საგანელიძე ირწმუნება, რომ აღნიშნული პროცესი კანონის ჩარჩოებშია მოქცეული და მის გაუქმებას მოითხოვს.

პრაიმ-ნიუსი

## დღის კალენდარი

### 28 აპრილისთვის



წლის 118-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 247 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

**ბრწყინვალე შვიდეული. ხუთშაბათი**

ხსენება წმიდა მოწამეთა სუქიასი და მასთან ერთად 16 ქართველისა; 70-თაგან წმიდა მოციქულებისა: არისტარქოსი და ანასტასიასი; საბა გოტფელისა.

წმიდა მოწამენი სუქია და მისი თექვსმეტი თანამოღვაწე ქართველი ალბანთა მთავრის წარჩინებული მოხელენი იყვნენ.

ერთხელ ისინი ალბანთა მთავრის ასულს სათენიკს გაჰყვნენ მხლებლებად სომხეთში. ისინი ქალაქ არტაშატში მივიდნენ, სომხეთის ძველ დედაქალაქში, სადაც ქრისტიანობის საქადაგებლად მისულიყო ბერძენი აღმსარებელი ქრისტესი ქრიზოსი. მისი ქადაგებით ეს ქართველი წარჩინებულებიც მოექცნენ ჭეშმარიტ რწმენაზე და მას მესოპოტამიაში გაყვნენ. იქ მდინარე ევფრატში ნათლობის მიღებისას, რომელიც მღვდელმსახურმა ქრიზოსმა აღასრულა მათზე, ღირს იქმნენ ეხილათ უფალი დიდებათა იესო ქრისტე.

თავიანთი ნათლობის ადგილას მოწამეებმა პატიოსანი ჯვარი აღმართეს და „ხარების ჯვარი“ უწოდეს. მალე ყველანი ერთ უკაცრიელ ადგილზე განმარტოვდნენ და მკაცრ მოსაგრე ცხოვრებას ეწეოდნენ.

როდესაც წარმართული ალბანეთის ახალმა მთავარმა დათიანმა შეიტყო, რომ მისი ყოფილი წარჩინებული მოხელენი ქრისტიანები გამხდარან, მან მათთან თავისი დაახლოებული პირი

ბარნაბასი გაგზავნა და წარმართულ სარწმუნოებაზე მოქცევა უბრძანა. წმიდანებმა მტკიცედ უარყვეს მისი წინადადება და ღვთისადმი მსახურების ერთგულნი დარჩნენ, რისთვისაც ისინი შეიპყრეს და აწამეს.

წმიდა ნეშტი ამ მოწამეებისა დიდხანს დაუკრძალავად იყო ღია ცის ქვეშ და უხრწნელად შემორჩა IV საუკუნემდე, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე.

წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლმა, განმანათლებელმა სომხეთისა, მოწამეთა წამების ადგილას ეკლესია ააგო და მასთან მონასტერიც დააარსა. შემდეგში იმ ადგილას სამკურნალო წყალი აღმოცენდა.

70-თაგან წმიდა მოციქულებმა არისტარქო, პუდი და ტროფიმ მოწამებრივი აღსასრული მიიღეს რომში იმპერატორ ნერონის დროს, წმიდა პავლე მოციქულთან ერთად.

### დაიბადნენ:

1758 — ჯეიმს მონრო, აშშ-ს მეხუთე პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1831 წელს.

1900 — ბრუნო აპიცი, გერმანელი მწერალი-ანტიფაშისტი. გარდაიცვალა 1979 წელს.

1924 — ქენეტ კაუნდა, ზამბიის პრეზიდენტი.

1949 — ალექსანდრე მინდაძე, რუსეთში მოღვაწე ქართველი კინოსცენარისტი.

### გარდაიცვალნენ:

1813 — მიხაილ კუტუზოვი, რუსი მხედართმთავარი.

1945 — ბენიტო მუსოლინი, იტალიელი დიქტატორი.

### მოვლენები:

1770 — ინგლისელი ზღვაოსანი კაპიტანი ჯეიმს კუკი და მისი ექსპედიციის წევრები ავსტრალიის ტერიტორიაზე გადასხდნენ.

1838 — ფრანგმა მხატვარმა დაგერმა გამოიგონა მარტივი ფოტოაპარატი, რომელსაც დაგეროტიპი ეწოდა.

1914 — სარაევოში მოკლეს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრე, ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი, რაც პირველი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი გახდა.

1920 — ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება აზერბაიჯანში.

1920 — შეიქმნა საქართველოს ცენტრალური სამეცნიერო არქივი.

1953 — დააპატიმრეს ვასილ სტალინი.

### ღირსსახსოვარი დღეები:

დამეგობრებული ქალაქების საერთაშორისო დღე.

ისრაელი — დამოუკიდებლობის დღე.

ავღანეთი — ისლამური ერის გამარჯვების დღე.

მედიანიუსი

## სოფელ ვაჩნაძიანში უნიკალური აღმოჩენა გაკეთდა

მინის, რკინისა და ბრინჯაოს სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები და ჯვრები ეს ის უნიკალური ექსპონატებია რომლებიც მე-IX-XIII საუკუნეებით თარიღდება და და გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანში, ამიდასტურის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა, — აცნობეს „მედიანიუსს“ რადიო „ჰერეთიდან“.

ამავე ტაძრის ეზოშია აქამდე უცნობი სვეტიცხოვლის სახელობის ეკლესია. ის მთლიანად მიწით იყო დაფარული. არქეოლოგების თქმით, ძეგლი მე-VII საუკუნით თარიღდება. გარდა ამისა, ამიდასტურის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში 80- მდე სამარხი იქნა შესწავლილი. აქვეა, საქართველოში ერთ-ერთი იშვიათი ტიპის აკლდამა, რომელიც უნიკალურია თავისი არქიტექტურული სტილით, რომელიც სავარაუდოდ სასულიერო პირების განსასვენებელი იყო.

სამარხებში აღმოჩენილი 300-მდე ექსპონატი სოფელ ვაჩნაძიანის ისტორიულ მუზეუმში გადაიტანეს. როგორც მუზეუმის თანამშრომლები ამბობენ, ისინი შესაბამისად, არ არის დაცული.

**მედიანიუსი**

## რუსეთში ახალი ეთნოსი — „პუტინელი“ ცხოვრობს

რუსეთში 2010 წლის აღწერის წინასწარი მონაცემები შეაჯამეს; აღმოჩნდა, რომ ტიუმენის ოლქის მოსახლეობა თავს ეროვნებით - „პუტინელად“ მიიჩნევს.

აღწერის შესახებ მონაცემები ადგილობრივი სტატისტიკური სამსახურის თავმჯდომარე ნადეჟდა მენოვამ გაამჟღავნა.

მენოვამ აღნიშნა, რომ ტიუმენის ოლქის მოსახლეობის უმრავლესობა თავს რუსებად მიიჩნევს, მაგრამ რეგიონის ზოგიერთმა მკვიდრმა ეროვნების გრაფაში „ციმბირელი“, ზოგმა კი „პუტინელი“ მიუთითა.

მსგავსი შემთხვევა, ტიუმენის გარდა, კიდევ რამდენიმე რეგიონში დაფიქსირდა.უფრო მეტიც, სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის თავმჯდომარე ალექსანდრ სურინოვი არ გამორიცხავს, რომ „ციმბირელი“ შესაძლოა, ეროვნებათა რეესტრში ჩაიწეროს, მაგრამ „როსტატმა“ ინფორმაცია უარყო. რუსეთის მოსახლეობის აღწერა 2010 წლის 14-დან 25 ოქტომბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. საბოლოო შედეგი 2013 წლის დასაწყისში გახდება ცნობილი.

**ინტერპრესნიუსი**

# დედა გაშვილებული ბავშვის დაბრუნებას ითხოვს

**გიორგი 8 წლის არის. ბიოლოგიურმა დედამ ის დაბადებიდან რამდენიმე დღეში მისცა უშვილო ოჯახს. ერთი წლის შემდეგ დედამ ბავშვის დაბრუნება მოითხოვა. სასამართლო დავა 2009 წლის ჩათვლით გაგრძელდა. ბავშვი აღმზრდელებს დარჩათ. 2010 წელს ბიოლოგიურმა დედამ დავა განაახლა. სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ მისი განცხადების საფუძველზე ბავშვის მამად თურქეთის მოქალაქე აღიარა. არსებობს ვერსია, რომ ბავშვს თურქეთში გასაყიდად ამზადებენ.**



ნანა დ-შვილმა გურჯაანის სამშობიარო სახლში 2004 წლის თებერვალში იმშობიარა და ვაჟიშვილი შეეძინა.

— მშობიარობა მძიმე მქონდა. არ მეგონა თუ გადავრჩებოდი. შვილმა და სიძემ უარი მითხრეს პატრონობაზე. ჩემი ასეთი მდგომარეობით ისარგებლეს და სამშობიაროშივე დამიწყეს საუბარი, რომ დამეხმარებოდნენ, საავადმყოფოს ხარჯებს გადაიხდიდნენ და ბავშვსაც დროებით მოუვლიდნენ, სანამ გამოვჯანმრთელდებოდი, იმ პირობით, რომ შემდეგ მათ ავუნაზღაურებდი გაწეულ ხარჯებს. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იძულებული გავხდი და ბავშვი დროებით მოსავლელად მ. ნ-შვილს გადავეცი. ბავშვის გაშვილებაზე მე თანახმა არ ვყოფილვარ. როგორც კი მოვმჯობინდი, მე მოვითხოვე ბავშვის მოყვანა, მაგრამ გადამალეს. ამის შემდეგ მე წავედი თურქეთში, სადაც ვიმკურნალე და რამდენიმე თვეში საქართველოში ჩამოვედი ჯანმრთელობის უკეთესი მდგომარეობით. ისევ მოვითხოვე ბავშვის დაბრუნება, მაგრამ არც მაჩვენეს, რის შემდეგაც მივმართე სასამართლოს, — ამბობს ნანა დ-შვილი.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2005 წლის ნოემბრის განჩინებით გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. მოსამართლე შალვა მჭედლიშვილმა მასალებში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო, საქმე მოკვლევისათვის გურჯაანის რაიონულ პროკურატურას გადაუგზავნა. გურჯაანის რაიონულმა პროკურატურამ ჩაატარა გამოძიება და გაარკვია, რომ ნანა დ-შვილი ნამდვილად არის სადაო ბავშვის დედა, აღმზრდელები კი არ არიან მშობლები და ბავშვი კანონიერი საფუძვლის გარეშე ჰყავთ თავისთან. პროკურატურამ მიიჩნია, რომ არ დასტურდება ბავშვის ყიდვა-გაყიდვის, ან სხვა ანგარებითი ხასიათის გარიგების ფაქტი და საქმეზე გამოძიება შეწყვიტა.

2008 წელს ნანა დ-შვილმა კვლავ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მცირეწლოვანი შვილის დაბრუნება. ბავშვის აღმზრდელებმა ბიოლოგიური დედის სარჩელი არ სცნეს და განმარტეს: „ნანა არის ინვალიდი. მას არ შეეძლო ბავშვის მოვლა. საკუთარმა შვილმა და სიძემაც არ მიხედეს. ამიტომ, მას ბავშვი არ უნდოდა და მის გადაგდებას აპირებდა. ჩვენ ნანა დ-შვილს გადავუხადეთ მკურნალობის ხარჯები, რის შემდეგაც ნანა დ-შვილმა დაწერა ხელწერილი, რომ ბავშვი გვაჩუქა“.

—□ბავშვი ხშირად ავადმყოფობდა. ჩვენ მას ყველანაირი მკურნალობა ჩავუტარეთ. ავუყვანეთ ძიძა, ყველა პირობა შევუქმენით, რომ კარგად გაზრდილიყო. ჩვენს შორის ჩამოყალიბებულია დედა შვილური და მამა შვილური ურთიერთობა. ბავშვი ჯერ პატარაა და მისთვის არ გვითქვამს, რომ ჩვენ მისი ბიოლოგიური მშობლები არ ვართ, — ამბობს აღმზრდელი დედა.

სასამართლო სხდომაზე მოწმეებმა გულნარა გ.ძემ და ლალი ქ.შვილმა განაცხადეს, რომ ნანა დ-შვილს ეკონომიური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უნდოდა ბავშვის გაშვილება. გულნარა გ-ძის თქმით, იმ შემთხვევაში თუ ბავშვის გაშვილება არ მოხერხდებოდა, ბიოლოგიური დედა ჩვილის გადაგდებას აპირებდა.

საქმის განხილვის შედეგად მოსამართლე შალვა მჭედლიშვილმა ბიოლოგიური დედის სარჩელი არ დააკმაყოფილა. □საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მშობლებს უფლება აქვთ სასამართლოს წესით მოსთხოვონ არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირს, რომელიც მას თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის ან სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლომ შეიძლება არ დააკმაყოფილოს მშობლების ასეთი მოთხოვნა, თუ იგი ეწინააღმდეგება შვილის ინტერესებს. მოცემულ შემთხვევაში, გიორგი დაბადებიდან იზრდება აღმზრდელებთან, მათ შორის ჩამოყალიბებულია ისეთი ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილებს შორის და ბავშვს აქვს მათთან აღზრდის ყოველგვარი პირობები. მათთან გაშორება იმოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე. ამასთან, მოსარჩელე ნანა დ-შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ბავშვის დაბრუნების შემთხვევაში გაუარესდება ბავშვის აღზრდისა და ცხოვრების პირობები. ბიოლოგიური დედის მოთხოვნა შვილის დაბრუნების შესახებ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს□, - აღნიშნავს მოსამართლე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ნანა დ-შვილმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. უზენაესმა სასამართლომ კი 2009 წლის 10 დეკემბრის განჩინებით ნანა დ-შვილის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო, რის შედეგადაც გურჯაანის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

2010 წლის აგვისტოში ნანა დ.შვილმა და თურქეთის მოქალაქე ომერ ა-კმა განცხადებით მიმართეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გურჯაანის განყოფილებას და მოითხოვეს გიორგის დაბადების აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობა და ომერ ა - კისთვის მამობის დადგენის რეგისტრაცია. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გურჯაანის სამსახურის უფროსის ანა გელაშვილის თქმით, საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2004 წლის 2 მარტს გურჯაანის სარ განყოფილების მიერ გიორგი ღ-შვილის (აღმზრდელი მამის გვარით) სახელზე გაცემული დაბადების სააქტო ჩანაწერი არის ყალბი, რადგან იგივე ბავშვზე 1 მარტს უკვე გაცემული იყო დაბადების მოწმობა ბიოლოგიური დედის გვარზე. □ჩვენ საქმის მასალები რეაგირებისათვის გურჯაანის პროკურატურას გავუგზავნეთ. დაბადების მოწმობის გაყალბების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მაგრამ წინასწარი გამოძიება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო შეწყდა. ამის შემდეგ დავაკმაყოფილეთ ნანა დ-შვილის და თურქეთის მოქალაქე ომერ ა-კის განცხადება მამობის დადგენის რეგისტრაციის შესახებ, - აღნიშნავს ანა გელაშვილი.

გიორგის აღმზრდელ დედას ლია გ-შვილს მიაჩნია, რომ ნანა დ-შვილის და ომერ ა - კის მიზანი ბავშვის თურქეთში გაყვანაა.

— რამ შეუშალა ნანას ხელი, რომ თუ ბავშვის მამა ეს კაცი იყო, მისთვის შეეტყობინებინა მაშინვე, როცა მან პირველად აღძრა სარჩელი სასამართლოში ბავშვის დაბრუნების მოთხოვნით? ომერ ა - აკი არც მაშინ და არც შემდეგ, სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში არ უხსენებია. ნანას არც მაშინ და არც ახლა არ აქვს ბავშვის აღზრდის საშუალება. მისი ერთადერთი მიზანია ბავშვი წაიყვანოს თურქეთში, სადაც ალბათ უკვე გაყიდული ჰყავს და ყველა საშუალებას იყენებს ძვირადღირებული ადვოკატების დახმარებით, რომ გიორგი როგორმე წაგვართვას. საიდან აქვს მას ადვოკატების ფული, როცა არის პირველი ჯგუფის ინვალიდი, არ მუშაობს, ვერ გადაადგილდება დამოუკიდებლად და იღებს სოციალურ დახმარებას. ომერ ალბაირაკი გამოაჩინა მას შემდეგ რაც სასამართლო დავა წააგო და ახლა ამ კაცის მეშვეობით ცდილობს გიორგის წართმევას. ის არ ფიქრობს ბავშვის ინტერესებზე. ჩვენ მას ბავშვის ნახვის და მასთან ყოფნის საშუალებაც მივეცით, წაყვანის უფლების გარეშე. სასამართლომ დაამტკიცა ეს პირობები, მაგრამ მას ბავშვი ერთხელაც კი არ უნახავს, — ამბობს გიორგის აღმზრდელი დედა.

ზაზა გაბიტაშვილი, სოციალური მომსახურების სააგენტოს იურისტი: „არის დიდი ალბათობა, რომ ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანა მოხდეს“.

ნანა დ-შვილი და თურქეთის მოქალაქე აპირებენ მიმართონ პოლიციას და ბავშვის დაუყოვნებლივ დაბრუნება მოითხოვონ.

გიორგის აღმზრდელების ოჯახი ამჟამად რუსთავში ცხოვრობს. გიორგის აღმზრდელი დედა ერთ-ერთ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობს, მამა სანტექნიკოსია. სოციალური მუშაკი ასკვნის, რომ გიორგის აღმზრდელების ოჯახში ყველა პირობა და მზრუნველი გარემო აქვს.

ფსიქოლოგი მანანა ომარაშვილი მიიჩნევს, რომ დაუშვებელია ბავშვის დაშორება აღმზრდელებთან, რადგან ეს შექმნის დეპრივაციის საფრთხეს და გამოიწვევს ბავშვის ემოციური და გონებრივი განვითარების სერიოზულ შეფერხებას.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# *იაპონია:* გზა აღდგენისა და ხელახლა დაბადებისაკენ

## ნაოტო კანი, იაპონიის პრემიერ მინისტრი

**11 მარტს, 14:46 საათზე იაპონიაში მოხდა ისტორიაში ყველაზე ლიერი მიწის ძვრა. ამჟამად, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ თავი დავაღწიოთ იაპონიის უკიდურეს აღმოსავლეთში მიწის ძვრის გამო მომხდარ ტრაგედიას, რომლის შედეგად 2§,999 ადამიანზე მეტია გარდაცვლილი თუ დაკარგული, უცხოელი მოქალაქეების ჩათვლით, და დავუბრუნდეთ ცხოვრების ჩვეულ რიტმს.**



**(არაოფიციალური თარგმანი**

11 მარტიდან დაწყებული, ჩვენ დიდ მხარდაჭერას ვღებულობთ საერთაშორისო საზოგადოებისა და მეგობრებისგან მთელი მსოფლიოდან. იაპონიის ხალხის სახელით, მინდა გამოვხატო გულწრფელი მადლიერება იმ მხარდაჭერისა და სოლიდარობისათვის, რაც ჩვენ 130 ქვეყნის, დაახლოებით 40 საერთაშორისო ორგანიზაციის, მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხალხისგან მივიღეთ. იაპონელი ერი დიდად აფასებს კიჰუნას (მეგობრობის უღელს), რომელიც ჩვენმა მეგობრებმა მთელს მსოფლიოში იტვირთეს. ამ გაჭირვების ჟამს, ჩვენ ნამდვილად შევიგრძენით, თუ რას ნიშნავს გამოთქმა „მეგობრობა გასაჭირში გამოიცნობა“.

მიწისძვრის შემდეგ საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა გაეკეთებინა ყველაფერი, რაც იაპონიას დასჭირდებოდა: იქნებოდა ეს სამაშველო ბრიგადების გამოგზავნა თუ ჰუმანიტარული დახმარების გაწევა. გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ საქართველოს მთავრობას 1 მილიონ ამერიკული დოლარის ოდენობით იაპონიაში დაზარალებული მოსახლეობისათვის ფინანსური დახმარებისთვის. ჩვენ მხარდაჭერა მივიღეთ არა მარტო საქართველოს მთავრობისგან, არამედ საქართველოს მოქალაქეებისგან და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, რომლებმაც არა მარტო მწუხარება და თანადგომა გამოხატეს იაპონელი ხალხისადმი, არამედ მოაწყვეს საქველმოქმედო ღონისძიებები, რამაც ფინანსური დახმარება საგრძნობლად გაზარდა.

ამ პერიოდის განმავლობაში, 1000 ადამიანზე მეტი მიბრძანდა იაპონიის საელჩოში საქართველოში. მინდა გამოვხატო ჩემი გულწრფელი მადლობა ქართველი ხალხისადმი თანადგომისა და მხარდაჭერისთვის.

იაპონიაში მოხდა რადიაციის გამოჟონვა ფუკუშიმა დაიჩის ატომურ ელექტროსადგურზე, რისი ზარალი საკმაოდ სერიოზულად შეფასდა საერთაშორისო მასშტაბით; მომხდარის გამო ძალიან ვწუხვარ. ჩემი მიზანია, რაც შეიძლება მალე დარეგულირდეს მდგომარეობა ატომურ ელექტროსდგურზე. იაპონიის მთავრობა გაერთიანებული ძალებით მუშაობს ამ საჭირბოროტო საკითხზე. მობილიზებულია ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესური, რათა აღმოვფხრათ ატომური ელექტროსადგურიდან გამომდინარე რისკი. ჩვენ სამი ძირითადი მიმართულება დავსახეთ: (1) გავუფრთხილდეთ ყველა მოქალაქის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, განსაკუთრებით კი ატომურ ელექტროსადგურთან ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას; (2) შევაფასოთ ყველა არსებული და მოსალოდნელი რისკი; და (3) განვიხილოთ ყველა შესაძლებელი სავარაუდო საფრთხე, რაც მომავალში შეიძლება წარმოიქმნას და თადარიგი დავიჭიროთ ნებისმიერ სიტუაციში სამოქმედოდ. ჩვენ ყოველ ზომებს ვღებულობთ, რათა შევაჩეროთ რადიაციული წყლის ოკეანეში გაჟონვა. ამასთან ერთად, მთავრობა სამეცნიერო კრიტერიუმზე დაფუძნებულ ყველა ღონისძიებას ატარებს ბაზარზე გამავალი იაპონური პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ადგილობრივი და უცხოელი მომხმარებლისადმი იაპონური პროდუქციის უსაფრთხოებაში დასარწმუნებლად, ჩვენი ადმინისტრაცია გააორმაგებს ძალისხმევას გამჭვირვალობის შესანარჩუნებლად და ყველას მიაწოდებს შესაბამის ინფორმაციას ფუკუშიმა დაიჩის ატომურ ელექტროსადგურზე ჩვენი პროგრესის შესახებ. მე პირობას ვდებ, რომ იაპონიის მთავრობა დროულად და სრულად შეამოწმებს ამ შემთხვევის მიზეზებს, გაუზიარებს ინფორმაციას მთელს მსოფლიოს, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ მსგავსი საფრთხე. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ მომავალი თაობების უსაფრთხოების შესახებ გლობალური დისკუსიების დანერგვას. ამავე დროს, ენერგო პოლიტიკიდან გამომდინარე უნდა გავუმკლავდეთ ორმაგ გამოწვევას: მზად უნდა ვიყოთ, ვუზრუნველყოთ მზარდი მოთხოვნა გლობალურ ენერგიაზე და შევეცადოთ შევამციროთ აირის გამოყოფა სათბურებიდან, რათა დავუპირისპირდეთ გლობალურ დათბობას. იაპონიის „ხელახლა დაბადების“ ეგიდის ფარგლებში, მე მინდა მთელს მსოფლიოს ვაუწყო, რომ იაპონია ხელს შეუწყობს სუფთა ენერგიის გავრცელებას, რაც შესაბამისად მოახდენს გლობალური ენერგო პრობლემების გადაჭრას.

იაპონიის უკიდურეს აღმოსავლეთში მომხდარი მიწისძვრა, რასაც ცუნამი მოჰყვა, ყველაზე დიდი ბუნებრივი უბედურება იყო, რაც კი იაპონიაში მომხდარა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. განადგურებული ტოჰოკუს რეგიონის აღდგენა არც თუ ისე იოლი იქნება. ვიმედოვნებ, რომ ეს ძნელი პერიოდი მოგვცემს “იაპონიის ხელახლა დაბადების“ შესაძლებლობას. იაპონიის მთავრობა მთელს მსოფლიოს წარუდგენს აღმოსავლეთ იაპონიის აღდგენის ყველაზე გამოცდილ გეგმას, რომელიც დაფუძნებული იქნება სამ ძირითად პრინციპზე: (1) შექმნას რეგინალური საზოგადოება, რომელიც გაუძლებს ბუნებრივ უბედურობებს; (2)შეიქმნას ისეთი სოციალური სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ხალხის გლობალურ გარემოსთან ჰარმონიულ ცხოვრებას, და (3) ხელი შეუწყოს მზრუნველი საზოგადოების განვითარებას, რომელიც ხალხზე ზრუნავს, განსაკუთრებით კი მათზე ვისაც დახმარება ესაჭიროება.

ჩვენ იაპონელი ერი სფინქსივით აღვსდეგით მეორე მსოფლიო ომის ფერფლთაგან. მე ოდნავაც კი არ მეპარება ეჭვი, რომ იაპონია ამ კრიზისსაც დასძლევს, კიდევ უფრო გაძლიერდება, და მომავალი თაობებისთვის უკეთესს ქვეყანას დააფუძნებს. მე ვფიქრობ, რომ იმ ძლიერი კიძუნასა და გულწრფელი მეგობრობის გადასახდელად, რომელიც ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობამ გვაჩვენა, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ქმედება საერთაშორისო საზოგადოების განსავითარებლად. ჩემის მხრივ ყველაფერს გავაკეთებ რაც შემიძლია, რომ განვახორციელო ქვეყნის “შორსმჭვრეტელური“ რეკონსტრუქცია, ისეთი ქვეყნის, სადაც ხალხს საუკეთესო მომავლის იმედი ექნება. კიდევ ერთხელ გულწრფელ მადლობას გიხდით თქვენი დახმარებისა და თანადგომისათვის.

**არიგატოუ**

# ქართულ კულტურას ევროპაში გაეცნობიან

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში დივიდი დისკის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც მისმა ავტორებმა უწოდეს „საქართველო მუსიკას სთავაზობს იტალიას". პროექტს საფუძველი 2009 წელს საქართველოში ჩაეყარა, წმიდა საყდრის დესპან კლაუდიო გუჯეროტის თაოსნობით და იტალიის ქალაქ ვერონას წმიდა ძენოს სახელობის ფონდის მხარდაჭერით.

პროექტის მიზანია ქართველი ხალხის არტისტული ბუნების, განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭისა და ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა. სწორედ ამ მიზნით შეირჩა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის №1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი. შეიქმნა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი სასწავლებლის მოსწავლეებისა და კურსდამთავრებულების შემადგენლობით, ხოლო ორკესტრის ის ნაწილი, რომელიც წარმოდგენილი არ იყო ქართველი ახალგაზრდებით, იტალიელი შემსრულებლებით შეივსო.

კონცერტები ჩატარდა თბილისში კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ტრენტოში, „აუდიტორიუმ სანტა კიარა"-ში, სპოლეტოში „ტეატრო ნუოვო"-ში და ვერონაში სან ძენო მაჯორეს ბაზილიკაში და ვატიკანში გოვერნატორის ეკლესიაში, რომელსაც მხოლოდ კარდინალები და ვატიკანში აკრედიტებული ელჩები ესწრებოდნენ. კონცერტებზე შესრულდა რევაზ ლაღიძის „საჭიდაო", ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის კონცერტი დო მაჟორი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის და იოჰანეს ბრამსის სერენადა №1 რე მაჟორი.

ვერონაში გამართული კონცერტის მაღალხარისხოვანი დივიდი ვერსია გამოსცა პროექტის სპონსორმა „სან ძენო"-ს ფონდმა. კონცერტების სერიას კი საქართველოში, ვატიკანსა და იტალიის ქალაქებში ხელმძღვანელობდა იტალიელი დირიჟორი მაესტრო ჯამპაოლო პრეტო.

წმიდა საყდრის დესპანს კლაუდიო გუჯეროტის, რომლის მხარდაჭერითაც განხორციელდა აღნიშნული პროექტი საქართველოში, მისია ეწურება. მის გამგზავრებამდე, პატივისცემის ნიშნად ზაქარია ფალიაშვილის სახელობის №1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელმა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ერთად გამართა დივიდის პრეზენტაცია.

კულტურის სამინისტროში დაგეგმილ პრეზენტაციას კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთან ნიკოლოზ რურუასთან ერთად წმიდა საყდრის დესპანი კლაუდიო გუჯეროტი, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ნიჭიერთა ათწლედის პედაგოგები და ორკესტრის წევრები დაესწრნენ.

**ნიკოლოზ რურუა, კულტურის მინისტრი:**

— ეს არის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამოცემა. უკვე გადაწყვეტილია, რომ ამ ფილმის ჩვენება გაიმართება ვატიკანში, იტალიასა და დანარჩენ ევროპაში.

— *რატომ გადაწყვიტეთ ამ დივიდის გამოცემა?*

— წმინდა საყრდის დესპან კლაუდიო გუჯეროტის საქართველოში მისია ეწურება და სწორედ მისი იდეა იყო, ფილმის ჩვენება ამ ფორმით განხორციელებულიყო. ჩვენ დავეთანხმეთ კლაუდიო გუჯეროტის, რადგან ის არის საქართველოს დიდი მეგობარი და თავისი პროფესიის ღირსეულად შემსრულებელი ადამიანი. ეს არის პროექტი, რომელსაც სათავეში უდგას კარდინალი გუჯეროტი. ამ დივიდის საშუალებით ყველას შეუძლია ნახოს, როგორ სთავაზობს საქართველო მუსიკას იტალიას და მისი სახით უკვე მთელ ევროპას.

— *შედეგით კმაყოფილი ხართ?*

— ნამდვილად კმაყოფილი ვარ. ჩვენი ქვეყნის ნიჭიერებასა და კულტურაზე მთელი ევროპა გაიგებს. ეს დივიდი სწორედ ამისთვის შეიქმნა.

**კლუადიო გუჯეროტი, წმინდა საყრდის დესპანი:**

— ჩემი მისია საქართველოში იწურება. აქედან სასიამოვნო შთაბეჭდილებებით დატვირთული მივდივარ. ამ პროექტით ყველას ერთად გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ საქართველო არ არის მხოლოდ დაბომბილი და გასაცოდავებული ქვეყანა. ეს პროექტი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ განხორციელდა. გაოცებული დავრჩი, როდესაც ვნახე, რომ ომის დროსაც გააგრძელეს ახალგაზრდებმა შემოქმედებითი ცხოვრება. საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც აქვს დიდი ხელოვნება და ჩვენ ეს ხელოვნება მსოფლიოს უნდა წარვუდგინოთ. განსაკუთრებული აქცენტი გავაკეთეთ ახალგაზრდობაზე, რადგან ძალიან მძიმე სანახავი იყო ომის შემდეგ სულით დაცემული ახალგაზრდობა. ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ საქართველოში შემოქმედებითი ნიჭით აღსავსე ახალგაზრდები არიან და ეს ნამდვილად მოვახერხეთ. ვინც მათი კონცერტები ნახა, ყველა მიხვდა, რომ საქართველოში ნიჭიერი მუსიკოსები იზრდებიან და მათ ხელშეწყობა სჭირდებათ.

# საბალეტო დასი იტალიაში მიდის

ეკა ირემაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი გასტროლზე იტალიაში მიემგზავრება. დასს ქართველი პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი ხელმძღვანელობს. საბალეტო დასი თბილისიდან 28 აპრილს გაემგზავრება.

ქართველი მოცეკვავეები იტალიაში გასტროლზე წელს უკვე მეორედ ჩადიან. მათი პირველი გასტროლი იტალიაში მარტში შედგა. ქართულმა საბალეტო დასმა საგასტროლო სპექტაკლები სამხრეთ იტალიაში ქალაქ კატანიაში, მასიმო ბელინის თეატრში წარადგინა. დასმა სულ 7 სპექტაკლი იცეკვა. პირველი გასტროლის პროგრამაში შეტანილი იყო ფრედერიკ ეშტონის ბალეტები (დღესასწაული, მარგარიტა და არმანი და პადე დეები ტაისი, სილვია, გაზაფხულის ხმები, კატა.) მასიმო ბელინის თეატრის ორკესტრს ქართველი დირიჟორი დავით მუქერია დირიჟორობდა. „მარგარიტა და არმანში" მთავარი პარტია პრიმა-ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა იცეკვა. გასტროლი მასიმო ბელინის თეატრის მიწვევით ჩატარდა. საბალეტო დასი თბილისში 28 მარტს დაბრუნდა.

რიგით მეორე გასტროლზე სპექტაკლების ჩვენება იტალიის ორ ქალაქში — ლენაგოსა და გორიციაში შედგება. საბალეტო დასის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, საგასტროლო პროგრამაში შეტანილია ჯორჯ ბალანჩინის ბალეტები „სერენადა", „მოცარტიანა" და „დუო კონცერტანტ".

იტალიელი მაყურებლის წინაშე საბალეტო დასთან ერთად ნინო ანანიაშვილი ამჯერადაც იცეკვებს. იგი სპექტაკლში „მოცარტიანა" მთავარ პარტიას შეასრულებს. ნინო ანანიაშვილი იტალიაში განსაკუთრებულად უყვართ. იტალიის პრეზიდენტმა ჯორჯო ნაპოლიტანომ ქართველი პრიმა-ბალერინა იტალიის სოლიდარობის ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვა. დაჯილდოების ცერემონიალი საქართველოში იტალიის საელჩოში შედგა. ნინო ანანიაშვილი ამ საპატიო ჯილდოთი იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხელოვნებისა და კულტურის განვითარებაში მიღწეული ბრწყინვალე შედეგებისა და ხალხებს შორის ურთიერთობების გაღრმავებასა და მეგობრობის გაძლიერებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის დააჯილდოვა.

იტალიიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი 5 მაისს დაბრუნდება.

# ალმოაჩინე არმაზციხე!

ეკა ირემაშვილი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა ახალი პროექტი „ალმოაჩინე არმაზციხე" წარადგინა. პროექტს ქართველი და უცხოელი სპეციალისტები ერთობლივად განახორციელებენ.

პროექტის წარდგინების პირველ დღეს საქართველის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი და ბირმინგემის უნივერსიტეტის დოქტორი როჯერ ჰენრი ვაიტი ლონისძიების გახსნაზე მთავარი მომხსენებლები იყვნენ.

„ალმოაჩინე არმაზციხე" — საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს" ერთობლივი პროექტია, რომელიც ძეგლთა დაცვისა და პოპულარიზაციის გარდა, სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას გულისხმობს. პროქტის ფარგლებში პირველი ვორქშოპი მცხეთასა და თბილისში გაიმართება.

კულტურული მემკვირეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში სამი დღის განმავლობაში ქართველი სპეცილისტებისთვის ტრენინგს ბირმინგემის (ბრიტანეთი) უნივერსიტეტისა და აირონბრიჯის ინსტიტუტის დოქტორი როჯერ ჰენრი ვაიტი ჩაატარებს. ვორქშოფის მთავარი მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ სპეციალისტებს შეიმუშავონ მართვის გეგმა არმაზციხის არქეოლოგიური ძეგლისთვის და გაეცნონ არქეოლოგიური ძეგლების მართვის თანამედროვე მიდგომებს. პროქტის ფარგლებში პირველი სამუშაო შეხვედრები 30 აპრილამდე მცხეთასა და თბილისში გაიმართება.

**ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი:**

— არმაზციხე-ბაგინეთი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საიტი, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია საქართველოში. ეს არის საერთაშორისო მნიშვნელობის საიტი. მისი მოვლა-პატრონობა არა მარტო ქართული მხარის, არამედ იუნესკოს და მსოფლიოს სხვა წამყვანი ორგანიზაციების საქმეა. ბირმინგემის უნივერსიტეტი ჩართულია მართვის გეგმის შემუშავებაში.

— *როგორი იქნება შედეგი?*

— ბრიტანელი სპეციალისტები არ მალავენ, რომ ეს სამდღიანი სემინარი ძალიან მნიშვნელოვანია. მცხეთა უმნიშვნელოვანესი ძეგლია მთელ მსოფლიოში. მათთვის დიდი პატივია, რომ საუბრობენ მცხეთაზე, რომელიც საქართველოში კულტურის დასაბამია. მსგავსი პროექტების შედეგად ჩვენ მივიღებთ მცხეთას, როგორც ერთ-ერთ მიმზიდველ ადგილს საქართველოში.

# ფოთის თეატრი თბილისშია

ეკა ირემაშვილი

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი თბილისშია. თეატრის დასი 28 აპრილს თბილისში გრიბოედოვის სახელმწიფო თეატრის მცირე დარბაზში გამართავს დანიელა ჯანჯიჩის პიესის მიხედვით სპექტაკლს „ყვითელი დღეები". სპექტაკლის რეჟისორია დავით მღებრიშვილი, მხატვარი — თამარა ოხიკიანი. წარმოდგენაში სულ სამი პერსონაჟია, მათ როლებს კი ასრულებენ მარიკა ბუკია, ჯანსულ იზორია და გია გურმავა. სპექტაკლის პრემიერა ფოთის თეატრში 15 მარტს გაიმართა. ამჯერად კი ფოთის თეატრს თავისი ნამუშევარი თბილისელი მაყურებლის სამსჯავროზე გამოაქვს.

სპექტაკლი, რომელიც თბილისიდან მიწვეულმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა დავით მღებრიშვილმა დადგა, მოგვითხრობს ომის ფონზე განვითარებული სიყვარულის ისტორიაზე. რეჟისორისთვის შერჩეული პიესა მდიდარი მასალაა, რომელსაც ბევრი მსახიობი არ სჭირდება.

გერმანიაში მოღვაწე ახალგაზრდა დრამატურგმა პიესა გლობალურ ომზე დაწერა, ამიტომ პერსონაჟებს არც ეროვნება აქვთ და არც სახელები. მათ ერთმანეთისგან მხოლოდ რელიგია განასხვავებთ. დანიელა ჯანჯიჩი თავის პიესაში აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ომი ადამიანური ტრაგედიის შემოქმედია და მას არასოდეს მოაქვს მშვიდობა და ბედნიერება.

თემა მტკივნეული და ნაცნობია საქართველოსთვის. ომგამოვლილმა ფოთის თეატრმა გადაწყვიტა, პროტესტი ომს ასეთი სახით გამოუცხადოს. სპექტაკლში სულ სამი ახალგაზრდა მსახიობი მონაწილეობს. ქალმა არჩევანი ძმასა და ქმარს შორის უნდა გააკეთოს. პერსონაჟები დილემის წინაშე დგებიან, მათი სიყვარული უძლურია და ერთმანეთს ომი აშორებს. საბოლოოდ ქმარი კლავს მეუღლეს, ხოლო ცოლისძმა სიცოცხლეს სიძეს გამოასალმებს.

სპექტაკლი მუსიკალურად თავად რეჟისორმა დავით მღებრიშვილმა გააფორმა. როგორც რეჟისორი განმარტავს, ნებისმიერი ომგამოვლილი ქვეყნისთვის ეს პიესა მეტად მტკივნეული და ახლობელია. დრამატურგის აზრით, არანაირ ომს და იარაღის ჟღარუნს მშვიდობა და კეთილდღეობა არ მოაქვს. მთავარი ამქვეყნად მხოლოდ სიყვარულია.

ფოთის თეატრი თავის ახალ სპექტაკლს თბილისელ მაყურებელს მხოლოდ ერთი დღით 28 აპრილს შესთავაზებს.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგოინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი, სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

# სლოვენიამ გუნდი გაახალგაზრდავა

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქე სლოვენიამ სამწვრთნელო შტაბი შეივსო. სლოვენიელთა მთავარმა მწვრთნელმა — სერბმა ბოჟიდარ მალკოვიჩმა საკუთარი ასისტენტების ვინაობა დაასახელა. სახელგანთქმული მწვრთნელის თანაშემწეებად სლოვენიის ნაკრებში ალექსანდრ სეკულიჩი და გასპერ პოტოჩნიკი იმუშავებენ.

— მე გადავწყვიტე, ასისტენტებად ნაკრებში ახალგაზრდა მწვრთნელები, ალექსანდრ სეკულიჩი და გასპერ პოტოჩნიკი ავიყვანო. მათ შესახებ მე არაერთ ცნობილ სლოვენიელ მოთამაშეს თუ მწვრთნელს ვესაუბრე და დავრწმუნდი, რომ სლოვენიური კალათბურთის მომავლისთვის აჯობებს, რომ ნაკრებში სწორედ მათ იმუშაონ, — განაცხადა ბოჟიდარ მალკოვიჩმა.

მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, სეკულიჩსა (33 წელი) და პოტოჩნიკს (35 წელი) მდიდარი სამწვრთნელო სტაჟი აქვთ. ისინი სხვადასხვა სლოვენიურ გუნდებში მუშაობდნენ. ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მათ უმაღლესი სამწვრთნელო კურსები აქვთ გავლილი.

# ფაჩულია და „ატლანტა“ შანსს ატლანტაში ელიან

„ორლანდო მეჯიქს“ „ატლანტა ჰოუქსის“ რა ბოლმაც ჰქონდა, სერიის მეხუთე მატჩში ამოიღო. აქამდელ შეხვედრებში ანგარიშში სხვაობა 10 ქულაზე მეტი არ ყოფილა, გუშინ გამთენიისას გამართულ მატჩში კი ფლორიდულმა გუნდმა 101:76 დაამარცხა „ატლანტა“ და სერიაში ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა — 2:3.



მასპინძლებმა პირველსავე ტაიმში მოათავეს საქმე. დიდი შესვენებისთვის „ორლანდო“ უკვე 23 ქულით იგებდა და დარჩენილ დროში ატლანტელებს არანაირი შანსი აღარ ჰქონიათ. ამ შეხვედრაში ითამაშა ზაზა ფაჩულიამაც და ჯეისონ რიჩარდსონმაც, რომლებმაც სერიის მე-3 შეხვედრაში ჩხუბის გამო მომდევნო მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვეს.

რიჩარდსონი სასტარტო იყო და თავის გუნდში ყველაზე მეტი — 17 ქულაც ჩააგდო. რაც შეეხება ფაჩულიას, იგი მოედანზე სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 20 წუთში 4 ქულა, 1 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. ზაზამ 2-დან 1 ორქულიანი და 2-დან ორივე საჯარიმო ჩააგდო.

ახლა ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი დადგა ატლანტელთათვის. მომდევნო მატჩი მათ ქალაქშია და ყველაზე რეალური შანსი აქვთ, გამარჯვების მოპოვებით აღმოსავლეთის ერთ-ერთ მძლავრ გუნდს საპლეიოფო სერიაც მოუგონ. მომდევნო შეხვედრა „ფილიპს არენაზე“ ჩვენი დროით 29 აპრილს, გამთენიისას გაიმართება.

# მოგების შემდეგ მარცხი

გუშინ ვასილ მაისურაძის გაწვრთნილი 17-წლამდე ნაკრები თურქ თანატოლებს ყაზახეთში მიმდინარე „პრეზიდენტის თასზე“ შეხვდა.

სამწუხაროდ, ქართველმა ფეხბურთელებმა შეხვედრა მინიმალური უპირატესობით — 1:2 დათმეს. თურქებმა ანგარიში 29-ე წუთზე გახსნეს. ამის შემდეგ, ჩვენმა ფეხბურთელებმა არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს, თუმცა, გადამწყვეტ მომენტებში სიზუსტე ღალატობდათ. მეორე გოლი მეტოქემ 52-ე წუთზე გაგვიტანა. თურქების კარში კი, ერთადერთი საპასუხო ბურთი შეცვლაზე შესულმა ალეკო მზევაშვილმა გაიტანა. ამ მარცხის გამო, საქართველოს ნაკრების მომდევნო შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ფინალში მოსახვედრად, სხვა შეხვედრების შედეგებსაც, ჩვენთვის არანაკლები დატვირთვა ექნება.

**საქართველო:** ადამია, გაბაძე, გ.გურეშიძე, მელიქიძე, აბურჯანია, ჭეჭელაშვილი, ახვლედიანი, კაკაბაძე, როსტიაშვილი, წილოსანი (ნიკურაძე 72), მაკარაძე (მზევაშვილი 63)

**გოლი:** მზევაშვილი (66)

როგორც ყაზახური გამოცემები იუწყებიან, ტურნირის ორგანიზატორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ „პრეზიდენტის თასის“ გათამაშებას და მის უმაღლეს დონეზე ჩატარებას, ვინაიდან, ამ ტურნირს განიხილავენ, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოსამზადებელ ეტაპს ყაზახეთის 17-წლამდე ნაკრებისთვის, რომელიც ამ წლის ოქტომბერში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს ითამაშებს.

ტურნირის საპრიზო ფონდი 20.000 დოლარია. გამარჯვებული გუნდი 10.000 დოლარს მიიღებს, მეორე და მესამე ადგილზე გასულები კი, შესაბამისად — 6 და 4 ათას დოლარს.

29 აპრილს, ჯგუფური ეტაპის დასკვნითი მატჩები გაიმართება. საქართველოს 17-წლამდე ნაკრები უკრაინას დაუპირისპირდება. მატჩი დილის 10:00 საათზე დაიწყება.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

შალკე-მანჩესტერი ........ 0:2

**ლიბერტადორესის თასი**

გრემიო-კატოლიკა ........ 1:2

ველეჟი-ლდუ ........ 3:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სტოკი-ვულვზი ........ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 34 | 21 | 10 | 3 | 71:32 | 73 |
| 2.ჩელსი | 34 | 20 | 7 | 7 | 64:27 | 67 |
| 3.არსენალი | 34 | 18 | 10 | 6 | 67:36 | 64 |
| 4.სიტი | 33 | 17 | 8 | 8 | 51:30 | 59 |
| 5.ტოტენჰემი | 33 | 14 | 13 | 6 | 49:41 | 55 |
| 6.ლივერპული | 34 | 15 | 7 | 12 | 51:39 | 52 |
| 7.ევერტონი | 35 | 11 | 14 | 9 | 47:42 | 47 |
| 8.ბოლტონი | 33 | 12 | 10 | 11 | 48:44 | 46 |
| 9.სტოკი | 34 | 12 | 6 | 16 | 43:43 | 42 |
| 10.ნიუკასლი | 34 | 10 | 11 | 13 | 49:48 | 41 |
| 11.სანდერლ. | 35 | 10 | 11 | 14 | 41:52 | 41 |
| 12.ას. ვილა | 34 | 10 | 11 | 13 | 43:55 | 41 |
| 13.ვესტ ბრომ. | 34 | 10 | 10 | 14 | 49:64 | 40 |
| 14.ფულემი | 33 | 8 | 15 | 10 | 37:37 | 39 |
| 15.ბირმინგემი | 33 | 8 | 14 | 11 | 33:49 | 38 |
| 16.ბლექბერნი | 34 | 9 | 8 | 17 | 40:55 | 35 |
| 17.უიგანი | 33 | 7 | 13 | 13 | 34:54 | 34 |
| 18.ბლექპული | 34 | 9 | 7 | 18 | 48:70 | 34 |
| 19.ვულვზი | 34 | 9 | 6 | 19 | 37:60 | 33 |
| 20.ვესტ ჰემი | 34 | 7 | 11 | 16 | 39:61 | 32 |

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი-ოფი 4 მოგებამდე**

ორლანდო-ატლანტა ........ 101:76

*ზაზა ფაჩულია: 4 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი*

სერიის ანგარიში ........ 2:3

ჩიკაგო-ინდიანა ........ 116:89

სერიის ანგარიში ........ 4:1

ლეიკერსი-ნიუ ორლეანი ........ 106:90

სერიის ანგარიში ........ 3:2

**ჩოგბურთი**

**ატპ. მიუნხენი. თიხა**

ჩილიჩი-ბოლელი ........ 7:5;7:6

შტეპანეკი-გოლუბევი ........ 6:1;4:6;6:3

დოდიგი-პეტშნერი ........ 1:6;4:6

სტარაჩე-ჰაიეკი ........ 3:6;6:4;6:0

რეისტერი-ბრანდსი ........ 7:6;6:1

ვავრინკა-ბრაუნი ........ 7:6;4:6;5:7

დავიდენკო-კუზნეცოვი ........ 6:1;7:6

ბაგდატისი-დიმიტროვი ........ 6:3;6:7;2:6

**ვტა. ბარსელონა. თიხა**

ბენეშოვა-ჰრადეცკა ........ 4:6;4:6

ლეპჩენკო-ბალტაჩა ........ 6:7;6:1;6:2

დულკო-დატე კრუმი ........ 7:5;6:4

პირონკოვა-ბრიანტი ........ 1:6;2:6

რაზანო-ლიაგოსტერა ვივასი ........ 7:5;6:4

ზაჰლავოვა-პოოს ტიო ........ 3:6;3:6

ჰერცოგი-ლუჩიჩი ........ 6:1;6:2

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი-ოფი 4 მოგებამდე**

მონრეალი-ბოსტონი ........ 2:1

სერიის ანგარიში ........ 3:3

ფილადელფია-ჩიკაგო ........ 5:2

სერიის ანგარიში ........ 4:3

ვანკუვერი-ჩიკაგო ........ 2:1(ოტ)

სერიის ანგარიში ........ 4:3

**ამხანაგური მატჩები**

ლატვია-ნორვეგია ........ 5:3

დანია-საფრანგეთი ........ 3:2

# არიენ რობენი: კრუიფი ჰოლანდიის ლეგენდაა

არიენ რობენმა შარშან ორი დიდი ფინალი წააგო — ჯერ ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხდა (ინტერი-ბაიერნი 2:0), შემდეგ კი მუნდიალის გადამწყვეტ მატჩშიც მოეცარა ხელი, როცა ჰოლანდიის ნაკრებმა ესპანეთთან 0:1 წააგო.

**ფიფა-ს ვებგვერდზე რობენთან ინტერვიუ გამოქვეყნდა:**

***— ესპანეთთან მარცხის შემდეგ, რა გრძნობა დაგეუფლათ — გაწბილება თუ სიამაყე? რაც უნდა იყოს, ფინალში გახვედით.***

— დაახლოებით შუაში, გაწბილებასა და სიამაყეს შორის. უკან რომ ვიყურები, ამაყი ვარ ფინალში გასვლით. ვფიქრობ, ეს ჰოლანდიური ფეხბურთისთვის დიდი მიღწევა იყო, მაგრამ როცა ტიტულის მოგებასთან ასე ახლოს ხარ, შინ ხელცარიელი წასვლა წარმოუდგენლად მტანჯველია.

***— გამოცდილი ფეხბურთელი ხართ და რას ნიშნავს თქვენთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობა? ალბათ, სხვა გრძნობაა, როცა ხედავ, რომ მთელი ერი გქომაგობთ.***

— რა თქმა უნდა. როცა შენს ქვეყანას დიდ ტურნირებზე წარმოადგენ, ეს უდიდესი პატივია. და ეს ეხება არა მარტო მსოფლიოს ჩემპიონატს, არამედ ნებისმიერ სხვა ტურნირს. ეგაა, მუნდიალს ყველა უყურებს. გასულ წელს ჩვენ მთელი ჰოლანდია სიხარულისგან გადავრიეთ და ეს ფანტასტიკურ სიამოვნებას მანიჭებდა.

***— უნივერსალურ ფეხბურთელად გთვლიან, თუმცა ალბათ, არის ერთი პოზიცია, სადაც ყველაზე მეტად მოგწონთ თამაში.***

— სადაც ვთამაშობ, სწორედ ისაა ჩემი პოზიცია. ანუ, მარჯვენა ფლანგზე. ფეხბურთელებს ზოგჯერ უწევთ ისეთ ადგილას თამაში, სადაც მუშა ფეხს სასურველად ვერ ამუშავებენ. ასე ვიყავი „ჩელსიში“. აი, „რეალში“ სიტუაცია შეიცვალა, მარჯვნივ დამაყენეს. ფეხით ცაცია ვარ და როცა მარჯვნივ ვთამაშობ, უფრო იოლად შემიძლია ცენტრში შეწევა.

***— იოჰან კრუიფს ხშირად გადარებენ?***

— არ მგონია, რომ ჩემი მასთან შედარება უპრიანი იყოს. კრუიფი ჰოლანდიის ლეგენდაა, ფანტასტიკური ფეხბურთელი გახლდათ. სადაც არ უნდა იყოს, მას ყველგან ცნობენ, ასე რომ, შედარება არაა საჭირო. კრუიფი ფენომენია.



***— ბავშვობისას თქვენი საყვარელი ფეხბურთელი ვინ იყო?***

— ბრაზილიელი რომარიო, რომელიც იმ დროს პსვ-ში თამაშობდა.

***— ახალგაზრდა ჰოლანდიელი ფეხბურთელებიდან ვინ მოგწონთ?***

— რთული კითხვაა. ჩემს თაობაში ბევრი ფეხბურთელია, რომლებიც ჰოლანდიის სიამაყენი არიან, მაგრამ მათი ასაკი დაახლოებით 27 წელია. რაც შეეხება ახალგაზრდებს, ამსტერდამის „აიაქსის“ მცველი გრეგორი ვან დერ ვილი მომწონს.

***— რით განსხვავდება ის ჩემპიონატები, სადაც სხვადასხვა დროს გითამაშიათ?***

— ყველა ლიგა გამოირჩევა თავისი განუმეორებელი კულტურით, ინდივიდუალურობით, მაგრამ მთავარი თვითონ ფეხბურთია. მაგალითად, ინგლისში დიდ როლს თამაშობს ფეხბურთელის ფიზიკური მომზადება, ესპანეთში - ტექნიკურობა, რაც ფეხბურთელებს აძლევს ლამაზი თამაშის საშუალებას. გერმანიაში საფეხბურთო სტანდარტები მაღალია, ყველა ფეხბურთელი მზადაა როგორც ფიზიკურად, ასევე დისციპლინისა და ორგანიზებულობის კუთხით.

***— რომელ კლუბში განვლეთ კარიერის საუკეთესო პერიოდი?***

— ყველა კლუბიდან საუკეთესო მოგონება წამომყვა. ძნელია რომელიმეს გამორჩევა. დარწმუნებული ვარ, სადაც არ უნდა გადავსულიყავი, ყველგან მექნებოდა კარგი და ცუდი პერიოდები.

***— ვინაა საუკეთესო მცველი, რომლის წინააღმდეგაც გითამაშიათ?***

— ვერ გამოვარჩევ. თითოეულს ჰქონდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

***— თქვენი საუკეთესო გოლი?***

— ვერც აქ მოისმენთ კონკრეტულ პასუხს. ზოგადად, საუკეთესო გოლებად ის ითვლება, რომლებსაც გუნდისთვის გამარჯვება მოაქვთ. მაგალითად, გასულ სეზონში „ფიორენტინასთან“ და „მანჩესტერ იუნაიტედთან“, ასევე გერმანიის თასზე „შალკეს“ კარში გატანილ გოლებს გავიხსენებ. რატომ მაინცდამაინც ეს გოლები? იმიტომ, რომ გადამწყვეტი იყო.

***— რამდენად ახერხებთ სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის დროის დაბალანსებას?***

— ჩემს ცხოვრებაში ოჯახი ძალიან მნიშვნელოვანია. რამდენჯერაც შევიცვალე კლუბი, ოჯახი მაშინვე თან წავიყვანე. როცა შინ მივდივარ, სამსახურზე ფიქრს ვეშვები. ფეხბურთი უცებ მავიწყდება. როცა არიენ რობენი სახლშია, ის უკვე ფეხბურთელი კი არა, მეუღლე და მამაა. ოჯახის წევრებზე ძვირფასი, ჩემთვის არავინ არაა.

# „მანჩესტერი“ ცალი ფეხით „უემბლიზეა“

**შალკე-მანჩესტერი 0:2**

***0:1 გიგზი (67), 0:2 რუნი (69)***

**შალკე:** ნოიერი, უჩიდა, მატიპი, მეტცელდერი, სარპეი (ესკუდერო 72), ფარფანი, პაპადოპულოსი, ხურადო (დრაქსლერი 82), ბაუმიოჰანი (კლუგე 53), რაული, ედუ

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ფაბიო, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ვალენსია, კერიკი, გიგზი, პარკი (სკოულზი 73), რუნი (ნანი 83), ერნანდესი (ანდერსონი 73)

„აუფ შალკეზე“ გამართულ მატჩში რამდენიმე რეკორდი დაფიქსირდა — სერ ალექს ფერგიუსონი გახდება მე-3 მწვრთნელი მიგელ მუნიოსისა და მარჩელო ლიპის შემდეგ, რომელიც ყველაზე პრესტიჟული ევროპული საკლუბო ტურნირის დასკვნით მატჩში, გუნდს მეოთხედ გაიყვანს სათამაშოდ. მართალია, წინ კიდევ საპასუხო მატჩია, მაგრამ ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილი მოჩანს.

„მანჩესტერმა“ ჩემპიონთა ლიგის სხვა რამდენიმე რეკორდიც დაამყარა. ლიგის ისტორიაში, აქამდე არც ერთ გუნდს არ ჰქონდა ერთი სეზონის განმავლობაში, ყველა გასვლით მატჩში კარი მშრალად შენახული. მიმდინარე გათამაშებაში, სტუმრად ჩატარებულ ექვს თამაშში, „წითელ ეშმაკებს“ ერთი გოლიც არ გაუშვიათ. რა თქმა უნდა, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ვან დერ სარის ძალიან კარგი თამაშია. ვეტერან ჰოლანდიელ მეკარეს, ჩემპიონთა ლიგაზე, უკვე 50 „მშრალი“ თამაში დაუგროვდა, რაც ასევე სარეკორდო მაჩვენებელია. ვან დერ სარმა ჩემპიონთა ლიგის მე-13 ნახევარფინალურ თამაშში მიიღო მონაწილეობა და ამ მაჩვენებლით, კლოდ მაკელელესთან ერთად, რეკორდის თანაავტორი გახდა. თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ერთ კვირაში, ჰოლანდიელი ფრანგ ნახევარმცველსაც გადაასწრებს.

რეკორდის ავტორი გახდა რაიან გიგზიც. უელსელმა ფეხბურთელმა, გოლი მაშინ გაიტანა, როდესაც 37 წლისა და 148 დღის იყო. გიგზმა ფილიპო ინძაგის სარეკორდო მაჩვენებელი (37 წელი და 86 დღე) გააუმჯობესა. გარდა ამისა, უელსელმა გოლის გატანა მოახერხა ჩემპიონთა ლიგის 19 გათამაშებიდან 15-ში, რაც რაულის მაჩვენებელთან ერთად, საუკეთესო შედეგია.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას: „შალკე“-„მანჩესტერის“ წყვილში, პირველი მატჩის გამართვამდეც, გამოკვეთილი ფავორიტი ინგლისური გუნდი იყო და გელზენკირხენში გამართული მატჩის მოგებით, ფერგიუსონის გუნდმა ყველა კითხვას გასცა პასუხი. მართალია, განმეორებითი თამაში ჯერ კიდევ წინაა, მაგრამ მაინც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ოთხ სეზონში, „მანჩესტერი“ მესამედ ითამაშებს ლიგის ფინალში.

მატჩი „მანჩესტერის“ დიდი უპირატესობით წარიმართა და რომ არა ბრწყინვალედ მოთამაშე მანუელ ნოიერი, მასპინძლები სამარცხვინო ანგარიშით წაგებას ვერ გადაურჩებოდნენ. პირველ ტაიმში, ნოიერმა სტუმართა ფეხბურთელების 7 დარტყმა მოიგერია, აქედან 5 მართლაც ურთულესი. ნოიერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „მანჩესტერი“ მისი შეძენით ტყუილად არაა დაინტერესებული.

თუ გელზერკიხენელები აქამდე შედეგიანობით გამოირჩეოდნენ, გუშინ, „შალკეს“ თავდამსხმელებს ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო დაცვასთან მოუწია თამაშმა და გასაკვირი არც ყოფილა, ვან დერ სარს ბევრი საქმე რომ არ მისცემია. გერმანელებმა კარში ზუსტად სულ 5-ჯერ დაარტყეს და აქედან ხიფათიანი არც ერთი არ ყოფილა.

ფერგიუსონის გუნდმა ფინალის საგზური ორწუთიან მონაკვეთში გაინაღდა. 67-ე წუთზე, უეი რუნიმ, გარშემო 3 მეტოქე შემოიხვია და იუველირული სიზუსტის პასით, ნოიერთან პირისპირ გიგზი გაიყვანა, ხოლო უელსელმა, მეტოქის მეკარეს ამჯერად შანსი არ დაუტოვა. ორ წუთში, შეტევის მარჯვენა ფლანგზე კარგად მოთამაშე ვალენსიამ საჯარიმოს წინა ხაზთან მყოფი ერნანდესი მოძებნა, რომელმაც ბევრი არ დააყოვნა და კარგი პასით, ნოიერთან პირისპირ უკვე რუნი გავიდა, რის შემდეგაც, შეხვედრის საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, ადვილი მისახვედრია, რომ „შალკეს“ ფინალში გასვლის არანაირი შანსი არ აქვს. ევროტურნირების ისტორიაში, „მანჩესტერს“, საკუთარ მოედანზე, სულ 8 წაგება აქვს და არც ერთ მათგანში 2 ბურთით და მეტით არ დამარცხებულა. შეძლებს კი „შალკე“ ამ ტრადიციის დარღვევას და „ოლდ ტრაფორდზე“ ორბურთიანი სხვაობით მოგებას? სადღეისოდ, ეს ცოტა არარეალური მოჩანს.

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** უეინ რუნი

ძალიან ადვილად შეიძლებოდა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ წაგებული გუნდის მეკარე მანუელ ნოიერი აგვერჩია — მან მართლაც დიდებულად ითამაშა, მაგრამ სწორედ რუნის დიდებულ თამაშთან ვერაფერი გააწყო. „მანჩესტერმა“ რომ მოიგო, რუნის უნდა უმადლოდეს, მისმა გიგზისადმი ზუსტმა პასმა გატეხა ნოიერი, ხოლო საბოლოო წერტილი თავად დასვა.

# მარჩელო ლიპიმ მოსკოვის „სპარტაკის“ გაწვრთნაზე უარი თქვა

— მოსკოვის „სპარტაკი“ ახალი მთავარი მწვრთნელის ძებნას აგრძელებს. ვალერი კარპინი და მე ამ საკითხზე მუშაობას ვაგრძელებთ, — აცხადებს კლუბის მფლობელმა ლეონიდ ფედუნი.

ფედუნის თქმით, მოლაპარაკება ვერ მოხერხდა მარჩელო ლიპისთან, რომლის ხელმძღვანელობითაც იტალიის ნაკრები 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ვერ მოხერხდა „ბაიერნის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელის ლუის ვან გაალის დაყოლიებაც.

— ლიპიმ უარის მიზეზად მოუცლელობა დაასახელა, ვან გაალი კი ამჟამად „ბაიერნთან“ ურთიერთობის დარეგულირებითაა დაკავებული და რამდენადაც ვიცი, „იუვენტუსს“ უარი უთხრა. ვეჭვობ, მასთან მოლაპარაკება მოხერხდეს, — დასძინა „სახალხო გუნდის“ მფლობელმა.

მთავარი მწვრთნელის პოსტზე რუსი სპეციალისტის, ანდრეი კობელევის მოწვევასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებაზე ლეონიდ ფედუნმა უარი თქვა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# როგორ აღწევთ საწადელს?

(ტესტი ქალებისთვის




***1. როგორ მოექცევით დაქალს, რომელიც სულ იგვიანებს.***

ა. თუ კიდევ დაიგვიანებს, არ დაელოდებით. ბ. შეხვედრას ერთი საათით ადრე დაუნიშნავთ. გ. გამოუცხადებთ, რომ აღარ შეხვდებით. დ. კარგად გამოთათხავთ. ე. არც თქვენ ხართ პუნქტუალური.

***2. არ მოგწონთ წვერგაუპარსავი მამაკაცი. როგორ აიძულებთ გაპარსვას?***

ა. აკოცებთ, როდესაც გაპარსულია. ბ. ბალიშის ქვეშ პირსაპარსს ამოუდებთ. გ. ხშირ-ხშირად გაპარსვას სთხოვთ. დ. გამოუცხადებთ, რომ ჯაგარი არ მოგწონთ. ე. წვერგაუპარსავი თუ შეგეხებათ, იკივლებთ.

***3. ვაკანტურ თანამდებობაზე თქვენი დაქალიც აცხადებს პრეტენზიას:***

ა. ფარულად მიიღებთ აქტიურ ზომებს მიზნის მისაღწევად. ბ. აუხსნით, რით არის თქვენთვის ეს სამუშაო მნიშვნელოვანი. გ. ჰკითხავთ, ხომ არ გამოვიდოდა თამაშიდან. დ. წაეჩხუბებით. ე. იფიქრებთ, ხომ არ დაანებოთ თავი ყველაფერს.

***4. რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ: „რაც გინდა, ის ჰქენი"?***

ა. „მე ყველაფერი მიხდება". ბ. „ინანებ." გ. „როგორც შენ გინდა, მაინც ისე გააკეთებ." დ. „მე ისე მოვიქცევი, როგორც მინდა." ე. „შენთვის სულ ერთია, მე რას ვგრძნობ."

***5. რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ „მე ეს ძალიან მსიამოვნებს"***

ა. „გააგრძელე". ბ. „ცოტა უფრო ხშირადაც შეგეძლო გაგეკეთებინა" გ. „მომწონს, როდესაც ასე მეფერები." დ. „მე ამას ვერ ვიტან". ე. „სად ისწავლე".

***6. რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ. „ალბათ, საშინლად გამოვიყურები"***

ა. „თქვი რომ ეს ასე არ არის". ბ. „ვერ გამოვიძინე". გ.„შენც ასე ფიქრობ". დ. „დღეს თმა საშინლად მაქვს". ე. „ყველაფერი შენი ბრალია".

***7. სტუმრად ყოფნისას თქვენი პარტნიორი მამაკაცი ნახევარი საათი ვიღაც ქალს ეკურკურებოდა. შინისაკენ მიმავალი თქვენ:***

ა. თქვენი „მაგარი" ნაცნობის შესახებ მოუყვებით. ბ. ხუმრობით საყვედურს ეუბნებით. გ. შეკითხვებს უსვამთ, რათა გამოარკვიოთ, რა მოეწონა იმ ქალში. დ. ჯანდაბაში გაგზავნით. ე. მრავალმნიშვნელოვნად დუმხართ.

**პასუხები შეაფასეთ ა. 1 ქულა. ბ. 2 ქულა. გ. 3 ქულა. დ. 4 ქულა. ე. 5 ქულა**

**პასუხები**

**7-12 ქულა:** ყოველნაირად ცდილობთ, სხვები აიძულოთ ისე მოიქცნენ, როგორც თქვენ გსურთ, მაგრამ ამაოდ შვრებით, თქვენს მიზნებს მაინც ყველა ხვდება.

**12-17 ქულა:** ძალაუფლების სიყვარულით სხვას არ ჩამოუვარდებით, მაგრამ მალავთ თქვენს მიზნებს. თუმცა არ ფიქრობთ, რომ ადამიანი ადამიანისთვის მგელია.

**18-23 ქულა:** თქვენთვის დამახასიათებელია გულახდილობა და გულწრფელობა ყოველთვის სწორ გზას არჩევთ მიზნის მისაღწევად, ცდილობთ სხვების ინტერესების გათვალისწინებასაც.

**24-29 ქულა:** მიზნის მისაღწევად პირდაპირ და გაბედულად მოქმედებთ. დარწმუნებული ხართ, რომ ყველაფრის უფლება გაქვთ და ყველა უნდა დაგემორჩილოთ.

**30-35 ქულა:** თქვენ ყველაზე უკეთ ახერხებთ ადამიანებით მანიპულირებას, რადგან იარაღად ემოციური შანტაჟი აირჩიეთ. თქვენ აშკარად არ მიდიხართ კონფლიქტზე, მაგრამ ფარულად შეგიძლიათ სხვებს ხასიათი გაუფუჭოთ.

**გ.თ.**

# ქაბულში ავღანელმა პილოტმა 8 უცხოელი ჯარისკაცი მოკლა

ქაბულის მახლობლად მდებარე სამხედრო აეროდრომზე მომხდარი ინციდენტის შედეგად რვა ადამიანი დაიღუპა. რვავე მოკლული ავღანეთში ნატოს საერთაშორისო კონტინგენტის უცხოელი სამხედრო მოსამსახურეა. მათ ავღანელმა პილოტმა ესროლა.




ავღანეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ინციდენტი აეროპორტის ტერიტორიაზე მოხდა.

ავღანელი, რომელმაც სროლა ატეხა, ასევე დაიღუპა.

მომხდარის პასუხისმგებლობა თალიბებმა იტვირთეს.

ავღანეთში ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში უცხოელებზე რამდენიმე მსგავსი თავდასხმა მოხდა.

კერძოდ, 4 აპრილს ნატოს ორი ჯარისკაცი პოლიციის ფორმაში გამოწყობილმა ავღანელმა მოკლა, 18 თებერვალს სამი გერმანელი სამხედრო ავღანელი ჯარისკაცის ხელით დაიღუპა, 20 იანვარს ავღანელმა იტალიელ ჯარისკაცებს აუტეხა სროლა, 2010 წლის 29 ნოემბერს პოლიციის ფორმაში გამოწყობილმა ავღანელმა 10 ამერიკელი სამხედრო მოკლა, იმავე წლის 4 ნოემბერს კი ავღანელმა ჯარისკაცმა ხუთი ბრიტანელი ჯარისკაცი მოკლა.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ დაღუპული უცხოელები.

თვითმხილველების თქმით, უშუალოდ ინციდენტის შემდეგ აეროდრომს სამხედრო და სასწრაფო დახმარების მანქანებმა მიაშურეს.

მომხდარის პასუხისმგებლობა ავღანელმა თალიბებმა იტვირთეს და სააგენტო ესოშიეიტედ პრესს შესაბამისი შინაარსის ესემეს შეტყობინება გაუგზავნეს.

ავღანეთის ხელისუფლებს ჯერჯერობით ამ ინციდენტთან თალიბების კავშირის შესაძლებლობა არ დაუდასტურებიათ.

ავღანეთის უშიშროების სამსახურში ახალწვეულების რიცხვის ზრდასთან ერთად სულ უფრო ხმამაღლა გაისმის შეშფოთება ამ სტრუქტურების რიგებში მოეამბოხეთა მოხვედრის შესახებ.

ნატოს სტრატეგია ავღანეთში ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ვითარების კონტროლის თანდათანობით გადაცემას გულისხმობს. მიმომხილველების თქმით, კოალიციის ჯარისკაცები მთლიანობაში ენდობიან თავიანთ ავღანელ კოლეგებს, მაგრამ ეს ურთიერთობა „ენდე, მაგრამ შეამოწმეს" პრინციპით ხორციელდება.

# ინდოელი გურუს დაკრძალვას ნახევარი მილიონი მიმდევარი დაესწრო




ინდოეთის სამხრეთით, ქალაქ პუტაპარტხიში გურუ სატია საი ბაბას დაკრძალვაზე ნახევარ მილიონამდე ადამიანმა მოიყარა თავი.

საი ბაბას, ინდუსებში გავრცელებული ტრადიციისაგან განსხვავებით, კოცონზე არ დაწვავენ და მიწაში დაკრძალავენ.

სამგლოვიარო ცერემონიალს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი მანმოჰან სინგჰი და ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის ლიდერი სონია განდიც დაესწრნენ.

სატია საი ბაბას ქალაქ პუტაპარატხიში დაკრძალავენ, სადაც იგი მრავალი წლის განმავლობაში მილიონობით მოსწავლეს იღებდა.

მისი მრავალი თაყვანისმცემელი სატია საი ბაბას ცოცხალ ღმერთად მიიჩნევდა.

უშუალოდ დაკრძალვას მხოლოდ მისი ოჯახის წევრები და მის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენლები დაესწრნენ.

საი ბაბას მიმდევრებს მიაჩნდათ, რომ მას ჰაერისაგან ნივთების მატერიალიზაციის უნარი გააჩნდა. გარდა ამისა, შეეძლო ადამიანებს სიზმარში სტუმრებოდა, სასიკვდილო დაავადებები განეკურნა.

მისი მოწინააღმდეგეები კი ამტკიცებდნენ, რომ საი ბაბას მრავალი სასწაული უბრალოდ ფოკუსი იყო, ისინი ამტკიცებდნენ, რომ გურუ უბრალოდ თაღლითი იყო, რომელიც თავის პოპულარობას საეჭვო ფულადი ოპერაციებისათვის იყენებდა. მას სექსუალური ხელყოფის ბრალდებებიც წაუყენეს.

საი ბაბა ამ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფდა.

საი ბაბას მომხრეები 126 ქვეყანაში ჰყავდა, მის მიერ შექმნილი საქველმოქმედო ფონდი კი უფასო სკოლებსა და საავადმყოფოებს აარსებდა.

გურუს მოწაფეებს შორის იყვნენ ინდოეთის რამდენიმე პრემიერ-მინისტრი და ბოლივუდის რამდენიმე ვარსკვლავი. მისი ლექციები და საუბრები მსოფლიოს მრავალ ენაზე არის ნათარგმნი.

# ცსს-ს ახალ დირექტორად გენერალ პეტრეუსს დანიშნავენ

აშშ-ის საინფორმაციო სამსახურებმა თეთრი სახლის წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელეს ინფორმაცია ცსს-ის ახალი დირექტორის შესახებ. ეს თანამდებობა გენერალმა დევიდ პეტრეუსმა შეიძლება დაიკავოს, რომელიც ამჟამად ავღანეთში აშშ-ის სამხედრო ოპერაციას ხელმძღვანელობს.

პეტრეუსი ამ პოსტზე ლეონ პანეტას შეცვლის, რომელიც თავის მხრივ თავდაცვის მინისტრის პოსტს დაიკავებს.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ამ ცვლილებების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ხუთშაბათს უნდა გავრცელდეს, საკადრო ცვლილებები კი ზაფხულში განხორციელდება.

პენტაგონის ამჟამინდელმა უფროსმა რობერტ გეიტსმა არაერთხელ განაცხადა, რომ თავდაცვის მინისტრის პოსტის დატოვებას წლის ბოლომდე აპირებდა.

სავარაუდოდ, პრეზიდენტი ბარაქ ობამა ავღანეთში აშშ-ის სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელად გენერალ-ლეიტენანტ ჯონ ალენს დაასახელებს, ხოლო ამ ქვეყანაში აშშ-ის ახალ ელჩად რეაიან კროკერს.

აშშ-ის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში შესაძლო ცვლილებების შესახებ მითქმა-მოთქმა რამდენიმე კვირის წინ დაიწყო.

ბარაქ ობამას მიერ წამოყენებული ნებისმიერი კანდიდატურა სენატმა უნდა მოიწონოს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. აეროპორტი პრაღაში; 2. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 3. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 4. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 6. ქართველი ფოტოხელოვანი, ალპინისტი; 8. ინდოელი მოჭადრაკე მამაკაცი, დიდოსტატი; 11. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 12. მზის სისტემის პლანეტა; 16. ავსტრიელი მწერალი; 17. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 18. მუზეუმი მილანში.

**თარაზულად:** 1. მოხეტიალე მუსიკოსი-მომღერალი ძველ საბერძნეთში; 5. ცხენის ერთგვარი სვლა; 7. ქართული კონიაკი; 9. ხილის წვენებით შეზავებული ტკბილი მაწონი; 10. მხარე გერმანიაში; 13. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 14. ქართველი მრეწველი, პოპულარული უალკოჰოლო სასმელების შემქმნელი; 15. მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 19. წყალზე მცურავი მრავალწლოვანი ყვავილოვანი მცენარე; 20. დაქირავებული ტაშის დამკვრელი თეატრში, კონცერტზე; 21. რუსთაველის პრემიის ლაურეატი ქართველი კინომსახიობი მამაკაცი; 22. კინოფესტივლების სახელწოდება იტალიაში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქადა; 2. ასთმა; 3. აკაჟუ; 4. „პეპსი"; 5. კუკავა; 6. სპონსორი; 8. კრონპრინცი; 10. სანგვინიკი; 11. „კაბისტონი"; 14. ეგზემა; 15. ღაღადი; 16. დოგმა.

**თარაზულად:** 1. ქარაგმა; 4. პეკინესი; 7. დენთი; 9. პულსი; 12. „ნაბუკო"; 13. ფობია; 14. ემბაზი; 17. ტიბეტი; 18. სფიგმოგრამა; 19. სინდიყი; 20. ბაგები.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დრაივი; 2. სქოლიო; 3. „მალთაყვა"; 4. არღანი; 6. თუთიყუში; 8. ასტანა; 11. კელასური; 12. ჯინჯილა; 16. კაისა; 17. კელია; 18. კურსი.

**თარაზულად:** 1. დიქსონი; 5. სიათა; 7. ლაშქარი; 9. ინგლისი; 10. კამბუზი; 13. ნარვალი; 14. ფეტიში; 15. მილი; 19. „აჯამეთი"; 20. ბენეფისი; 21. „ნატახტარი"; 22. ბისონი.

## საერო პატრიარქი
## პროფესორი
# რევაზ გოგოხია
## იუბილარია

„საერო პატრიარქის" ტიტული ბატონმა რევაზმა იმ დროს იზოძა, როცა, მინიმუმ, შიშისმომგვრელი იყო ამ ცნების ხმობაც კი. ერთია, უფალი რომ ინებებს და ყველა პარამეტრით დიდად წარმოგაჩენს — სულიერად, შემოქმედებითად, ფიზიკურად, უშურველად და დაუღალავად. დიახ, დაუღალავად, ანუ ღალის, ბეგარის მარადიულად გადამხდელად, კალმოხდილად. ბატონი რევაზი არის ისეთი იპოსტასი ჩვენი ერთარსება უნივერსიტეტისა, თეთრისა, ქათქათასი, რომელიც ან და მარადის ვერანაირ ჭუჭყს, ნიკვს ვეღარასდროს მიიკარებს. ის მოარული სკოლაა მართლმადიდებლობისა და ასეთად აზროვნების ზეიმი და, ჩვენ, მისი თანამედროვეები, მისეული, განუმეორებელი მიკროქვეყნიერების სუბიექტები ვართ, რაც ტკივილიან სააქაოსაც და განწმენდილი საიქიოს ზიარების მოლოდინს გვიბედნიერებს.

*ურიცხვ მოყვასთა სახელით*
*ირაკლი კალანდია, კარლო ლურწკაია,*
*ლონგი ფარცვანია, ნუგზარ პაიჭა ე, ნუგზარ გადელია,*
*ვალიკო რეხვიაშვილი, რომინ ქუტი ე, პარმენ*
*ლემონჯავა, ლაითა ლაშხია, კახა ქეცბაია, გულთაზ*
*ლაბარტყავა, პეტრე ბერაია, ავთანდილ სილაგა ე,*
*კოკა კუტუბი ე, რომინ ანდღულა ე, მერაბ ჯიქია,*
*ჯამბულ ქობალია, გერმანე ფაცაცია*

# ტიბეტის დევნილი მთავრობის ლიდერად ჰარვარდის იურისტი აირჩიეს



AP

ჰარვარდის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის თანამშრომელი, იურისტი ლობსანგ სანგაი ტიბეტის დევნილი მთავრობის ახალ ხელმძღვანელად აირჩიეს.

ლობსანგ სანგაიმ მსოფლიოში გაფანტული ტიბეტელების 55%-ის ხმა მოაგროვა. ინფორმაცია ახალი პრემიერის არჩევის შესახებ ინდოეთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ დჰარამსალაში გავრცელდა, იქ, სადაც 1959 წლიდან ტიბეტის დევნილი მთავრობა არის ბაზირებული.

დღემდე ტიბეტის დევნილ მთავრობას დალაი ლამა ხელმძღვანელობდა, მაგრამ მიმდინარე წლის მარტში მან გამოაცხადა, რომ ამ ფუნქციის არჩევითი პირისათვის გადაცემას აპირებს.

ჰარვარდის უნივერსიტეტის იურისტის მეტოქე ორი სხვა კანდიდატი იყო, რომლებსაც ბუდისტურ რელიგიურ იერარქიასთან რაიმე კავშირი არ ჰქონიათ.

XXI საუკუნეში ტიბეტელი ხალხის ლიდერის არჩევითობის შესახებ განცხადებით გამოსვლისას დალაი ლამამ ასევე განაცხადა, რომ მთავრობის ახალი ლიდერისათვის ჩინეთის ხელისუფლებთან დიალოგის წარმოება უფრო ადვილი იქნება.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ლობსანგ სანგაი თავის გამოსვლებში მიანიშნებდა, რომ უბრალოდ ტიბეტის ავტონომიას კი არა, ჩინეთისაგან ტიბეტის სრულ დამოუკიდებლობას უჭერს მხარს.

იმავდროულად, ბიბისის ამასწინანდელ ინტერვიუში მომავალმა პრემიერმა განაცხადა, რომ ეთანხმება დალაილამას პოზიციას, რომელიც მზად არის ჩინეთის შემადგენლობაში ტიბეტის ავტონომიას დათანხმდეს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ავტონომია ნამდვილი იქნება.

ჩინეთმა ტიბეტი 1950 წელს ხანმოკლე შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ შემოიერთა. მრავალი წლის განმავლობაში ამ რეგიონს ტრადიციულად ბუდისტი ხელისუფლები მართავდნენ.

1959 წელს ტიბეტში მომხდარი ამბოხების შემდეგ დალაი ლამამ და მისმა გარემოცვამ ლჰასა დატოვეს და ინდოეთის ჩრდილოეთ ნაწილს შეაფარეს თავი. იმავდროულად, ათასობით ტიბეტელი იძულებული გახდა სამშობლო მიეტოვებინა და თავშესაფარი ინდოეთში, ბუტანში, ნეპალში ეძია.

არჩევნების შედეგების გამოცხადების მომენტისათვის სანგაი აშშ-ში მდებარეობდა. მთავრობის სათავეში ჩასადგომად მას დჰარმსალაში ჩასვლა მოუწევს.

დალაი ლამა ტიბეტელების სასულიერო ლიდერად რჩება.

# „ნოკია“ ოთხი ათასი თანამშრომლის შემცირებას აპირებს

კომპანია „ნოკიას“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მობილური ტელეფონების ფინური გიგანტი ძირითად ყურადღებას სმართფონებს მიაპყრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ 4 ათასამდე ადამიანმა სამუშაო შეიძლება დაკარგოს.

სამუშაო ადგილები ძირითადად დანიაში, ფინეთში, დიდ ბრიტანეთში შემცირდება. რეორგანიზაცია 2012 წლიდან დაიწყება.



NOKIA

„ნოკიას“ წარმომადგენლების განცხადებით, რეორგანიზაციის შედეგად მოხერხდება სახსრების გამოყოფა ოპერაციული სისტემა „ვინდოუსის“ მქონე სმარტფონებისათვის.

„ნოკიას“ ხელმძღვანელმა სტივენ ელოპმა განაცხადა, რომ კომპანიის ახალი მიზნები შტატის გარდაუვალ შემცირებას გამოიწვევს.

არსებული ცნობების თანახმად, ინვესტორები საკმაოდ მტკივნეულად რეაგირებდნენ იმის გამო, რომ მათი აზრით, „ნოკია“ არასაკმარისად ოპერატიულად რეაგირებდა ისეთი კონკურენტების გამოჩენაზე, როგორიცაა, მაგალითად, „ეფლი“.

ცოტა ხნის წინ „ნოკიამ“ ხელი მოაწერა შეთანხმებას კომპანია „მაიკროსოფთთან“ ახალი ტიპის სმართფონების შექმნის შესახებ.

ნოკიამ ასევე განაცხადა, რომ სიმბიანის ოპერაციულ სისტემაზე შექმნილი აპარატების დამუშავებას კომპანია „ესენჩურს“ გადასცემს. „ნოკიას“ შტატიდან 3000 ათასი თანამშრომელი ამ კომპანიაში გადავა.

„ნოკიას“ რეორგანიზაციის გეგმების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ჰელსინკის საფონდო ბირჟაზე „ნოკიას“ აქციების ღირებულება 3%-ით გაიზარდა.

მიმდინარე წლის თებერვალში „ნოკიას“ ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ მობილური ტელეფონების უდიდესი მწარმოებელი მსოფლიოში არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა. კომპანიის დირექტორის თქმით, „ნოკია“ გარშემორტყმულია კონკურენტებით, რომლებიც მისთვის ბაზრის სექტორების წართმევას ცდილობენ.

ელოპის ვარაუდით, „ნოკიას“ პრობლემები დაკავშირებულია ფირმა „ეფლის“ ტელეფონ „აიფონის“ წარმატებასთან, გარდა ამისა, კომპანია „გუგლის“ მიერ სმართფონებისათვის შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფით.

გარდა ამისა, ბაზრის უფრო იაფფასიან სექტორში მას ჩინური კომპანიები ავიწროვებენ.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## ის გამორჩეული იყო — ასეთები დაკავებამდე ვერ მიდიან

*სიკვდილო, დედას მოუკვდი,*
*დედას რად უკლავ შვილსაო...*



იმ დღეს მართლმადიდებლური სამყარო ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს ზეიმობდა...

ერთი პატარა ბიჭი ციდან მოვლენილმა ანგელოზებმა ზეცაში აიტაცეს და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა იქ აუწყეს...

ვინა თქვა, პატარა ბიჭიო, ის უკვე 10 წლის ქართველი ვაჟკაცი იყო, ... ჰო, 10 წლის **ივიკო ჭელიძე**, რომლის გარდაცვალებამ ერთიანად შეძრა მთელი საგვარეულო, მთელი სვანეთი, იმერეთი, დედულ-მამულეთი, მთელი საქართველო... შავი ღრუბელი დაიგრაგნა და მეხივით დაასკდა დედამიწას, ერთიანად დაფლითა ისედაც მრავალჭირგამოვლილი, დარდნაჭამი გულები...

ყველას ნებიერა, ონავარი, მკვირცხლი, ჭკვიანი, ივერი ბაბუას სიამაყე და იმედი, მამას ვაჟკაცი, ბრძენი და აზრიანი შვილი, დედას განუყრელი მეგობარი და სიხარული, მაიკოს „დიდი გული“ სიყვარულითა და იმედით სავსე, ეთერი ბებიასა და ხათუნა დეიდას, მთელი დედულეთის ნაფერები და მოუსვენარი პატარა გმირი...

ივიკო, იკაკო ბაბუას „ჯიგარო ბიჭი“, ზღვა მწუხარების, ცრემლების წვიმამ, სიკვდილის წვიმამ წააქცია და პატარა გმირად აქცია...

ევროპული სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეს უნდოდა, სპორტული კარიერის ყველა საფეხური გაევლო, თხილამურების მერე, ფეხბურთით სერიოზულად დაინტერესდა, ამიტომ, საფეხბურთო სკოლა “ოლიმპში“ მას პატარა “ჭელო“ შეარქვეს... ყოველთვის იყო მოწესრიგებული, ამიტომაც იყო სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების წარჩინებული მოსწავლე და კეთილშობილი, თბილი და მოსიყვარულე მეგობარი; ცეკვავდა, მღეროდა. მიზნად ჰქონდა დასახული, პატარა ქართველს სერიოზული განათლება მიეღო და სპორტულ სამყაროშიც თავისი სიტყვა ეთქვა...

უყვარდა, უსაზღვროდ უყვარდა მამიდაშვილები სალი და გიორგი, ბიძაშვილები ჯემალი, ანასტასია, ნიკოლოზი. დეიდაშვილები გიორგი და ნიკა. უყვარდა ყველა და ამ სიყვარულში მოახლოვდა 10 წლის იუბილეც — 25 აპრილი.

ველარ დაინთო 10 სანთელი...
აღარ დაიცხო შეპირებული ტორტი...

ვერ გადაუხადეს ბაბუამ და მამიკომ შეპირებული დაბადების დღე...

დაუნდობელი ყოფილა წუთისოფელი, როცა არ ელი, სადაც არ ელი, იქ ჩაგამუხლებს.

და კიდევ ერთხელ გადაუარბინა ზღვა მწუხარების შავმა აჩრდილმა ივერი და გოჩა ჭელიძეების ოჯახებს, კიდევ ერთი ქართველი დედა — ეკა ხურციძე შეიმოსა შავი თალხით, აღარა ჰყავს მარიამს ამაყი ძმა, პატარა ივიკო, პატარა დათას — მომფერებელი და მასზე უზომოდ შეყვარებული ძამიკო.

აღარ ჩამოეკიდები კისერზე სახლში მოსულ მონატრებულ მამიკოს, ველარ გაიგებს შენს ხმას „მამი, მოდი რა, სახლში, მენატრები“. აღარ ეყოლები დედას იმედად დედის ნებიერა, ქოჩორა ბიჭი, „მაგარი კაცი“... სიკვდილმა გაკვეთა სიცოცხლის გზა და სწორედ აღდგომის დღეს პატარა შავლეგო, თეთრი ჩოხით, თეთრ რაშზე ამხედრებული თვალის დახამხამებაში გაუჩინარდი...

გული მოუკალი ივერი ბაბუას — შენს ძმაკაცს, მეგობარს, რომელსაც გულზე ჰყავდი მიკერებული, მისთვის შენ იყავი იმედი, სიხარული, ბაბუს „ჯიგარო ბიჭი“ და ეს ყველაფერი ერთ წამში გაქრა, და ეს ყველაფერი ისე ჩაიფერფლა, შენი დაბრუნების ერთი ნამცეცი იმედიც აღარ დარჩა...

3 წელი ნელი ბებიას საფლავზე, შენს უბედურ ბაბუას სანთელი და კანდელი არ ჩაუქრია, ახლა, შენს საფლავზე დაიდებს ბინას და მთაკაცი თბილი და მწარე ცრემლით გაგითბობს გაყინულ სხეულს...

აღდგომა დღე შენი გარდაცვალების დღეა. ამაღლებას შენი ორმოცია. უფლის წილხვედრო პატარა ქართველო, სიზმრად მოევლინე დედასა და მამას, გადაარჩინე მათი სიცოცხლე, ილოცე მათთვის, მარიამისთვის, დათასთვის... მშვიდობით, პატარა უშგულელო ვაჟკაცო, ივერი ბაბუას ნაადრევად ჩამქრალო იმედო, — იოვანედ მონათლულო, შენ ღმერთთან წახვედი, რამეთუ სიკვდილის წინ სიმღერით უხმობდი მას — „ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა“...

## სამგლოვიარო განცხადებები

პეტრე ბერაია, დემურ გადელია, თემურ კალანდაძე, ბესო კილასონია, ვახტანგ კიკნაძე, ვანო ყულიჯანაშვილი, გია ციხისთავი, საველ მარსაგიშვილი, რომან კვაჭაძე, ამირან გამყრელიძე თანაგრძნობას უცხადებენ გოჩა და ივერი ჭელიძეებს

**ივიკო ჭელიძის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

საპარლამენტო უმრავლესობა თანაუგრძნობს გოჩა ჭელიძის ოჯახს პატარა

**ივერი ჭელიძის**

ტრაგიკული დაღუპვის გამო.



შვილები ლევან, თენგიზ, შვილიშვილები დათო, ბესიკი, სოფო სვანიძეები, შვილთაშვილები თენგო, ნიკა, აჩი, ლევან, ანა, დათა, რძლები ცინარი კვანტალიანი, ლია, მარინა, შორენა, ნინო, ძმისშვილები ვერიკო, ბესო ჯებაშვილები, მძახლები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მერი მიტროფანეს ასული ჯებაშვილი**

პანაშვიდი: 28, 29 აპრილს.
დაკრძალვა: 30 აპრილს, 14 საათზე.
მისამართი: ზესტაფონის ქ.№4/14.

ალ.ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი და მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმი თანაუგრძნობს ფედერაციის პრეზიდენტს გივი ქართველიშვილს შვილის

**გიორგი (ტოტო) ქართველიშვილის**

გარდაცვალების გამო.

მეუღლე შორენა, და ნატო, შვილები დათო და მანანა, რძალი ირმა ბერიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დავით კალისტრატეს ძე სილაგავა**

პანაშვიდი: 28, 29 აპრილს.
დაკრძალვა: 30 აპრილს, 14 საათზე.
მისამართი: დიღმის მასივი, ლუბლიანის 16.

სააქციო საზოგადოება „ივერიის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი

**დავით სილაგავა**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.



საქართველოს რადიომოყვარულთა ეროვნული ლიგის კოლექტივი გულისტკივილით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ცნობილი რადიოსპორტსმენი

**ვახტანგ (ნუგზარ) სახოკია**

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 28 აპრილი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **13.30** ჩვენი ფერმა **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. "**ხუთი და**" **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ტიბეტი -დაკარგული სამყარო" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ხუთი და**" **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძეთან **23.00** სერ. "**ზიანი**" (12) **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი "**ცუდი ბიჭები**" **04.25** მხ. ფილმი "**ახალი ტიპი**" (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფ. "**ახალი ტიპი**" **01.00** მხ. ფილმი "**ჯაშუში**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ნიჭიერი (გან.) **17.00** სერ. "**მორენას ვნება**" **18.45** სერ. "**დანიელა**" **19.45** სერ."**ელენას მოჩვენება**" **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** მხ. ფილმი **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **09.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **12.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **15.20** სერ."**ორნახევარი კაცი**" **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **20.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**სილამაზის მსხვერპლი**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.20** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** **შეგირდი** **23.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **01.00** მხ. ფილმი "**ამერიკელი ცოლი**" (ჯ. ბილი) (სუბტ.) **03.00** მხ. ფილმი "**სიბრმავე**" (18) (ჯ. მური) (სუბტ.) **06.30** სერ. "**ბოშები**"

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. "**იდუმალი სტუმარი**" **12.30, 19.30** სერ."**შექსპირიადა**" **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**ლინდა და ბრიგადირი**" **19.30** სერ. "**შექსპირიადა**" **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე" **11.00** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი "**აბეზარა**" **13.35** კონცერტი – მ.სეფაშვილი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი "**მე, ბებია, ილიკო და ილარიონი**" **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** "განთიადის" არქივიდან **18.05** საღვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**უდიპლომო სასიძო**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** წარმატების ფორმულა **22.20** მოკლემ. ფ. "**ქვევრი**" **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ფოლკლორში" **00.35** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **01.00** მხ. ფილმი "**აურზაური სალხინეთში**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**28 აპრილი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6447

ევრო — 2,3896

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6943

რუსული რუბლი — 0,0584

## ამინდის პროგნოზი 28 აპრილისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 15-21, ღამით — 8-12

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 14-29, ღამით — 19-14

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-18, ღამით — 1-19








## წამალი „ფერდი“

წამალი „ფერდი” შეიცავს არა ერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. ფერდი დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა ,აგზნებულობა,შიში,ნერვული აშლილობა,დაძაბულობა)-დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი,აგრეთვე კუჭ-ნაწლავის-,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირის ღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

**შემადგენლობა:**

- „ფერდი“-ს ფხვნილი (PULVER ,,PHERDI”) – 1 კაფსულა – 0,3გ;
- „ფერდი”-ს ფხვნილი მზადდება წყავის (აუროცერასუს officinalis Roem.) ფოთლების საფუძველზე. ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა – 0,4 – 5%; მთრიმლავი ნივთიერებები – 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა – 1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;
- პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

წამალი **„ფერდი“** იკითხეთ აფთიაქებში.

**WWW.PHERDI.GE** ☎ **95-90-60**


## კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე მატჩების დაწყების დრო დაზუსტდა

**ლიტვაში გასამართ 2011 წლის საკალათბურთო ევროპის ჩემპიონატზე, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრებიც ითამაშებს, მატჩების ჩატარების ზუსტი განრიგი და დრო დადგინდა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მეტოქეები სლოვენიის, რუსეთის, ბელგიის, ბულგარეთისა და უკრაინის ნაკრებები იქნებიან. ჯგუფიდან საუკეთესო მაჩვენებლის მქონე 3 გუნდი გადის, რომელიც მომდევნო ეტაპზე გააგრძელებს თამაშს.**




ამ დრომდე მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომელ დღეს რა თამაში გაიმართებოდა, ახლა კი, ისიც დაზუსტდა, თუ რომელი შეხვედრა რომელ საათზე დაიწყება. იგორ კოკოშკოვის გუნდი პირველ მატჩს 31 აგვისტოს ლიტვიის დროით 15:30 საათზე გამართავს. მომდევნო ორი დაპირისპირება კი რუსეთთან და სლოვენიასთან უკვე შედარებით გვიან, 18:00 საათზე დაიწყება, რაც ალბათ იმით არის განპირობებული, რომ რუსეთი და სლოვენია ევროპული კალათბურთის გრანდები არიან და მათი შეხვედრები შედარებით დიდ ინტერესს იწვევს. ჯგუფის დარჩენილ ორ მატჩს კი ქართველი კალათბურთელები ისევ 15:30 საათზე გამართავენ.

კლაიპედა, 31 აგვისტო: 15:30 ბელგია-საქართველო; კლაიპედა, 1 სექტემბერი: 18:00 საქართველო-რუსეთი; კლაიპედა, 3 სექტემბერი: 18:00 სლოვენია-საქართველო; კლაიპედა, 4 სექტემბერი: 15:30 საქართველო-უკრაინა; კლაიპედა, 5 სექტემბერი: 15:30 საქართველო-ბულგარეთი.

მ. ჟ.

## იუმორი



— რაც უფრო სულელია ადამიანი, მით უფრო მეტი აქვს სხვისი ჭკვიანური აზრები ვებგვერდზე...

***

— ალო, ეს თქვენ ანადგურებთ ტარაკანებს?

— დიახ, მაგრამ თქვენ ეს დაგიჯდებათ...

— თანხას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, ყველაფერი უბედურ შემთხვევას უნდა ჰგავდეს.

— საავტომობილო ავარია გამოდგება?

***

ქალი მიღებაზე ფსიქიატრთან.

— იცით, ჩემს ქმარს მგონი პრობლემები აქვს. ის ფიქრობს რომ ის არ არის, მე კი — მე არ ვარ.

— კარგი, თქვენი ქმარი მომიყვანეთ.

— რა მოყვანა უნდა, აქ არ ვარ?

***

— ფეხით სიარული სასარგებლო რომ იყოს, ფოსტალიონი უკვდავი იქნებოდა...

გ. თ.

## ასტროპროგნოზი 28 აპრილისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სახლში სიახლეა, შეიძლება რემონტი წამოიწყოთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ, **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, საქმიანი შეხვედრა გელით. **სასწორი** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, არ გაექცეთ პასუხისმგებლობას. **ღრიანკალი** — ახალი საქმე გამოგიჩნდებათ, კმაყოფილი დარჩებით. **მშვილდოსანი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **თხის რქა** — დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ, ბედი გწყალობთ. **მერწყული** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით, თუმცა, ძალიან გადაიღლებით. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, ნუ მიიღებთ მძიმე საკვებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 26 აპრილიდან

## „ახალი თაობის“ სააღდგომო საჩუქარი ახალ თაობას

## საყმაწვილო ბიბლიოთეკის 8 ტომეული

უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხის, მაგარი ყდით, ფერადად ილუსტრირებული. ძალიან დაბალ ფასად!




გაზეთი და წიგნი ერთად — 2 ლარი


## კროსვორდი

**შვეულად:** 2. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 3. გასართობად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი; 4. ჭორების, პანიკური ინფორმაციის გამავრცელებელი ადამიანი; 5. მატლის, მღრღნელი ჭიების ძველი ქართული სახელწოდება; 6. მგალობელი ჩიტი; 8. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 11. სამეფო კვერთხი; 14. ქართველი მხატვარი ქალი; 15. ქვიშიანი უდაბნო შუა-აზიაში; 16. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 17. სიტყვების წარმოთქმის მანერა; 19. ბრიტანული ნამცხვარი; 21. შხამიანი გველი; 22. ცურვის ერთ-ერთი სტილი.

**თარაზულად:** 1. ფოლადის კარკასი რკინაბეტონის კონსტრუქციაში; 5. კათოლიკური მღვდელთმსახურება; 7. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 9. ჟურნალისტების ოფიციალური დაშვება რაიმე ღონისძიებაზე; 10. მტრის ზურგში გადასხმული, სპეციალური დანიშნულების შენაერთი; 12. შტატი აშშ-ში; 13. შენობის ფასადის მოპირკეთება უხეშად დამუშავებული ზედაპირის მქონე ქვებით; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი ზესტაფონის მახლობლად; 17. თეატრის მსახიობთა კოლექტივი; 18. უძველესი ქართული სამეფო; 20. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 22. გერმანული მეტალურგიულ-მანქანამთშენებელი კონცერნი; 23. ოთხსიმიანი, ხემიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 24. უცხო მხარიდან შემოტანილი მცენარე ან შემოყვანილი ცხოველი; 25. სამკითხაო ქვიშა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

